

№5  
2020

ISSN 2587-4551



# სკოლა და სსოვრება

საქართველოს სახელმწიფო-პედაგოგიური  
ჟურნალი

იაკობ გუგუბაშვილი 180

**№5**  
**2020**

ISSN 2587-4551

საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი



# **სკოლა და ცხოვრება**

ბათუმის 1924 წლიდან

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
პედაგოგთა კავშირი

**მთავარი რედაქტორი  
ბარი ჩაფიძე**

**სარედაქციო კოლეგია**

**შალვა ამონაშვილი**

**აზა ბუაძე**

**ლეილა გეგეშიძე**

(პასუხისმგებელი მდივანი)

**ეკატერინე დგებუაძე**

**სერგო ვარდოსანიძე**

**აკაკი ზოიძე**

**კახა კობერიძე**

**ზვიადი ლაზარაშვილი**

**ლია მარტაშვილი**

**ვაჟა მიროტაძე**

**როლანდ ნიჟარაძე**

**ბერიკა შუკაკიძე**

**სოსო ცოტნიაშვილი**

**ზურაბ ცუცქერიძე**

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

**მანია ხაჭიშვილი**

**მამუკა ხამხაძე**

**რედაქციის მისამართი: 0182; ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7;  
3700; ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5;**

**ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: (032)2 27-89-00;**

**(0341) 22-25-00; 25-37-00;**

**პასუხისმგებელი მდივნის:**

**(0341) 22-45-00; 25-39-00**

**განყოფილებათა რედაქტორების:**

**(032)2 27-89-01;**

**(0341) 27-94-00; 27-96-00;**

**გავრცელების სამსახური:**

**(0341) 22-77-77;**

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| <b>ბარი ჩაჭიძე</b> - ამიაკობ გოგებაშვილი - 180 .....                                    | 3  |
| <b>აკაკი ზოიძე</b> - ბურჯი-განათლებისა და კულტურის<br>ალმავლობისა .. .. .               | 17 |
| <b>თაბილა ძნელაძე</b> - ევროპული ღირებულებების სწავლება<br>და ქართულილიტერატურა... .. . | 25 |
| <b>ზისერი გურჯალიანი</b> - საგანძური ... .. .   | 44 |
| <b>ნონა ცაავა</b> - ჩემი სარკმლიდან დანახული იაკობი და<br>„დედა ენა“ .. .. .            | 48 |
| <b>ნინო ბაბოშვიძე</b> - ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე... .. .                         | 52 |
| <b>მანა კონიაშვილი</b> - საქართველო და ევროპა ჩემს<br>გაკვეთილებზე .. .. .              | 56 |



## **იაკობ გოგებაშვილი - 180**

დღევანდელი დღე ზეიშია, სიტყვის ზეიმი, მშბლიური ენის, დედა – ენის ზეიმი, იმ ზეკაცის დაბადების გამო, რომელმაც კრიალოსნე-ბივით აკრიფა ქართული ანბანის მარცვლები და შემდეგ უამრავმა თაობამ შეისისხლხორცა, შეიყვარა და რუდუნებად აქცია სული-ერებისა და მეცნიერბის წიგნთა წიგნი „დედაენა“! დიდი იაკობის დაბადებიდან 180 – წელი გავიდა! ხოლო საქართველოს იაკობ გოგე-ბაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის დაფუძნებიდან 60 – წელი, თითქმის მიჯრითაა ეს ორი იუბილე !

ნებისმიერი ერი ვერასოდეს ჩათვლის თავს ბედნიერად, თუ საქმით არ მიაგებს პატივს ზე ეროვნულ ღირებულებებს – ენას მამულსა და სარწმუნოებას. ფაქტია, რომ ეს სამი კატეგორია ისევე განუყრე-ლია ერთმანეთისგან როგორც ქართული მინა, სარწმუნოება, ზეცა და ქართველი ხალხი. ცნობილმა ქართველმა მამულიშვილმა იაკობ გოგებაშვილმა თავის სათაყვანებელ ერს უძვირფასესი საგანძური „დედა ენა“ დაუტოვა, გვახალისებს ინფორმაცია იუნესკოს მიერ ქართული ანბანისა და „დედა ენის“ არამატერიალურ ძეგლათა ნუს-ხაში შეტანისა.

ღარიბი მღვდლის ოჯახში დაბადებულმა იაკობმა გორისა და შემდეგ თბილისის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა. 1855 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 წელს კი - კიევის სასულიერო აკადემიაში. პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო იძულებული გახდა 1863 წელს სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1864 წელს იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად, ხოლო 1868 წელს მის ინსპექტორად დაინიშნა. მისმა პედაგოგიურმა მოღვაწეო-ბამ მეფის რუსეთის სინოდისა და ხელისუფალთა უკმაყოფილება გამოიწვია და 1874 წელს, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო“, მოხსნეს თანამდებობიდან. ამის შემდეგ გოგებაშვილი სახელმწიფო სამსახურში აღარ შსულა და მთელი სიცოცხლე საზოგადო მოღ-ვანეობას მიუძღვნა. რა ღვანლი მიუძღვის იაკობ გოგებაშვილს ერისა და ქვეყნის წინაშე? – ის, უპირველესად, მეცნიერული პედა-გოგიკის ფუძემდებელია საქართველოში; დაუღალავი მებრძოლი სახალხო სკოლების შექმნა – დამკვიდრებისათვის. განსაკუთრე-ბით დიდია მისი ღვანლი ქართველთა შორის – წერა კითხვის გამა-

ვრცელბელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. იაკობ გოგებაშვილმა ჩვენში პირველად წამოყენა აღმზრდელობითი სწავლების იდეა, ხოლო სწავლების პრინციპებად – შეგნებულობა და ატიურობა, სისტემატიურობა და თანმიმდევრულობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება. მისმა სასკოლო სახელმძღვანელოებმა – „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „დედა ენა“ (1876) დიდი როლი ითამაშეს ახლი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებასა და დამკვიდრებაში.

იაკობ გოგებაშვილი ქართული საბავშვო ლიტერატურის ფუძემდებელიცაა. მისი ცნობილი მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“, რომელიც 1890 წელს გამოიცა, დღემდე რჩება ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და ქართული სულის უკვდავების მარგალიტად. იაკობ გოგებაშვილმა ასევე დიდი ამაგი დასდო საყმანწვილო ჟურნალებს „ნობათს“, „ჯეჯილსა“ და ნაკადულს.

გასაოცარი კეთილშობილებითა და პიროვნული ღირსების განცდით იყო განმსჭვალული მისი ცხოვრება, მატერიალურად ეხნმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს, სისტემატიურად უგზავნიდა ფულს რუსეთისა და სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ სტუდენტებს, ციმბირში გადასახლებულ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მოღვაწეებს. კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი ფაქტი - სიკდილის წინ იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი ქონება ქართვეთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. მისი ცხოვრება არის ცოცხალი მაგალითი ერის მსახურებისა და მოყვასის სიყვარულისა. 1876 წელს გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედა ენა“ რომელმაც დაამკვიდრა წერისა და კითხვის ერთად სწავლება – ეს იყო უდიდესი მიღწევა და გამარჯვება მისი მიგნებული სისტემისა და თავად ავტორისა. დღესაც კი, როცა ამხელა დრო გვაშორებს ამ მოვლენას, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სამაგიდო წიგნად რჩება თავისი უნიკალური პრინციპით, მარტივი და სადა ენით, გასაოცარი უბრალოებით, ქრისტიანული სულის კვეთებით. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება შეიძლება ოთხი ძირითადი ნაკადის ირგვლივ გაიშლაოს, ესენია: აღზრდის თეორია დიდაქტიკა განათლების სისტემა მასწავლებელი მართალია, ეს პირობითია და თან ზოგადი, რადგანაც მის ფარგლებში პედაგოგიკის თითქმის ყველა კლასიკოსი შეიძლება მოთავდეს, მაგრამ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრებისთვის იგი დამახასითებელიცაა და ამომწურავიც. იაკობ გოგებაშვილი მთელი შეგნებითა და ენერგიით მოითხოვდა ისეთი განათლების სისტემისა და სასწავლებლების შექმნას. „რომელსაც შეუძლია გამოუზარდოს ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველები“. საინტერესოა, თუ როგორია გოგებაშვილისთვის ახალი ტიპის ქართველი? გოგებაშვილის აზრით, ახალი ტიპის ქართველი უპირველესყოვლისა უნდა ეწინააღმდეგებოდეს

ძველი ტიპის ქართველს და ის უნდა იყოს აღჭურვილი მაღალი ცოდნითა და მტკიცე მორალით. ახლი ტიპის ქართველს ყველა ის თვისება უნდა ჰქონდეს, რომელიც განვითარებულ ადამიანს ახასიათებს. იაკობი განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანში ჰუმანურობას აქცევდა. მას მიაჩნდა, რომ ახალგაზრდების გულში მაღალი კეთილშობილური გრძნობების აღზრდა უფრო მთავარია, ვიდრე მათი გონების ცოდნით გამდიდრება, ამ პროცესის სათავეში, რა თქმა უნდა, მასწავლებელი დგას და სწორედ მას ევალება აღზარდოს ისეთი პიროვნება, რომელიც იაკობ გოგებაშვილისთვის წარმოადგენ ახალი ტიპის ადამიანს. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელიც საგანძურს წარმოადგენს თითოეული ქართველისათვის არის შემადგენელი ანალიზურ – სინთეზური მეთოდით. გოგებაშვილის აზრით, ანბანის შესწავლა უნდა დაიწყოს არა ასოებიდან, არამედ სიტყვებიდან. სახელმძღვანელოში მოთავსებული ყველა მოთხრობები და ლექსები, აღებულია ცხოვრებისა და ბუნების იმ მოვლენებიდან, რომელიც ბავშვებისთვის ახლობელი და ნაცნობია. „დედა ენა“ თვალსაჩინოების პრინციპის გათვალისწინებითაა შედგენილი. იაკობი არაერთხელ მიუთითებდა იმასაც, რომ აღზრდის პროცესში შეგნებულობის პრინციპის მართვა რთულია, თუ ამ პროცესში თვალსაჩინოებაც არ იქნა გამოყენებული. სასწავლო მასალის ათვისებისას ყველა სხვა დიდაქტიკური პრინციპის გამოყენებასთან ერთად აუცილებელია ცოდნის განმტკიცება, ნასწავლი მასალის გამეორებით, როგორც დიდი პედაგოგი ამბობდა: – „გამეორება ცოდნის დედაა“. „დედა ენის“ ენა, ტექნიკური მხარე: შრიფტი, დასურათება, ინტერვალი ასოებს შორის და სხვა ძირითადი მახასიათებლები, ლიტერატურულად დახვეწილი და ლოგიკურად გამართულია, ის ერთგვარ საგანძურს წარმოადგენს, რომელსაც გაფრთხილება და დაფასება სჭირდება, ასე რომ, სრულიად განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და დამსახურება ქართველი ერის ისტორიაში. იაკობმა ქართული პედაგოგიკა ქართულ სინამდვილეში მეცნიერულ საფუძვლებზე დააყრდნო. იაკობ გოგებაშვილი არის ადამიანი, რომელიც მრავალი ათეული წლის მანძილზე წვრთნის ქართველი ყმაწვილების, ახალგაზრდობის გულსა და გონებას თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით, სწორუპოვარი სახელმძღვანელოებითა და თავისი მწერლობით. ჩვენი მაცხოვარი, იესო ქრისტე, სახარებაში ორგზის მოიხსენიება „პედაგოგად“ – ის იყო, იქნება და არის კაცობრიობის ყველაზე დიდი მასწავლებელი. მის მოვლინებამდე და მას შემდეგაც ადამიანთა აღმზრდელებს შესაფერის პატივს მიაგებდა ყოველი დრო და კულტურული ერი. ამ აზრის კლასიკური გამოხატულება ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები: „მამამ სიცოცხლე მაჩუქა, ხოლო არისტოტელემ ის, რაც ამ სიცოცხლეს აზრს ანიჭებს“. საყოველთაო აღიარებით, ქართველთა უპირველესი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილია – ამ წერილში მის ღვაწლზე ვილაპარაკებთ, დავი-

წყობილად წყველაზე ზოგადით: 1. ქართველებს ოთხი უმთავრესი წიგნი გვაქვს: ბიბლია, ვეფხისტყაოსანი, ქართლის ცხოვრება და დედაენა, რომლის ავტორია იაკობ გოგებაშვილი;

2.თბილისში დედა ენის ძეგლი დგას – მსოფლიო არ იცნობს მთელი ხალხისგან სახელმძღვანელო წიგნის აღიარების მსგავს პცედენტს; 3.იაკობს სამშობლოში მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, რაც სახელის სიყვარულის უპირველესი გამოხატულებაა; 4. დაბადებიდან 100 წლისთავზე, 1840 წელს, იაკობი მთაწმინდაზე, ქართველ მოღვაწეთა მთავარ პანთეონში გადაასვენეს – ასეთი პატივი მხოლოდ განსაკუთრებით გამორჩეულ ადამიანებს მიეგებათ; 5.იაკობი თანამედროვე ქართული სკოლისა და განათლების ფილოსოფიის ფუძემდებელია თავის ქვეყანაში. მან დაამკვიდრა მეცნიერული პედაგოგიური კულტურა; 6.ამ მოღვაწის იდეალი იყო ევროპული საქართველო და ახალი ქართველი. მან შექმნა ქართული ცნობიერების მოდელი ახალი დროისათვის და სკოლას სწორედ ამგვარი ცნობიერების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების მისია განუსაზღვრა და დააკისრა; 7.იაკობმა ახალი და ძლიერი იმპულსი მისცა ქართველთა ოდინდელ იდეას - თავისუფლება საუშუალებაა და არა ოდენ მიზანი. თავისუფლება მხოლოდ ორ სხვა სიტყვასთან (გონიერებასა და ზნეობასთან ) ერთად აქვს არსება და აზრი - მისი წიგნები სწორედ ამგვარი სამების მასწავლებლობაა! იაკობ გოგებაშვილზე ფიქრი, თავისთავად, მოგვააზრებინებს პასუხს კითხვაზე - ვინ არის პედაგოგნი და რას ნიშნავს ასწავლო ადამიანს ? კონფუციუსის სიტყვებია: „ის, ვინც წარსულის ხილვისას ჭვრეტს მომავალს, ღირსია იწოდებოდეს მასწავლებალად“. ყველა ტრაგედია დროის დანაწევრებითა და გახლეჩვით იწყება - როდესაც წარსული, აწმყო და მომავალი შორდებიან, ადამიანები სულიერ საყრდენებს კარგავენ და ერთმანეთს უპირისპირდებიან. ამიტომაც ენიჭება განსაკუთრებული მიშვნელობა მასწავლებელს, რომელიც დროს გამამთლიანებელია. სწორედ მისი ფინქციაა, შეიცნოს, შეინახოს და ახალ თაობას გადასაცეს ცოდნა და ზნეობა. პედაგოგია ის ვინც ფაქტს, მოვლენასა თუ საქციელს მნიშვნელობასა და სტატუსს სძენს. შეიძლება ვილაცამ გმირობა ჩაიდინოს, სხვამ აღმოუჩინელი აღმოაჩინოს, მესამემ რაღაც არსებითად საჭირო შექმნას და ეს ყველასათვის უცნობი ან ნაკლებად მნიშვნელოვანი დარჩეს. როცა ყველაფერ ამას სახელს დაარქმევ, წიგნსა თუ მეხსიერებაში შეიტან და მასობრივი ცნობიერებების კუთვნილებად აქცევ, კონკრეტული ფაქტი მხოლოდ მაშინ გახდება ღირებულება. იაკობმა ბევრი ღირებულება დაუტოვა ქართველებს. არაფერი ისე არ აერთიანებს ერსა და სახელმწიფოს, როგორც ენა. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და მისი საწყისი - აი ია - მშობელი დედისა და პირველი მასწავლებლის ხმებთან ერთად სამუდამოდ დამკვიდრდა ყოველი ქართველის ცნობიერებაში. ეს წიგნი იყო და არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთ-



ნობიერ ერთობად განმტკიცების მნიშვნელობა. ამ თვალსაზრისით, იაკობი დიდი ქართველების - გრიგოლ ხანძთელის, გიორგი ათონელისა და სულხან - საბა ორბელიანის მაღალ სულიერი საქმიანობისა და ღვანლის ღირსეული გამგრძელებელია. აი იას წარმოთქმას სულერთი წამი უნდა. ეს არის, რომელიც ყოველი ქართველის ცხოვრებაში დგება და არასდროს მთავრდება - საქართველოში შეიძლება ყველაფერზე დაუსრულებლად იკამათონ და ეჭვსქვეშ დააყენონ, მაგრამ დედა ენის პირველ სიტყვებს ეს არასდროს ეხება. რატომ არის აი ია გენიალური მიგნება ? რატომ ვერ წარმოუდგენიათ ქართველებს ამ ორი მარტივი სიტყვის ერთობის გარეშე საკუთარ შვილთა აღზრდა ? ამის, სულ ცოტა ათი მიზეზი არსებობს;

1. ღვთაებრივი სიმეტრიის ჰარმონია. სიმეტრია ბავშვს თავიდანვე აჩვენებს და შეაგრძნობინებს, რომ სამყარო წესრიგია და ის ამ ჰარმონიაში უნდა ჩაერთოს.
2. სარკის პრინციპი. აი „ხედავს“ იას - თითქოს სარკეში იყურება. ეს არის საკუთარ თავში სამყაროს დანახვის უძველესი პრინციპი და კულტურა. საუკუნეების წინ იცოდნენ რომ, საკუთარი თავის შემცნობი სამყაროს წესრიგსაც შეიმეცნებს. ამიტომაც ეწერა დელფოსის ტაძრის შესასვლელში: „შეიცან თავი შენი“
3. წიგნი იწყება აზრით. აი ია - წინადადებაა. იაკობი ბავშვის განათლებას იწყებს არა ასოთი ან სიტყვით, არამედ, პრინციპულად - წინადადებით ან აზრით. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას რომ წინადადება მომქმედებას, დინამიკას მოიცავს. აქ არის არა მხოლოდ აღქმა, არამედ დამოკიდებულებაც (და - არაერთი!);
4. სანყისად გამოკვეთილია საგნის შეცნობა. პირველივე წინადადება ბავშვს აფიქრებს სამყაროს კონკრეტულ გამოხატულებაზე;
5. ფიქრის დასაბამს იძლევა სახელის დარქმევა - ეს არის რაღაც, რომელსაც ქვია ია. სახელის დარქმევა ფაქტისა თუ მოვლენის წიაღის დაუფლებას, მის არსებაში შეღწევას ნიშნავს;
6. ეს არის შემეცნების დაკავშირება მშვენიერებასთან აქ რეალიზებულია სამყაროს გონებითა (რაციო) და ემოციით აღქმის სინთეზის პრინციპი. ეს არის „შემეცნების ესთეტიკის დამკვიდრება - ჯერ კიდევ რუსთაველმა ახსენა გონიერი გული“, რაც ნებისმიერი პედაგოგიური სისტემის საოცნებო იდეალია;
7. აქ კოდირებულია აღმოჩენის სიხარულიც - აი, ეს არის ის, რასაც ია ჰქვია ! ძალიან მნიშვნელოვანია როდესაც ბავშვს, მოსწავლეს თავიდანვე ეუბნები, რომ წიგნთან ურთიერთ-ერთობა არა მხოლოდ შრომა, არამედ სიხარულიც არის;
8. წიგნი დასაწყისიდანვე გვაზიარებს ქართული მეტყველების მუსიკას. წინადადებაში ოთხი ხმოვნის მსუბუქი, ჰაეროვანი ჰარმონია შესანიშნავ ბგერით ხატს ქმნის;
9. აქ ვხედავთ ქართული დამწერლობის გრაფიკული გამოსახულების სრულ მქმნილებასაც - როგორც „ა“, ისე „ი“ სრულყოფილ სიმრგვალეს - წრეს უკავშირდება და განასახიერებს;
10. ეს არის, აგრეთვე, სამყაროს შექმნის, არსებობისა და დასასრულის გენიალური ხატი. ბიბლიაში წერია, რომ ღმერთი არის ანი და

ჰოე - სამყაროს დასაწყისი და დასასრული - სამყარო „განიფინება“ და ღვთისკენ „ბრუნდება“. აი იაში, ამ პატარა წინადადებაში, სიმბოლურად სამყაროს ისტორიაა მოცემული (ეს წინადადება პალინდრომია - „წალმა“ და „უკულმა“ ერთნაირად იკითხება და სახეობრივად განფენა - უკუქცევას წარმოაჩენს).

ქართველი ადამიანის ცნობიერება, მისი მენტალობა თითქმის ორი საუკუნეა „დედაენით“ ინყება და ყალიბდება, სამყარო „აი იათი“ შემოდის ჩვენს აღქმაში - ასე შესისხლბორცებული გვაქვს დიდი იაკობ გოგებაშვილის მიერ მოფიქრებული და საფუძველ ჩაყრილი სისტემა წერა კითხვისა, იგი უკვდავი თან მდევი სულია საქართველოსი! „აქ ილაღადებენ შენი ნაშრომნი და დარჩება - სამარადისოდ შენგან გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად იხსენიება“! ეს მარადიული თანამედროვის მარადიული შეგონებაა და აკაკი წერეთლის სამუდამო დამშვიდობებისა ღვანლმოსილიმეგობრისადმი დაიქცამარადისობისბინადრად დიდი იაკობი. მოგვიანებით იოსებ იმედაშვილმა ორი ბუმბერაზი მოღვანე - იაკობ გოგებაშვილი და ილია ჭავჭავაძე - შეადარა ერთმანეთს: „და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვისმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათქათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, - ძილში ჩაფლული ერის გამოღვიძებისაკენ მომწოდებელი, იაკობი - ბნელში სინათლის შუქი - სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯნის მიმწოდებელი!“ თავად იაკობი ილიასა და აკაკისთან თავის შედარებას უხერხულად მიიჩნევდა და თავმდაბლად უკან იხევდა. გაზეთ „ივერიაში“ (№83, 1900წ) გამოქვეყნდა ცნობა: „როგორც შევიტყუეთ, ბ - ბატონ იაკობს სიმონის - ძე გოგებაშვილის პატივისმცემელთ მის და პატივს საცემათ მისი, სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარეზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ“. იმავე გაზეთში იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის განცხადება: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან სჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუნადინებია გამართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით, ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო ხშირად უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ“ (გაზეთი „ივერია“, №85, 1900 წ.). მყინვარი და იალბუზი „მთავარმოღვაწენი“ იალია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი არიან... სხვაგვარად ფიქრობს აკაკი წერეთელი: „მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრო-

მით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა - ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩემი და იალიას ღვაწლი რა მოსატანია იმ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილ მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტყობება ყურში ჩაანწვთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა ! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“. იცოდნენ ფასი ერთმანეთისა... და მართლაც, ქართველი ერისთვის უდიდესი ბედნიერება იყო ის, რომ XIX საუკუნეში იალია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი მოგვივლინა ღმერთმა; დიახ, ნებისმიერი ერის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ისტორიას დაამშვენებდნენ ისინი; მით უმეტეს, ისეთი მცირერიცხოვანი და მძიმე ისტორიის ერისათვის არის ჭეშმარიტი ღვთისწყალობა მათი არსებობა... XIX საუკუნე გამორჩეული იქნებოდა ჩვენს ისტორიაში, ერთ - ერთი მათგანიც რომ მოევილინა ღმერთს... ჭეშმარიტად განუსაზღვრელია მათი როლი ჩვენი სინამდვილისათვის. ხოლო რაც შეეხება იაკობ გოგებაშვილს, ვფიქრობთ, დღესაც არ დაუკარგავს აზრი ვასილ ბარნოვის ნათქვამს: „იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს...“ ამიტომაც შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, თვალი გავადევნოთ იაკობის ღვაწლსა და ცხოვრების გზას. რა არის სამშობლო, მამული და როგორ უნდა ვემსახუროთ მას ? ეს უმთავრესი კითხვა იყო, რომელიც დასვა იაკობმა; დასვა და უპასუხა კიდევ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც. იაკობის აზრით, უმთავრესი „ბურჯი ჩვენი ეროვნებისა“ არის მამული, სამშობლო: „საძირკველს ნაციონალურის ძალისას შეადგენს ტერიტორია, მიწა - წყალი, მამული, სამშობლო.“ ხოლო თუ რა არის სამშობლო, იაკობი ასე განმარტავს:

„ბატონებო! მშობლური მიწა-წყალი, მამული მარტო ნივთიერი ფაქტორი არ გახლავთ. იგი ამასთან სულიერია, ცოცხალი არსებაა, თუ ერთ მხრივ იგი იპყრობს მამა-პაპათა გვამთა, მეორე მხრივ, მასში ტრიალებს წინაპართა დიდებული სული და ეს სული აცოცხლებს, ასულდგმულებს, აცხოველებს თანამედროვე თაობათა. წაართვით ერს მისი მიწა-წყალი, მისი ტერიტორიაა, და იგი დაჰკარგავს არა მარტო ნიადაგს არსებობისას, არამედ მოსწყდება იმ დიდებულს ისტორიულს სულსაც, რომელიც სამშობლოში ტრიალებს, და დაემსგავსება მუხის მოჭრილ რტოსა, რომელსაც გახმობა ვერ აცდება. ამისთვის მამულის დაკარგვა საშინელს უბედურებას შეადგენს.

სამშობლოს დამკარგავი ერი ვერ დაიცავს თავის არსებობას, ვერ გააგრძელებს სიცოცხლესა, და თუნდაც გააგრძელოს, თუნდაც

მოიპოვოს სიმდიდრე ვაჭრობით და მრეწველობით, მაინც და მაინც ყოვლად უბედური იქნება, იგი დაემსგავსება ბოგანო ადამიანსა, რომელსაც საკუთარი მინა და კერა არ გააჩნია... აი რისთვის საჭიროა, უკიდურესად სჭირო, რომ ქართველობამ სავსებით შეინარჩუნოს თავისი მინა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩააგდოს“

და იაკობ გოგებაშვილმა, ერთი მხრივ, თავისი სახელმძღვანელობით, ხოლო მეორე მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით, პუბლიცისტიკითა თუ პირადი ცხოვრების მაგალითით უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველობას „შეინარჩუნებინა თავისი მინა-წყალი, მამული და სხვა ხალხის ხელში არ ჩაეგდო იგი“... მოგეხსენებათ, იმდროინდელ ორკლასიან სამრევლო სკოლებში „დედაენა“ ისწავლებოდა, ოთხკლასიანი სასწავლებლის მესამე-მეოთხე კლასებში - „ბუნების კარი“. იაკობის გენიალური ნიჭის წყალობით, „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ისე იყო შედგენილი, იმდროინდელმა ოთხკლასდამთავრებულმა ყმაწვილმა უკეთ იცოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, ფოლკლორი და ეთნოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, ვიდრე დღევანდელმა საშუალო განთლების მქონემ... „დედაენის“ პირველი ნაწილიდან მეორე ნაწილზე, „დედაენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლის გასაადვილებლად შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოები („კოკორი“, „კუნწულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“), საგანგებოდ შეთხზული ისტორიული თუ სხვა მოთხრობები, ძირითად სახელმძღვანელოებთან ერთა, ქართველში ქართულ სულს აღვიძებდა, ანრთობდა; ქართველს ქართველად ზრდიდა. „დედაენის“ მიზანდასახულებაზე როცა საუბრობდა, წერდა ერთგან: „დედაენა“ ყველა მონაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს, საზოგადოდ“ და იქვე: სახელმძღვანელოების შექმნის დროს „ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გული“. სიმტკიცე უპირველესი ბურჯისა - მამულისა - დიდად განსაზღვრა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობამ.

ნებისმიერი ერი ინატრებდა ეროვნული ენის ისეთ ქომაცსა და მზრუნველს, როგორც იყო იაკობ გოგებაშვილი. ობიექტურია აკაკი წერეთლის ზემოთ მოყვანილი შეფასება. იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოების წყალობით პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მაშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება. იაკობის „დედაენისა“ და „ბუნების კარის“ ენა არის ფაქტობრივი ნორმა იმ დროინდელი ქართული სალიტერატურო ენისა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სასწავლებელთა დიდი ნაწილი ორკლასიანი იყო და მხოლოდ დედაენა ისწავლებოდა, ქართული სალიტერატურო ენის გავრცელებისა და დამკვიდრების მთელი სიმძიმე მთლიანად დედაენას დააწვა.

იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში განვითარებასა და დამკვიდრებაში ისეთივე როლი შეასრულა, როგორც წმინდა სახარებამ ძველი ქარ-

თული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. და ეს არის იაკობ გოგებაშვილის უდიდესი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. სწორედ ამას გულისხმობდა ზაქარია ჭიჭინაძე, როცა წერდა: „გოგებაშვილმა თავის „დედა - ენაში“ აღადგინა დაცემული ენა ქართველთა... და ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემისა და ხეობის მონათესავენი ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს. ყველგან ამ წიგნის მეოხებით ქართული ენა ეფინება...“

ენობრივი მთლიანობა რომ ეროვნული მთლიანობის საფუძველია, ამას ჯერ კიდევ X საუკუნის მოღვაწე გიორგი მერჩულე ქადაგებდა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“. იაკობ გოგებაშვილი რომ გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, „ეს ის დრო იყო, როდესაც მშობლიური ენა დევნილი ენა იყო სკოლებში, პატივაყრილი - ოჯახებში“ (თ.სახოკია); ე. ი. ეროვნული მთლიანობა დარღვეულია. ამ მთლიანობის აღდგენა იაკობმა იკისრა თავისი „დედაენით“. შ. დადიანი წერდა: „დედაენა“ ამაფეთქებელი ნაღმოსანით მისრიალებდა ჩვენს მიუვალს მთა - კლდეებში - თუშეთსა და სვანეთში, - მიდიოდა ბარად, შეუყვებოდა აჭარასა და მესხეთს და ყველგან სძრავდა ენას საქართველოდ, ყველგან აფეთქებდა გრძნობას ეროვნულსა. ამ კაცს სხვაც რომ არ გაეკეთებინა რა, მარტო ამ ღვაწლისათვის იქნებოდა საპატიო და თაყვანსაცემი...“ და ერთი ამონარიდიც: „დედაენამ“ მკაცრად შეუტია უნიგნურობას, კუთხურობასა და ტომთა შორის კარჩაკეტილობას, განავრცო სიტყვა ქართული ამერ-იმერი ერთიანი სახალხო ენით აამეტყველა, დააკავშირა; მნიგნობრობის გავრცელებასა და ქართველი ხალხის კონსოლიდირებაში „დედაენის“ როლი ფასდაუდებელია“ (ვალერიან რამიშვილი).

იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ქართული ეროვნული სკოლა ქართველობის, ქართული ეროვნულების უმთავრეს ბურჯად გამოცხადდა. როგორც ავლნიშნეთ, ილია ჭავჭავაძის ცნობილ ტრიადას - მამული, ენა და სარწმუნოება - იაკობმა მეოთხე ფენომენი დაამატა და გამოაცხადა, რომ ჩვენს ეროვნულებას ოთხი ბურჯი აქვს - მამული, ენა, ეროვნული სკოლა და სარწმუნოება. მისი აზრით, ერთ-ერთი მათავარი „ბურჯი ერის წარმატებისა გახლავთ სკოლა. რომელ ქვეყანაშიაც კი უმრავლიათ სკოლები. ყველგან მათ მოუხდენიათ საოცარი ძირითადი ცვლილება: ერი გამდიდრებულა ცოდნით, ამაღლებულა ზნეობით, ავსილა დოვლათით“. მეთელი შეგნებული ცხოვრება იაკობ გოგებაშვილისა იყო მცდელობა იმისა, ერი გაემდიდრებინა ცოდნით, ამაღლებინა ზნეობით და აევსო სწავლის დოვლათით.

იმისათვის, რომ შექმნილ გარემოებებს არ აექულებინა სხვა სამსახური ეძებნა, სხვაგან ემსახურა, გარდა სკოლისა (ე. ი. არ მომ-

ცდარიყო, მისი აზრით, უმთავრესს), იგონებენ, მან თავისი საგანმანათლებლო დოკუმენტები „ცეცხლს მისცა!“ ამით შემთხვევითობაც კი გამოირიცხა, თუნდაც დროებით მოშორებოდა სკოლას.

თუ ქართველ ერში XIX საუკუნეში სწავლა-განათლება ხელმისაწვდომი გახდა თითქმის ყველასთვის (განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა), ამაში დამსახურება იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის. მისი ზოგადი პოზიცია ასეთია: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი დაუდგება: ვერ მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძღურებელი ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“.

როცა ეროვნული სკოლის წარმატებაზე ვსაუბრობთ, როცა პედაგოგიკაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე ვსაუბრობთ, უპირველესად მისი „დედაენა“ უნდა ვახსენოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში „დედაენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა. 1876 წლიდან მოყოლებული „დედაენამ“ გაუძლო ყველანაირ კონკურენციას; დრომ მას დიდება ვერ წაართვა, პირიქით მისი ფასი დროთა განმავლობაში იზრდება. როცა „დედაენა“ შექმნა, იაკობი 35 წლისა იყო!...

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ფასდაუდებელია „ბუნების კარის“ როლი. ამ უნიკალური ენციკლოპედიური წიგნის ტოლფასი სახელმძღვანელო არა თუ ამჟამად, დღესაც არა გვქვს (ესეც ვთქვათ: „ბუნების კარი“ 28 წლის ყმანვილი ქმნის!)... გავიხსენოთ: იაკობ გოგებაშვილი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე „დედაენითა“ და „ბუნების კარით“ მოზარდ თაობას იმდენ ცოდნას აძლევდა საქართველოს შესახებ (ენისა, ლიტერატურისა, ფოლკლორისა, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა, გეოგრაფიისა), რასაც, სამწუხაროდ, დღევანდელი საშუალო სკოლაც ვერ აძლევს მოსწავლეს. ოთხკლასიან სასწავლებლებში I-II კლასებში „დედაენა“ ისწავლებოდა, III-IV კლასებში - „ბუნების კარი“.

გავითვალისწინოთ ისიც, რომ იაკობმა „დედაენისა“ და „ბუნების კარის გვერდით შექმნა „Русское слово“ - რუსული ენის სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის. ეს არ იყო რუსეთში შექმნილი სახელმძღვანელოს საანბანე გაადმოდება ქართული სკოლებისათვის; თემატურად, პრინციპებით ეს სახელმძღვანელო ქართული ენის სახელმძღვანელოების საუძველზე შეიქმნა, საგანგებოდ ქართველი ბავშვებისათვის და ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება ყოველთვის... იაკობის მთავარი დევიზი იყო: „საჭიროა საქართველოს ეროვნულ ეტლში შევაბათ ძირში ქართული ენა და კევრად მივაბათ რუსული ენა და სხვა ენები“. და იაკობი მთელი თავისი შესაძლებლობით იბრძოდა ამ აზრის ხორცშესხმისათვის.

დიადი მიზნის მისაღწევად მხოლოდ სახელმძღვანელოების შექმნა არ იყო საკმარისი.

იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი იდეისა - დაარსებულიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება; არის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი ამ იდეისა. საზოგადოება დაარსდა 1879 წელს (თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი, მოადგილე - ილია ჭავჭავაძე, იაკობი გამგეობის წევრი იყო სიცოცხლის ბოლომდე). სწორედ ამ გამგეობის სამართალ მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს 1960 - წელს შექმნილი საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი, რომელიც მუხლჩაუხრელად შრომობს იაკობის იდეების გასაგრძელებლად რეალურ ცხოვრებაში! დიას აქ პედაგოგიური სპექტრის ერთიან სივრცეში უამრავ კარგ, მეცნიერულ, შემოქმედებით, პედაგოგიურ და სააღმზრდელო საქმეს ეყრება საფუძველი, წინამდებარე ჟურნალიც კი, იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის მიერ იქნა აღდგენილი და პირვანდელი სახის შენარჩუნებით ისევ პერიოდულ გამოცემად იქცა...

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ იაკობის შეხედულებას ქართული ეკლესიის თაობაზე. თავის ნაშრომში „ქართული მიმართულება“ იაკობი ვრცლად მსჯელობს ქართული ეკლესიის დანიშნულებაზე, მის როლზე და იმ პრობლემებზე, რომელიც დგას ქართული ეკლესიის წინაშე. იმ დროისათვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მოვიყვანთ ვრცელ ამონარიდს:

„ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის წარმატებისა არის ეკლესია. წინად ჩვენი ეკლესია სასიქადულოდ აღსრულებდა თავის მაღალს დანიშნულებასა. მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰფინა ველნი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შექქმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-კი გახადა ასპარეზად სახარების ძლევა-მოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა. ახლარალასა ვხედავთ? მონასტრები და ეკლესიები დაცარიელდნენ და დღითიდღე უფრო ცალიერდებიან, სახარების ქადაგება იშვიათად ისმის და ისიც ისეთის ენით, ისე უგულოდ, რომ ხალხზე არავითარი გავლენა არა აქვს, სარწმუნოებრივი გრძნობა ჩამქრალია, ზნეობა დაეცა, წარმართულნი, პირუტყული მიდრეკილებანი უფრო და უფრო იღვიძებენ და ძლიერდებიან.

კარგად მოგეხსენებათ, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეციაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა,

წარმატებისა. ზნედაცემული ხალხი მაშინაც-კი წააგებს ბრძოლას არსებისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული. იმპერატორების დროის რომი ბევრით სჯობდა სცოდნით ძველს რომსა; მაგრამ პირველი მუდამ იმარჯვებდა უძლიერესს მტრებზე იმის გამო, რომ სპეტაკი ზნით ბრწყინავდა; მეორე-კი უვიცმა, ველურმა ხალხებმა ფეხქვეშ ჩაიგდეს, გათელეს და შემუსრეს, იმიტომ რომ ზნეობრივი გახრწნილობით იყო შეპყრობილი. ჩვენს ერსაც ამისთანავე ბოლო მოეღის, თუ სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავისს კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავისი მაღალის დანიშნულებისა.

იაკობმა შეადგინა „საღმრთო ისტორია“. სამწუხაროდ, ეს წიგნი იაკობის სიცოცხლეში არ გამოცემულა; თუმცა არ გამოცემის მიზეზიც ნიშანდობლივია იაკობის პიროვნების დასახასიათებლად; იაკობი წერს: „ერთ დროს ჩვენ ხელი მივყავით საღმრთო ისტორიის შედგენას, რადგანაც კარგად შემუშავებული საღმრთო მოთხრობებს აღმზრდელი გავლენა აქვს ყმანვილებზე. ძველი აღთქმა უკვე გათავებული გვქონდა და გამომცემელთანაც პირობა შეკრული, როცა ბ-ნი იოსელიანისგან შევიტყვე, რომ მას უკვე მზად აქვს დასაბეჭდათ საღმრთო ისტორია. ამის შემდეგ ჩვენის შრომის გათავებაზედ არამც თუ ხელი ავიღეთ, არამედ ბ-ნი იოსელიანი მივიყვანეთ გამომცემელთან და ამ აუკანასკნელს ვურჩიეთ, დაებეჭდა მისი წიგნი და იმედი და აღარა ჰქონდა ჩვენგან ისტორიის გათავებისა“.

ი.გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“ XX საუკუნის ბოლოს გამოიცა და დღესაც ასრულებს ამ საპატიო მისიას.

როცა იაკობის ღვაწლზე ვსაუბრობთ, უნდა შეჩერდეთ მის პიროვნულ ღირსებებზეც - როგორც მაგალითზე თავისი თანამედროვეებისა თუ შთამომავლებისათვის... დიდკაცობის, ღირსეულკაცობის გაკვეთილებიც ღვაწლია იაკობისა, ღვაწლი სამარადისო...

იაკობ გოგებაშვილი გამორჩეული იყო, როგორც პიროვნება. რამდენიმე ფრაგმენტი ცნობილი გერმანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის არტურ ლაისტის მოგონებიდან: „იაკობ გოგებაშვილს მტკიცე და შეურყვნელი ხასიათი ჰქონდა. ამასთან ძლიერ გულკეთილიც იყო, რაც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. მისი პატიოსნება ყველამ იცოდა. ილია ხშირად აქებდა გოგებაშვილის ნიჭსა და მოღვაწეობას... გოგებაშვილი ფაქიზი და ნათელი პიროვნება იყო, ნამდვილი პედაგოგი - მწერალი. იგი თავის სიცოცხლეში მუდამ სწავლობდა და სხვასაც ასწავლიდა. არ მახსოვს, რომ კითხვაში ან წერაში არ ყოფილიყო გართული... საზოგადოდ, გოგებაშვილს მშვიდი და წყნარი ცხოვრება უყვარდა. მისი ტრფიალი მხოლოდ სამშობლო და პედაგოგიკა იყო.“

იაკობი ასკეტური ცხოვრებით ცხოვრობდა. ფილიპე გოგიჩაიშვილი იგონებს: „იაკობი განდევილა ცხოვრობდა, განმარტოებულად, უოჯახოდ, უცოლშვილოდ. ამის მთავარი მიზეზი იყო, რამდენადაც ვიცი მისი ავადმყოფობა; იგი ახალგაზრდობიდანვე ქლექით იყო



დაავადებული (გასათვალისწინებელია ისიც, იაკობის დედა და დები ქლექით გარდაიცვალენ -გ.გ) და ამიტომ მან ნება არ მისცა თავის თავს ცოლ-შვილისათვის მოეკიდა ხელი, დასძლია სიყვარული, რომელიც, როგორც გამიგია, ერთ დროს უღვივოდა ერთი ჩინებული ახალგაზრდა ქართველი ქალის მიმართ“ (ფ. გოგიჩაიშვილი, 1990, გვ. 450). ოჯახის შექმნის საკითხი მისი პიროვნული ბუნების უაღრესად საინტერესო სახის მაჩვენებელია. ამიტომაც ამახვილებენ ამ ფაქტზე განსაკუთრებულ ყურადღებას მისი თანამედროვენი. ალექსანდრე მიქაბერიძე წერს: „იაკობი დიდი სიფრთხილით, დიდი სერიოზულობით უდგებოდა თავის დაცოლშვილების საკითხს. ესეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა იაკობს ეძნელებოდა; იაკობი ჰფიქრობდა, რომ იგი ავადმყოფი ადამიანია, რომ მას განსაკუთრებული სენი შთამომავლობით აქვს ნაანდერძევი და ამიტომ ზნეობრივი უფლება არა აქვს ცოლ-შვილს მოეკიდოს და ამგვარად მსხვერპლად შეინიროს საყვარელი ადამიანი და მასთან ერთად მომავალი შთამომავლობაც“. ამასვე წერს შიო მღვიმელიც.

იგონებენ, რომ იაკობი საოცრად მონესრიგებული პიროვნება იყო. „თავის დღეში იგი მცირეოდენ უნესრიგობასაც კი არ შეიტანდა არც სმა-ჭამაში, არც გართობაში, არც სეირნობაში, არც მოსვენებაში... საერთოდ არ უყვარდა წვეულებაში ან სტუმრად წასვლა“ (ფ.გოგიჩაიშვილი)

საარაკო იყო მისი გულწრფელობა და ჭეშმარიტების სიყვარული. წერენ: „ყველამ იციოდა რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის გულწრფელი იყო შეცდომაშიც და ჭეშმარიტებაშიც და ყველა პატივსცემდა ამ გულწრფელობისა და პირდაპირობისათვის“ (ფ.გოგიჩაიშვილი)

ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში იგი უკომპრომისო იყო და ბოლომდე იბრძოდა. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „იაკობი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდა“. იაკობის პიროვნული დახასიათებისათვის ესეც გავიხსენოთ: იგივე ი.იმედაშვილი წერს: „როგორი იყო როგორც მებრძოლი, სამშობლო ქვეყნის უფლებათა, პედაგოგიურ შეხედულებათა და საკუთარი რწმენის დაცვის საქმეში?

დაუნდობელი, პირდაპირი, შეუდრეკელი, ურყევი !

სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე, მტრის წინააღმდეგ ხმალამოლებული“.

და დღეს ქართველ ერს, მართლაც გვაქვს საზეიმო, ეს ზეიმი კი მეცნიერების, პედაგოგიკის, კულტურის, ხელოვნების, აღზრდისა და უპირველესად ენის ზეიმია! ხელიხელსაგოგმანებელი მასწავლებელთა-მასწავლებილის დიდი იაკობ გოგებაშვილის დაბადების საიუბილეო დღის ზეიმია !

ლიტერატურა:

არაბოელი (ნ. ლომოური). იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

ზ.ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991.

ვ. გაგუა, დ.გურგენიძე, გ.სიხარულიძე, იაკობ გოგებაშვილი: რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1989.

გ. გოგოლაშვილი, ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან: „ჩვენი მწერლობა“, №14, 2009.

ქ. ზარანდია - „პედაგოგიური მოძღვრება“ - თბ. 2019;

გ.თავზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

ი. იმედაშვილი, სინათლის შუქი - სიბნელის მფანტველი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

დ.კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1940

არტურ ლაისტი, იაკობ გოგებაშვილი: იაკობის სამრეკლო, თბ., 1990.

ნ.ლომოური, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი: ზ. ბოცვაძე, იაკობ გოგებაშვილი, თბ., 1991

გ.მურღულია - „ისტორიის განუშორებელი ნაწილი“ 2018;

ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკო გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ქართველი მწერლების ნაწერებს, დღეს-დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ ! იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ერს, ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა...

აკაკი წერეთელი

# გუჩუი-განათლებისა და კულტურის ალმავლოვისა

ფასდაუდებელი და განუზომელია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების როლი განათლების, ეროვნული კულტურის აღორძინება-აღმავლობასა და ეროვნული სულის აღზევებაში. დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებულ, მრავალტანჯულ აჭარას კი საზოგადოებამ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, თავისი მზრუნველი ხელი გადააფარა.

ერის სულიერმა მოძღვარმა, დიდმა ილიამ იმთავითვე ბრძნული გონებით განჭვრიტა, რომ რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში ქვეყანას ყველაზე მეტად სკოლების გახსნა, ქართული ეროვნული პედაგოგიური აზრისა და განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება-განვითარება, ქართველ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივება-გაძლიერება სჭირდებოდა. იგი წერდა: „სკოლა ერს გონებითა და გულით გაღვიძებულ კაცს უმზადებს.“ იმ დროს სწორედ გონებით და გულით გაღვიძებული მამულიშვილები სჭირდებოდა საქართველოს. ამიტომაც იყო, რომ ქართველი ერის მონინავე, პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები განათლებისა და კულტურის აღორძინების სამსახურში ჩადგნენ. მათთვის

უპირველეს, ეროვნულ-პატრიოტულ საზრუნავს სახალხო სკოლების გახსნა, ერის გამთლიანება, მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერება, სწავლა-განათლებისადმი ინტერესის გაღვივება, ეროვნული სულის აღზევება წარმოადგენდა.

საზოგადოების დაარსების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. იგი წერს, რომ საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა დაიბადა ჯერ კიდევ 1864 წელს. დაიწყო გამოჩენილი ადამიანების შეკრებები ცნობილი მოღვაწის იოსებ მამაცაშვილის ლიტერატურულ სალონში. საზოგადოებამ გორის მაზრის სოფელ ხოველში გახსნა სკოლა. სადაც მეოთხე კლასამდე სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეოთხე კლასში ცარიზმის მოხელეთა დაჟინებული მოთხოვნით ყველა საგანი რუსულ ენაზე უნდა ესწავლებინათ. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არცერთი სხვა სკოლა ამ წრეს არ გაუხსნია და მხოლოდ სოფლის ერთს სკოლას წარმოადგენდა“.

ასევე ცნობილია „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოება“, რომელიც საზოგადო მოღვაწემ გიორგი ერისთავმა ჩამოაყალიბა. 1879 წელს ამ საზოგადოების ინი-

ციატივით თბილისში გაიხსნა სკოლა, რომელშიც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა. სკოლას გააჩნდა პანსიონი. მოსწავლეებს ჰქონდათ უფასო კვება. სკოლას დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე.

ცხადია ერთი და ორი სკოლის გახსნა ამინდს ვერ შექმნიდა, ვერ უზრუნველყოფდა იმ ამოცანების რეალიზებას, რაც ქართველ მამულიშვილებს ჰქონდათ დასახული. თუმცა მაინც წინგდადგმული ნაბიჯი იყო. ისინი იმ ქართული სახალხო სკოლების ჩანასახს წარმოადგენდნენ, რომელთაც შემდგომში ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ხსნიდა.

„საქმის მდგომარეობამ დაგვარწმუნა, - ამბობდა იაკობი, - რომ ჩვენის მიზნის და წადილის მისაღწევად კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებული.“

მონინავე ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეუდგნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისათვის წინადაგის მომზადებას. დიდი დრო, ენერგია და ძალისხმევა დასჭირდა საზოგადოების წესდების შედგენას და წინასაორგანიზაციო საკითხების მოგვარებას. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და პრობლემად იქცა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხი. საზოგადოებამ იმთავითვე სწორი კურსი აიღო და ქართველი ერის

ბურჯად მშობლიური ენა გამოაცხადა, მაგრამ წესდებაში ამის დაფიქსირება სარისკოდ მიაჩნდათ. იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს: „როცა 1876 წელს მოვიწადინეთ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსება ვახტანგ თულაშვილმა თანახმად ჩემი თხოვნისა, ხარკოვიდან გამოიწერა წესდება იქაურის წერა-კითხვის კომიტეტისა. მასში არ აღმოჩნდა პარაგრაფი შესახებ იმისა, რომ დედაენაზე უნდა ეწარმოებინა კომიტეტს სკოლებში მთელი სწავლება. დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე და სხვები შიშობდნენ, საშიშრად რაცხდნენ ხსენებული პარაგრაფის შეტანას. ვაი თუ ამ პარაგრაფმა წესდების შეწყნარებას, მის დამტკიცებას ხელი შეუშალოსო.“

მაშინ მე ყოველი ღონისძიება ვიხმარე დამეჯერებინა ჩემი თანამოღვაწენი, რომ თუ ამ პარაგრაფს არ შევიტანთ წესდებაში და არ მოვიპოვებთ ძირითადს უფლებას, ჩვენი სკოლები ქვიშაზე იქნება აგებული... ბოლოს დამეთანხმნენ და მე წესდებაში ჩავუმატე, ჩემი საკუთარი ხელით შვიტანე პარაგრაფი სწავლების მშობლიურ ენაზე წარმოების შესახებ“.

1878 წლის 20 ივნისს წესდება 126 დამფუძნებლის ხელმოწერით ილია ჭავჭავაძემ, დიმიტრი ყიფიანმა და ბესარიონ ლობერიძემ დასამტკიცებლად წარუდგინეს კავკასიის მეფისნაცვალს. დიდი ძალისხმევა დასჭირდა მის დამტკიცებას. ამ საქმეში ქართველი მოღვაწეებისათვის ქმედითი დახმარება

გაუწევია ილია ჭავჭავაძის ქვისლს, გენერალ დიმიტრი სტაროსელსკის, რომელიც მაშინ კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე იყო.

1879 წლის 31 მარტს, დიდი იაკობის თქმით, მთელი წესდება მის მიერ ჩამატებული დედაენაზე სწავლების პარაგრაფით შეწყნარებულ იქნა მთავრობისაგან და კანონად დაედო წერაკითხვის საზოგადოებას. ამ ფაქტმა, როგორც მკვლევარები წერენ, ქართველ ინტელიგენტთა შორის ენით გამოუთქმელი სიხარული გამოიწვია. ეს იყო ქართველი ინტელიგენციის გამარჯვება, რომელსაც ქართველი ერის ბედ-იღბალი უნდა გადაეწყვიტა. სწორედ აღნიშნული წესდებით გახდა შესაძლებელი საზოგადოებას გაეხსნა სახალხო სკოლები, სადაც სწავლება დედაენაზე იქნებოდა დაფუძნებული. ეს იმ დროისათვის უდიდესი მონაპოვარი იყო.

კამათი გამოუწვევია იმასაც, თუ რა ეწოდებინათ საზოგადოებისათვის. გრიგოლ ორბელიანის წინადადებით ეწოდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“.

1879 წლის 15 მაისს, დღის 11 საათზე თბილისის საადგილმამულო ბანკის დარბაზში, დიმიტრი ყიფიანის თავმჯდომარეობით გაიმართა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა. ესწრებოდა 45 დამფუძნებელი წევრი და წევობის მსურველნი. დიმიტრი ყიფიანმა ყრილობას გააცნო წესდების დამტკიცების

სრული გარემოება, ყურადღება გაამახვილა საზოგადოების წესდებაზე, მიზანზე, მომავალ გეგმებზე. აღნიშნა, რომ საზოგადოებას შეადგენს ამაჟამად 126 დამაარსებელი. დღეს კი 60-მა კაცმა გამოაცხადა სურვილი და საზოგადოების ნამდვილ წევრად იქნა არჩეული.

დამფუძნებელმა ყრილობამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია უფ. დიმიტრი ყიფიანი, ხოლო გამგეობის წევრებად - ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის მოადგილე ანუ ამხანაგი), ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ალექსანდრე სარაჯიშვილი (მდივანი), რაფიელ ერისთავი (ხაზინადარი), იონა მეუნარგია (საქმის მწარმორბელი). ყრილობამ დაამტკიცა საზოგადოების კანდიდატები, განისაზღვრა ისიც, რომ არჩევნები გაიმართებოდა ყოველ სამ წელიწადში.

ილია ჭავჭავაძე მიესალმა საზოგადოების დაარსებას და როგორც მისებრ ჭკვიან, ბრძენ, განსწავლულ კაცს შეეფერება მკაფიოდ, ნათლად და დამაჯერებლად განსაზღვრა მისი მიზანდასახულობა და დანიშნულება. მან გამჭრიახი გონების გასაოცარი ძალით და დიდი ორგანიზატორული ნიჭის წყალობით შთაჰბერა სული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და მძლავრი გავლენა მოახდინა მის მთელ საქმიანობაზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1879 წელსავე სკო-

ლა გახსნა თბილისში. სკოლას უნარიანად ხელმძღვანელობდა, სკოლის სული და გული იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მარიამ ორბელიანი. სწორედ ამ საზოგადოების მიერ თბილისსა და ქუთაისში დაფუძნდა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები.

ერის სულიერი ბელადი, როგორც ზემოთ აღინიშნა წინასწარ ჭკვრეტდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა, როგორ ემოქმედა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. მისი ბრძნული აზრით საზოგადოებას თავისი პირველი შემწეობა იმ ადგილას უნდა აღმოეჩინა, სადაც სკოლები საერთოდ არ იყო. მაგალითად, დუშეთის მაზრაში ერთი სკოლაც არ არის თურმე, აღნიშნავდა იგი. ახალქალაქის მაზრაში მარტო ორია, თიანეთში მხოლოდ ერთი და ახლად შემოერთებულ საქართველოში - სულაც არც ერთი. ამ ადგილებში უსათუოდ უნდა გაჰმართოს საზოგადოებამ სკოლები, თუნდაც საკუთარი ხარჯითაც... გარდა ამისა, საზოგადოებამ მიუცილებელ საჭიროებად უნდა სცნოს ქართულის წიგნის და სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამრავლება.

დროთა განმავლობაში წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დააფუძნა და თავისი მზრუნველობა-მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა საქართველოში არსებული ქართული სკოლები. კერძოდ, თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, სვანეთში (სოფელ ბე-

ჩოს სკოლა), გურიაში (ჩოჩხათის სკოლა), სამეგრელოში (ძველი სენაკის სკოლა), კავკავში, დიდ იონეში, წინარეხში, თონეთში, ყალამაშაში, ხელთუბანში, გომარეთში, გერგეთში, თელავში, ატენში, ბორჩალოში, ვარიანში, ზუგდიდში, ნავთლულში, საგურამოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ. იმდენად დიდი იყო საზოგადოების მოქმედების არეალი, რომ იგი მთელ კავკასიას მოიცავდა. აქ გახსნილ სკოლებში 1914 წლამდე მშობლიურ ენაზე განათლება მიუღია 26 763 ქართველ ახალგაზრდას. ამ დროისათვის ე. ი. 1914 წლისათვის საზოგადოებას დაარსებული ჰქონია 84 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საზოგადოების სიძველეთსაცავ-მოზუუმებში აღრიცხული იყო 12-ათასამდე ძეგლი. გამოიცა 108 სახელწოდების წიგნი.

საზოგადოება ქმედით დახმარებას უწევდა რუისში, ახალგორში, კავთისხევში, მეტეხში, ჯავახეთში (ხიზაბავრი, ხერთვისი, ბარალეთი), ახალციხესა და ხეთაში არსებულ საუნწყებო სკოლებს.

საზოგადოებას მხარში ედგნენ და მის მუშაობაში, კერძოდ, რეგიონული განყოფილებების და სამკითხველოების გახსნის, სახელმძღვანელოების შექმნის და მასწავლებელთა მომზადებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ცნობილი ქალბატონები: ანასტასია თუმანიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ეკატერინე მელიქიშვილი, მარიამ დემურია, დესპინე გელოვანი, მაჯორი უორდროპი, ელისაბედ საგინაშ-

ვილი, ნინო და მარიამ ორბელიანები, ნინო ნაკაშიძე, ქეთევან ჟურული და სხვები. ისინი ძალისხმევას არ იშურებდნენ საიმისოდ, რომ განათლება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა წოდების წარმომადგენლის ვაჟებისა და გოგონებისათვის.

წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სკოლებისა და ბიბლიოთეკების გახსნით, სასწავლო-სახელმძღვანელო და სხვადასხვა დასახელების საკითხავი წიგნების გამოცემით, საღამოების, წარმოდგენების, სპორტული შეჯიბრებების გამართვით დიდი სახელი და ავტორიტეტი დაიმკვიდრა. მეტად აქტიურ, ნაყოფიერ, საჭირო და სასარგებლო საქმიანობას განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ საზოგადოებას სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ ისეთი გამოჩენილი პიროვნებები, ერის დიდი შვილები და ქვეყნის მამულიშვილები, როგორებიც გახლდათ დიმიტრი ყიფიანი (1879-1882), ივანე ბაგრატიონი-მუხრანსკი (1882-1885), ილია ჭავჭავაძე (1885-1907), გიორგი ყაზბეგი (1908-1921), იასონ ლორთქიფანიძე - (1921-1927) (ვიკიპედიის მასალის მიხედვით 1918-1922 წლებში საზოგადოებას ხელმძღვანელობდა დავით კარიჭაშვილი. ცხადია ეს მასალა საჭიროებს დაზუსტებას).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კიდევ ერთ, დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდა. იგი მხარში ედგა და ფინანსურ დახმარებას უწევდა იმ ნიჭიერ, ხელმოკლე ახალგაზრდებს,

რომლებიც რუსეთში ან ევროპის სხვა ქვეყნებში სწავლობდნენ. ასევე ზრუნავდა და ეხმარებოდა ქართველ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს ალექსანდრე ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, ვაჟა-ფშაველას, იროდიონ ევლოშვილს... საყურადღებოა გერმანიიდან აკაკი შანიძის მიერ ნიკო ცხვედაძის სახელზე გამოგზავნილი ბარათი, რომლითაც დახმარებას თხოვდა იგი საზოგადოებას. ასევე ყურადღებას იპყრობს ქობულეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხუცუბნის მკვიდრის სულეიმან კაიკაციშვილის მოგონება. იგი წერს: “1914 წელს ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მე და მურად გუნთაიშვილი გაგზავნილი ვიქენით თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, სადაც ჩაგვრიცხეს შესაბამის კლასებში. ასეთი მაგალითები კი არაერთი იყო.

საზოგადოებას დამფუძნებელ, ნამდვილ და დამხმარე წევრებს გარდა ჰყავდა საპატიო წევრები: პროფესორი დ. ჩუბინიშვილი, ნიკო დადიანი (მინგრელსკი), ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა და სხვები. დიდი ილიას ცხოვრების ერთგული მეგზური ოლღა გურამიშვილი თბილისში ატარებდა ლატარიას. აქედან მიღებულ თანხას კი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სწირავდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი მეცენატების, ძმები ზუბალაშვილებისა და დავით სარაჯიშვილის თანადგომა საზოგადოებისადმი. მათ დიდძალი თანხა შეიტანეს ბანკში

საზოგადოების სახელზე. თბილისის საადგილმამულო ბანკმა კი, რომლის თავკაციც დიდი ილია გახლდათ 11 ათასი მანეთი ჩარიცხა საზოგადოების ფონდში. ამავე რაოდენობის თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმაც.

ბათუმში სკოლის გახსნა იმხანად იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საქმის მოგვევარებას დიდი ილია თავად ჩაუდგა სათავეში. დიდ ერისკაცს სამჯერ მოუხდა ბათუმში ჩამოსვლა მატერიალური ბაზის მოსამზადებლად და ფინანსური საშუალებების გამოსანახად. და აი 1881 წლის 12 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, გახსნას ილიაც დაესწრო და შთამბეჭდავი სიტყვაც წარმოთქვა. ამ ისტორიული მოვლენის გამო გაზეთი „დროება“ 1881 წლის მარტში წერდა: „ძლივს! როგორც იყო ძლივს გვალირსა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი სასწავლებლის გახსნა ბათუმში, რომლისთვისაც იყო გამოგზავნილი თ. ი. გ. ჭავჭავაძე“.

საზოგადოებამ სკოლისათვის 240 მანეთად დაიქირავა სამოთახიანი სახლი ეზოთი, ახმედიეს ქუჩაზე. სკოლაში მიიღეს 28 მოწაფე. პირველ მასწავლებლად დაინიშნა ხალხური იდეებით გატაცებული ახალგაზრდა, პეტერბურგის სამედიცინო აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი. იგი ორი წლის შემდეგ მოსე ნათაძემ შეცვალა. 9 წლის განმავლობაში ედგა იგი აღნიშნულ სკოლას სათავეში. წინდახედულმა,

საქმისმოყვარულმა, გამჭრიახი გონების პედაგოგმა რუდუნებითი შრომით, დიდი ძალისხევით და სიბეჯითით დიდი მოწონება დაიმსახურა.

1891 წელს ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით ბათუმის პირველი სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა მიხეილ შარაშიძე. იგი სულმნათმა ილიამ ასე დამოძღვრა: „დიდი სიფრთხილით და მოხერხებით არის საჭირო მუსლიმებს შორის მუშაობა. გახსოვდეთ, რომ ქართველი მუსლიმანები, ჩვენი ძმები, მეტად ნიჭიერი, დინჯი, დაკვირვებული და ზრდილობიანი ხალხია. იხმარე ყოველი ღონე, რომ მათი ნდობა და სიყვარული დაიმსახურო.“

გულანთებულმა პედაგოგმა მიხეილ შარაშიძემ გაამართლა დიდი ილიას ნდობა. ბავშვებისა და საქმის სიყვარულით, უანგარო, რუდუნებითი შრომით, ტაქტით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მოსწავლეებსა და მოსახლეობას შორის.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების პარალელურად ბათუმის პირველ ქართულ სკოლაზე დიდად ზრუნავდნენ ქალაქის საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები: იბრაიმ-ბეგ აბაშიძე, ხუსეინ-ბეგ აბაშიძე, ექვთიმე ბერძენიშვილი, ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ქ.შ. წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების თავმჯდომარე გრიგოლ ვოლსკი, ბათუმის საკრებულოს მდივანი ივანე მესხი, ექიმი გრიგოლ ელიავა, ქეთევან ჟურული...



სკოლისათვის ნაკვეთი უსასყიდლოდ გამოყვეს იბრაიმბეგ და ხუსეინ-ბეგ აბაშიძეებმა. ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ფინანსურად ღარიბი იყო, ამიტომ სკოლის შენახვისა და მოვლა-პატრონობისათვის შეიქმნა სკოლის გულშემმატკივართა კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ ილია ჭავჭავაძის წინადადებით დაინიშნა გრიგოლ ვოლსკი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ ცნობილი ადამიანები. ისინი მართავდნენ სხვადასხვა ხასიათის საქველმოქმედო ღონისძიებებს: შეხვედრებს, თეატრალურ წარმოდგენებს, კონცერტებს, ლიტერატურულ საღამოებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, კოტე მესხი, მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე.... საღამოებიდან შემოსული თანხა ეძლეოდა ბათუმის პირველ ქართულ სკოლას.

აჭარის პირველი ქართული სკოლა ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ მტკიცედ ამკვიდრებდა ახალგაზრდებში ცოდნისადმი, სწავლისადმი გულითად სიყვარულს. მან დიდი როლი შეასრულა აჭარაში განათლების სისტემის განვითარებისა და საერთოდ კუთხის კულტურულ დანინაურებაში. იგი გახდა მაღალი ეროვნული თვითშეგნებისა და სულიერ აღორძინების უშრეტი წყარო.

უპრიანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ რეგიონში წიგნიერების ამაღლებასა და მოსახლეობის გათვითცნობიერ-

ებაში დიდი წვლილი მიუძღვის ზაქარია ჭიჭინაძეს. იგი ხშირად მოგზაურობდა აჭარის სოფლებში, ესაუბრებოდა მოსახლეობას, წიგნებს ურიგებდა, საქართველოს გმირულ წარსულს აცნობდა და მისდამი სიყვარულით მუხტავდა.

აჭარაში ახლად გახსნილ სკოლებში მუშაობის სურვილს გამოთქვამდნენ და სამუშაოდ ჩამოდიოდნენ გურიის, სამეგრელოს, იმერეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების გულანთებული პატრიოტი პედაგოგები. ცნობილი პედაგოგის, ვახტანგ მაკარაძის ცნობით 1880- 1980 წლებში საქართველოს რეგიონებიდან აჭარის მთიანეთის სკოლებში მივლინებული იყო 2200-ზე მეტი მასწავლებელი. ფასდაუდებელია მათი წვლილი. ისინი ჭშმარიტი განმანათლებლები, მამულიშვილები იყვნენ. მათ მიერ ანთებული ცოდნის ნაპერწკალი მძლავრ კოცონად აგიზგიზდა და მიწისაგან პირისა აღგავა უცოდინარობა და უწიგნურობა.

ფასდაუდებელია დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ამაგი წ.კ.გ. საზოგადოების წესდების იდეური მიმართულების ჩამოყალიბებაში, საზოგადოების ორგანიზაციის დახვეწაში, მატერი-ალური სახსრების მოზიდვაში, სკოლების გახსნასა და სახელმძღვანელოების შექმნაში, ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ქსელის გაშლაში, მასწავლებელთა კადრების შერჩევაში, სკოლებ-ის მუშაობის კვალიფიციურ შემოწმება-დახმარებაში. იგი

მხარში ედგა და ქმედით დახმარებას უწევდა საზოგადოების თავმჯდომარეებს, აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა საზოგადოების წინაშე წამოჭრილი ყველა ამოცანის გადანყვეტაში.

იაკობ გოგებაშვილმა საზოგადოებას შესწირა თავისი ყველა წიგნი, გარდა სახელმძღვანელოებისა. მათი შემოსავალი მთლიანად საზოგადოების ფონდში შედიოდა. სიკვდილის წინ კი საზოგადოებას უანდერძა ყველა სახელმძღვანელო, რომელიც წელიწადში 9000 მანეთ შემოსავალს იძლეოდა. გარდა ამისა უანდერძა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ღირებულებისა.

ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1927 წლამდე იარსება. საქართველოს განათლების კომისარიატის დადგენილებით საზოგადოების წიგნთსაცავი, მუზეუმი და არქივი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ქონების ნაწილი კი -საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოებას და საქართველოს მწერალთა კავშირს.

ოთხი ათეული წლის მანძილზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ჩვეული გულმოდგინეობით, რუდუნებით, მუხლჩაუხრელად იღვწოდა ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის აღმავლობის, ეროვნული სულის აღზევებისათვის და ბრწყინვალე წარმატებებსაც აღწევდა.

1981 წელს თბილისში, სულხან-საბა ორბელიანის ქუ-

ჩაზე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ 100 წლისთავის აღსანიშნავად აღიმართა სვეტი-სტელა „ცოდნა“. იგი, როგორც პროფესორი უშანგი ობოლაძე წერდა, მუდამ იცოცხლებს როგორც სიცოცხლის ახალი ძალით აღორძინების ნათელი მაცნე, სხივმოსილი მაცნე ქართველი ხალხის, მისი კულტურის მარადიული უკვდავებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ძეგლი ყოველი ქართველის გულშია. 140 წლის წინათ ჩაყრილმა კეთილმა თესლმა უკვდავი ნაყოფი მოგვცა. ნათქვამის ნათელსაყოფად მარტო აჭარის მაგალითიც იკმარებდა.

თუ როგორ წავიდა წინ განათლების საქმე აჭარაში, ამას ნათელს ჰფენს ასეთი ფაქტიც. ყოფილი საბჭოთა კავშირის 20 ავტონომიურ რესპუბლიკას შორის აჭარას პირველი ადგილი ეჭირა. აჭარის მთიანეთის სოფლებიდან არიან დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები. მარტო ერთი პატარა შუახევის მუნიციპალიტეტს 60-მდე პროფესორი ჰყავს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით უმაღლეს განათლებულთა და მეცნიერ-მუშაკთა რაოდენობით შუახევი საქართველოში პირველ ადგილზეა.

**აპაკი ზოიძე**  
**პროფესორი**

# ეჭიშკრიანი ლიტერატურის სწავლება და ქართული ლიტერატურა

აბსტრაქტი

წინამდებარე ლიტერატურული კვლევა მიზნად უყავს შირდება ჩვენი კულტურული და საგანმანათლებლო საზოგადოების აქტუალურ თემას – საქართველოს ევროპულ არჩევანსა და ქართული ლიტერატურის როლს დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციაში.

კვლევის განხორციელება მიზნად ისახავს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გადამწყვეტას; ჩვენ მიერ სკოლაში არაფორმალური განათლების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების, ამ თემასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების შემდეგ პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

1. მოსწავლე-ახალგაზრდობას აქვს არასაკმარისი ინფორმაციული ცოდნა საქართველოს დასავლურ კურსზე, ევროპულ არჩევანსა და ქართველ მწერალთა ევროპულ ურთიერთობებზე;

2. გააჩნიათ ვიწრო თვალსაწიერი ქართულ ლიტერატურაზე, როგორც ევროპულ ლირებულებაზე;

3. შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა ქართული ლიტერატურის საგნობრივ პროგრამებში ქართველ მწერალთა

შემოქმედების შესწავლისას საკუთრივ ევროპულ ლირებულებებსა და ფასეულობებს;

4. ჩვენმა მოსწავლეებმა ცოტა რამ იციან ქართულ ლიტერატურაზე ევროპული ლიტერატურული მიმართულებების ზეგავლენის შესახებ.

კვლევის მიზანია, პროგრამული და არასავალდებულო მხატვრული, ასევე პუბლიცისტური ტექსტების საშუალებით მოსწავლეებს დავებმართ იმის გააზრებაში, თუ რას წარმოადგენს ქართველობა და საქართველო, ქართული ლირებულებები, როგორ ვხედავთ ქართველები საკუთარ თავს და რატომ მიგვაჩნია საქართველო ევროპის ნაწილად; იგი დაგვეხმარება, მოსწავლეებს გავაცნობიერებინოთ, რომ სწორედ ქართული ლიტერატურაა მთავარი ლირებულება, რითაც ევროპის ნაწილი ვართ. მისი საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ უფრო თავისუფლად მოახდინონ ევროპასთან საკუთარი თავის ასოცირება, აღმოაჩინონ საკუთარ თავში ჭეშმარიტი ევროპელები.

შესავალი

ქართველი კაცის ხასიათი ვერასოდეს ეგუებოდა კარჩაკეტილობას, მას ყოველთვის ფართო ასპარეზი და შორეული ჰორიზონტი იტაცებდა. ქართული ზღაპრების გმირები ბედის

საძიებლად უცნობ და უვალ გზებს მიუყვებიან. „ვეფხისტყაოსნის“ ბრძენი რაინდი ავთანდილი სანუკვარი სურვილის ასასრულებლად უცხო ქვეყნებში მოგზაურობს; ყველასათვის ცნობილი ფრაზეოლოგიზმი „საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა“ ჩვენთვის მუდამ უარყოფითი შინაარსისა და ქვეტექსტის შემცველი იყო და იქნება. ქართული ხასიათი ხომ საოცარი ექსპანსიურობით გამოირჩევა; ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებები ცხადად ადასტურებს ჩვენს ჭეშმარიტ შინაგან სისხლხორცეულ ლტოლვას, რომელიც ახლო მომავალში უსათუოდ დიდ ევროპულ ოჯახში განწევრიანებით დასრულდება.

წინამდებარე კვლევის ძირითადი თემა იმ ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრულ-შემეცნებითი ანალიზია, რომლებშიც მკაფიოდ იკვეთება ევროპული ღირებულებები; კვლევითი ღონისძიებების ჩატარება მოიცავს ასევე სწავლების მეთოდოლოგიის – სათანადო სასწავლო აქტივობებისა და სტრატეგიების განსაზღვრას, ეროვნული სასწავლო გეგმის სათანადო თემატურ ბლოკებში სავალდებულო ნაწარმოებებისა და არასავალდებულო ტექსტების სწავლებისას ამ მეთოდების გამოყენებას. ყოველივე ეს მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესსა და კლასგარეშე აქტივობებში ევროპული ღირებულებების გაცნობიერება-გათავისებაში დაეხმარება.

ქართული ხასიათისათვის წინამდებარე ექსპანსიურობა,

ურთიერთობების მხრივ, უპირველეს ყოვლისა, გავრცობასა და გაფართოებას გულისხმობს; ამის ნათელი მაგალითია ჩვენი ლიტერატურა. იაკობ გოგებაშვილი, კარგად ცნობილ წერილში „რანი ვიყავით გუშინ“ წერს, რომ საქართველო შუა საუკუნეების გართულებული მიმოსვლის პირობებშიც კი არ იყო მონყვეტილი თავისი დროის ევროპას; კონტაქტების წყალობით, მაშინდელი კულტურული და შემეცნებითი განვითარება მაღალი იყო და იაკობის სიტყვით „არ იყო მოკლებული გავლენას იმ აზრებისა და იდეებისა, რომელნიც მაშინ აღელვებდნენ მთელს ევროპას... სადამდის მიდიოდა თანამედროვე ევროპის მოძრაობის გავლენა ზოგიერთ ქართველზედ, სჩანს იქიდან, რომ მაშინ ვოლტერსაც კი ჰყვანდა ჩვენში თავყვანისმცემლები“,- ამტკიცებდა იაკობი.

ყოველდღიურ ცხოვრებაში, ალბათ, ხშირად გვსმენია ცნობილი ქართული ანდაზა „ყოველი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო“. ამ სიტყვების ჭეშმარიტება მრავალგზის დამტკიცებულა და კვლევის სათაურის „ევროპული ღირებულებების სწავლება და ქართული ლიტერატურა“ მიღმა ყველასათვის ნაცნობი შინაარსი იმალება. დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე აქტიუალურ ცნებას იდენტობა წარმოადგენს. გლობალიზაციამ, თანამედროვე პოლიტიკურმა პროცესებმა, ინტერნეტ-სივრცემ უფრო მწვავედ და ღრმად დასვა ყოველი ადამიანისათვის, ქვეყ-

ნისათვის ათასწლეულებში გამოვლილი მარადიული შეკითხვა: ვინ ვარ მე? ვინ ვართ ჩვენ? სად ვართ? როგორი იქნება ჩვენი მომავალი, ანუ როგორც დღეს ვამბობთ, როგორია მომავლის პერსპექტივა?

ვინ ვარ? – ეს კითხვა ოდითგანვე აწვალებდა რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს, ერსა თუ ქვეყანას. იგი მუდამ მწვავე და მძაფრი იყო, რადგან დღემდე კაცობრიობის ისტორიაში უამრავია დაკარგული ერი, ეთნოსი და კულტურული მემკვიდრეობა. ამ კითხვას ახლაც შიშისა და სიფრთხილის განცდა სდევს; ადამიანისა და მთელი საზოგადოების მარადიული სწრაფვა იყო და იქნება თვითგადარჩენა; მას მუდამ ახლდა და დღესაც ახლავს შიში დაკარგვისა, აგრეთვე გაქრობაზე არანაკლებ მტკივნეული ფერიცვალებისა; ეს კი ერისა და ქვეყნისათვის დაღუპვის ტოლფასია. ეს კითხვა მუდმივად იდგა ჩვენი ქვეყნის წინაშე, საუკუნეების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა არსებობისათვის უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულს; ამის გამო იგი ღრმად დამკვიდრდა საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკურ და კულტურულ ცნობიერებაში, ასევე ჩვენს დიდ ლიტერატურაშიც.

იქნებ ამის გამოც ქართულ პოეზიაში უჩვეულო ღრმა გრძნობითა და სინატიფით გამოიხატა ქართული იდენტობის ჭეშმარიტი არსი:

„მითებში,  
სიმზრებში დავეძებ ფესვებს;  
ვინა ვარ, საიდან მოვდივარ?

გენეალოგიის ბიბლიურ ხეზე რომელი, რომელი ტოტი ვარ?  
შოთა ნიშნიანიძე საოცარი განცდითა და სილალით თვითვე პასუხობს ამ შეკითხვას:

„ტოტი ვარ – გაფოთლილი სტრიქონი –

ბუნების ძღვენი თუ ტარიგი,  
ბუდედ ჩანს  
ქორონიკონი –  
ჩემი დაბადების თარიღი“.

პოეტის ფანტაზია ქართული ხალხის პრეისტორიული ხანის ყოფასაც გადასწვდა; მან შეუმცდარი პოეტური ალლოთი გვაუწყა ჩვენი გვარ-ტომისა და გენის ძველთაძველობა:

„ვინ იყო პირველი მომწვენილი ფაცხების,  
გვარის წინამძღოლი თუ  
გვარის დამწყები.

ვინ იყო, სად იყო ან როდის სახლობდა,  
რომელ მდინარესთან ან  
რომელ მალლობთან...

ვხედავ ურარტუდან მოდენის თქმულებებს...

და გზებს ხარებივით მტკვარზე არწყულებენ...“

უჩვეულო და ამავე დროს სიმბოლურია ის ფაქტი, რომ თურმე პირველი ევროპელები-ზეზვა და მზია- ისტორიულად სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე-დმანისში- სახლობდნენ. მათი აგებულების შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დმანისის ნაქალაქარში აღმოჩენილი თავის ქალები პირველი ევროპელი ადამიანების ანალოგიურია.

„იდენტობა“ ლათინური წარმომავლობის სიტყვაა და „ერთსა და იგივეს“ ნიშნავს. ეს არის

ადამიანთა წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, ადამიანის ძირითადი მეობა, საკუთარი თავის იგივეობის განცდა; ამით ადამიანი საკუთარ თავს აიგივებს გარკვეული ტიპის კატეგორიასთან; ეს კატეგორიებია სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, პროფესია და ა.შ. მოსწავლეები იგივეობის ცნებას მათემატიკაში უფრო ღრმად და საფუძვლიანად განიხილავენ და იციან მისი მნიშვნელობა; აქედან გამომდინარე, არ გაუჭირდებათ იმის მიხვედრა, თუ რა არის ჩვენი იდენტობა, ანუ რასთან უნდა გავაიგივოთ ქართველებმა ჩვენი თავი, რითი ვლინდება ჩვენი მეობა და პიროვნულობა? როცა მოსწავლეებთან ამ თემაზე ვსაუბრობთ, უპირველესად, დიდ ილიას უნდა მივმართოთ; ილია ჭავჭავაძე იყო ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა ქართული აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში, ვინც საკუთარი სიცოცხლე სწორედ ქართველთა იდენტობის – მეობისა და ინდივიდუალობის იდეალებს შესწირა მსხვერპლად; ილია არის ჩვენი ლიტერატურის წინამძღვარი, რომელმაც მხატვრული სიტყვით, შემოქმედებით გამოხატა და თვალნათლივ წარმოაჩინა ქართული იდენტობა. გავიხსენოთ ილიას ცნობილი სიტყვა: „სამი უძვირფასესი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება, და თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ ამ სიტყვებით

მწერალმა მოგვცა ქართული იდენტობის ერთგვარი ფორმულა. მამული, უძველესი ქვეყანა თავისი ისტორიის აღმავალი პერიოდებით, აღმავლობის ხანაში „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“ გადაჭიმული ადგილი, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში ცივილიზაციათა შეხვედრის, კულტურათა დიალოგის ადგილი იყო. იდენტობის ცნების ეროვნული კონტექსტი ყველაზე კარგად სწორედ ილია საშუალებით შეიძლება ავხსნათ, მას „იდენტობის ილიასეული ფორმულა“ ვუნოდოთ და ასე წარმოვადგინოთ ვიზუალური მასალა: „რა არის იდენტობა?“ მასში თვალსაჩინოდ იქნება ჩანერილი ზემოთქმული: „მამული, ენა, სარწმუნოება“. „იდენტობის“ ცნების გასაგებად ეფექტურია კოგნიტური სქემის („ძირითადი იდეა“) შედგენა. სქემა სახელწოდებით „იდენტობა“ შედგება სამი მთავარი ნაწილისაგან: „ქართველობა“ (რა არის საქართველო?“), „ქართული ღირებულებები“ „როგორ ხედავენ ქართველები საკუთარ თავს?“ ეს ნაწილები ასევე დაყოფილია შემადგენელ ნაწილებად, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ სქემის გრაფებში ჩანერონ შესაფერისი იდეები. მაგ; შეიძლება დამაზუსტებელი შეკითხვებითა და მინიშნებით მივუთითოთ ქართულ ენასა და ანბანზე, როგორც იდენტობის ფორმებზე. ქართული ანბანის სამივე სახეობა ხომ იუნესკომ მსოფლიო არამატერიალური კულტურის ძეგლთა სიაში შეიტანა. სქემის შევსებისას ასევე

უნდა მივანიშნოთ „ვეფხისტყა-  
სოსანსა“ და მის უკვდავ გმირე-  
ბზე, რადგან ჩვენთვის სიბრძნე,  
ვაჟკაცობა, მეგობრის სიყვარუ-  
ლი, ერთგულება ქართველი  
კაცის პიროვნებისაგან განუყო-  
ფელია; შოთას პოემა ჩვენი  
ეროვნული იდენტობის ყველაზე  
გამორჩეული გამოსატყულება,  
ყველაზე დიდი სიმბოლოა.  
ამ კუთხით ლიტერატურის  
გაკვეთილზე შეიძლება ავსხნათ  
„ავთანდილის ანდერძი“. გაკვე-  
თილის მიზანი ასეთნაირად  
შეიძლება ჩამოყალიბდეს: „რო-  
გორ აისახება ევროპული ღირე-  
ბულებები პოემის ამ თავში? ვინ  
გამოხატავს ამ ფასეულობებსა  
და ჰუმანიტურ იდეალებს? რა  
არის ანდერძის მთავარი ევრო-  
პული ღირებულება?“

მოსწავლეთა ყურადღება  
უნდა მივაპყროთ იმ გარემოება-  
საც, რომ ჩვენი ქვეყანა გამორ-  
ჩეული გახლდათ გეოგრაფიული  
მდებარეობითაც ევროპა-აზიის  
გზაჯვარედინზე. ვაცნობთ,  
რომ საქართველო არის ქვეყა-  
ნა, სადაც საუკუნეების განმ-  
ავლობაში ქართველებთან თანხ-  
მობითა და ურთიერთგაგებით  
ცხოვრობდნენ სხვადასხვა რწ-  
მენის, ეროვნებისა და ეთნოსის  
ადამიანები, სადაც, როგორც  
მათ ხელოვნების გაკვეთილე-  
ბიდან იციან, მოქალაქეებში  
ერთნაირად წმინდა სალოცავე-  
ბად აღიქმებოდა მართლმ-  
დიდებლური ეკლესია, მეჩეთი,  
კირხე და სინაგოგა. ეს ჩვენი  
იდენტობის ერთ-ერთი გამოსატ-  
ყულება იყო, ამავე დროს უპირ-  
ველესი და უტყუარი ნიშანი  
დიდი ჰუმანიზმისა, რაც უდაოდ

ამტკიცებს ჩვენს ევროპელობას.  
მურმან ლებანიძე ლექსში „მე  
თუ მკითხეს“ საოცარი უბრა-  
ლოებით, ქართული სულის  
სიდიადითა და თაყვანისცემით  
მოგვაგონებს ჩვენს დიდ წინა-  
პარს - მეფე დავითს, რომელმაც  
საქართველოს საზოგადოებრი-  
ვი ცხოვრება სწორედ ამ დიადი  
ევროპული იდეალებით შექმნა.

„ხოლო ზღვაში ხომალდები  
ირწეოდნენ

და ხმამაღლა და აშკარად,  
დღისით - მზისით,

საქართველო მისი ნახვით  
ინყებოდეს,

ინყებოდეს საქართველო  
სწორედ მისით!“

მოსწავლეები ამ ლექსით სრუ-  
ლყოფენ დავით მეფის, როგორც  
ნამდვილი ევროპელი მმართვე-  
ლის, შესახებ წარმოდგენას;  
პოეტი გვაძლევს ერთგვარი  
ოპტიმიზმის განცდას, რომ  
საქართველოს მომავალი ისევ  
ისე გაბრწყინდება და დავით  
მეფე რომ გვყავდა, სწორეს ეს  
არის ამ ოპტიმიზმის მთავარი  
საფუძველი.

„აქ პონტიისპირ, აქ გრანიტში  
უნდა იდგეს,

აზიიდან ევროპისკენ მიქცეუ-  
ლი!

იდგეს, ბოსფორს და ბალკა-  
ნეთს გაჰყურებდეს,

არც ბრძენკაცად, არც ცხენ-  
კაცად დაშტამპული,

რაღაც სულ სხვა –ახალ  
დღეებს მსახურებდეს

უსაშველოდ დიადი და  
მასშტაბური!“

ილია ჭავჭავაძე, მთელი  
არსებით, სულით ხორცამდე  
ქართველი კაცი, მოაზროვნე,

ამავდროულად ევროპელი განმანათლებელიც გახლდათ. „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოვდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი“, – ასე დაგვმოძღვრა ერის დიდმა წინამძღვარმა, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს თავისი მომავალი ამიერიდან ხმლითა და ბრძოლით კი არა, ცოდნითა და სწავლით უნდა შეექმნა; ეს ცოდნა კი მოწინავე ქვეყნებისა და ხალხისაგან უნდა შეეძინა; სამშობლო ილიას ცალკე განკერძოებულად და განცალკევებულად ვერ წარმოედგინა, არამედ სხვა ერებთან წარმატებულ და მშვიდობიან თანაარსებობაში. „არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვია და ამ პატარა სამოთხეში ცხოვრობს ერთი პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატების, სიკეთისა და ბედნიერებისათვის“, – ამბობდა ილია. ილია ამით კოსმოპოლიტიზმსაც აღიარებდა, მისი მიმდევარიც იყო და საქართველოს არსებობა განყენებულად არ სურდა; იდენტობის ცნება კოსმოპოლიტიზმსაც მოიცავს, ამიტომ ილია არ იყო მხოლოდ ქართველი მოაზროვნე, იგი, როგორც კოსმოპოლიტი და ჰუმანისტი, ევროპელი განმანათლებელი გახლდათ; იდენტობის შენარჩუნება უპირველესად გულისხმობს, იყო საკუთარი ქვეყნის პატრიოტი, მაგრამ ამასთან ერთად კოსმოპოლიტიც; ასე ფიქრობდნენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა – ჩვენი დიდი

განმანათლებლები. იდენტობა პატრიოტიზმთან ერთად, კარგი გაგებით, კოსმოპოლიტიურ მსოფლმხედველობასაც შეიცავს. მოსწავლეებმა ისტორიიდან იციან, რომ კოსმოპოლიტიზმი ნიშნავს ძირითადად „მსოფლიო სახელმწიფოს შექმნასა“ და „მსოფლიო მოქალაქეობის დანესების“ იდეას; ილია ეროვნული მოღვაწე იყო და მისთვის ერის სახე, ტრადიციები და ისტორია ყველაზე ძვირფასი გახლდათ, ამიტომ გათქვეფას, იერ-სახის დაკარგვას და, როგორც თვითონ ამბობდა „ერის გადაგვარებას“ ვერ შეეგუებოდა; ის არ იყო კოსმოპოლიტი „მსოფლიო სახელმწიფოებრიობის“ გაგებით. ილიას, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, სურდა საქართველო დამდგარიყო სხვა ქვეყნების გვერდით და საკუთარი წვლილი შეეტანა კაცობრიობის განვითარებაში; ასე ესმოდა მას ქართველი ერის ჯანსაღი განვითარებისა და განახლების ერთადერთი სწორი გზა, ერთადერთი გამართლებული არჩევანი. ასეთი იყო ილია, როგორც პატრიოტი და კოსმოპოლიტი, როგორც მომავლის საქართველოს ღირსეული შვილი.

ილია ჭავჭავაძის რამდენიმე საპროგრამო ნაწარმოებში მკაფიოდ ჩანს, რას აღიარებდა იგი ქვეყნის უპირველეს ღირსებად და ფასეულობად; „აჩრდილის“ ნაწყვეტის ანალიზის დროს ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ილიას აზრით, ქვეყნის ყველაზე დიდი ღირსება და სიკეთე თავისუფლებაა; მყ-



ინვარზე მდგომი დიდებული მოხუცი, რომელიც საკუთარ თავს „საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს“ უწოდებს, ასე ამბობს: „შენცა გფენია ქვეყნის მადლი-თავისუფლება“. ეს „თანამდევი სული“ არის საქართველოს მეობა, მასთან აიგივებს ილია ჩვენს ქვეყანას, ამიტომ მასვე ათქმევინებს მისი ხსნის მთავარ საიდუმლოს, სწორედ იგი გვიმხელს ერთადერთ მართალ არჩევანს - საზოგადოებრივი ცხოვრების კვლევასა და მის წარმართვას ქრისტიანული და ჰუმანისტური იდეალებით; შვილების აღზრდას ილია „ქართველის დედასაც“ ამ წმინდა იდეალებით ავალდებულებს: „აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, შთააგონებდე კაცთა სიყვარულს, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.“ ამ ნაწარმოებების შესწავლისას საჭიროა მოსწავლეებს ევროპულ ღირებულებებთან კავშირში ავუხსნათ და გავაზრებინოთ ამ ტექსტების სიმბოლოები: „თანამდევი სული“ და „ცისარტყელა“. თანამდევი სული თავისუფლების, ხოლო პოემა „აჩრდილის“ ცისარტყელა საყოველთაო მშვიდობის სიმბოლოა. ქრისტიანობასთან დაკავშირებით აუცილებელია მოსწავლეებს აქტიური კითხვის მეთოდით გავაცნოთ ილიას წერილი „რა გითხრათ რით გაგახაროთ?! ქრისტიანობა ერთერთი უძველესი ღირებულებაა, რომელიც ქართველებმა ევროპისაგან მივიღეთ. ის, რაც ჩვენ თავიდანვე, ევროპასთან

გვაკავშირებდა, სწორედ ქრისტიანობა იყო, რელიგია რომელიც IV საუკუნეში ევროპიდან - ბიზანტიიდან შემოვიდა. ამიტომ ჩვენ შორის მთავარ ხიდს ქრისტიანობა წარმოადგენდა. ილიას თქმით, „ქრისტე ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“. ქრისტეს რჯულმა ქართველებს შესაძლებლობა მოგვცა შეგვენარჩუნებინა ქვეყანა, იგი ერთადერთი და ძლევამოსილი იარაღი იყო ქვეყნის ისტორიის მანძილზე. ევროპას კი ამ რელიგიამ მისცა სარწმუნოებრივი თავისუფლების განცდა, ტოლერანტობა და შემწყნარებლობა. ეს დღეს ევროპელის ცხოვრების წესი და აუცილებელი მოთხოვნილებაა. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი წერდა: „ჩვენი ისტორია და ტრადიცია არის ქრისტიანული. ევროპა, ამ გაგებით, შედეგიანი ქრისტიანული ექსპერიმენტი, ევროპული კულტურა არის გამარჯვება ქრისტიანობისა, იმ გაგებით კი არა, რომ ხალხი ეკლესიაში დადის. ქრისტიანული სულის კრისტიალიზაცია სულ სხვანაირად ხდება ევროპულ ინსტიტუციებში, სადაც შეიძლება არც იხსენიებოდეს ღმერთის სახელი, მაგრამ იგი რალიზებულია ურთიერთობებში, ნორმებში. ადამიანებმა ამ ექსპერიმენტის ფარგლებში ააწყვეს ნორმალური ცხოვრება“. ეს ურთიერთობები ის ნორმები და ცხოვრების წესია, რაც უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენ მომავალ თაობებში, მათაც ხომ ეს მოს-

წონთ და იზიდავთ დღეს ევროპის ქვეყნებში, ევროპულ ყოფაში; ჩვენი სურვილიც ეს არის, გვექონდეს ქვეყანა, სადაც იქნება ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები, კანონის პატივისცემა, თანასწორობა, პიროვნული თავისუფლება, მშვიდობიანი ყოფა და მატერიალური კეთილღობა. ამის პრაქტიკულად აღქმისა და გაცნობიერებისათვის ეფექტურია „იდეის პირამიდისა“ და „ღირებულებების პირამიდის“ გამოყენება. „იდეის პირამიდა“ სასურველია ჩავრთოთ ევროპული ღირებულებების განსაზღვრის დროს. პირამიდაში ზედა საფეხურზე თანმიმდევრულად განლაგდება „თავისუფლება“, „კეთილდღეობა“, „მშვიდობა“, ქვედა საფეხურზე კი – თითოეულ მათგანში შემავალი ცალკეული იდეები და პრინციპები. „ღირებულებების პირამიდა“ შეიქმნა ერთ-ერთი მთავარი ღირებულების – ადამიანის სიცოცხლის უფლების – უკეთ გასაცნობიერებლად. პირამიდა მოიცავს სამ უმთავრეს უფლებას: თავისუფლებას, კანონის უზენაესობასა და აღიარებას. ეს ღირებულებები თავის მხრივ იყოფა შემდეგ ნაწილებად: ქვეყნის თავისუფლება, საზოგადოებრივი და პიროვნული თავისუფლება, კანონმდებლობა, კანონმორჩილება, რეალიზაცია და შესაძლებლობა. ეს უფლებები პირამიდის ქვედა ნაწილში განლაგდება. პირამიდა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს გაამთლიანონ და ერთ სივრცეში განალაგონ საერთო შინაარსის უფლებები.

მოსწავლეებს უნდა დაეანახოთ, რომ ჩვენ ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას სახით გვყავდა დიდი ევროპელი განმანათლებლები, რომელთა შემოქმედებამ და მოღვაწეობამ დაგვანახა, რომ ჩვენი ორიენტაცია უფრო მეტად დასავლური და ევროპულია, ვიდრე აზიური. მათი შემოქმედება გვასწავლის, თუ რა ბედნიერებაა შინაგანი და პიროვნული თავისუფლება, თანასწორობა; ისინი გვასწავლიან ჩავვრისა და დიქტატურის, ძალმომრეობის სიძულვილს, საკუთარი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულთან ერთად სხვა ერებისა და ხალხის პატივიცემას, დაფასებას; ვაჟა-ფშაველას ევროპულ მსოფლმხედველობას მის მხატვრულ ქმნილებებში ვხედავთ. ევროპულ ღირებულებებთან ღრმა კავშირი და სიახლოვე მოჩანს მისი გმირების ხასიათებშიც, რაც მათი შესწავლისას აუცილებლად უნდა გავაცნობიერებინოთ მოსწავლეებს. პოემების „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ პერსონაჟები ჯოყოლა და ალუდა თავისუფალი პიროვნებები არიან, სრულიად არ ემორჩილებიან თავიანთი საზოგადოების კანონებსა და მორალს; მათ ის უსამართლობად, ადამიანის უფლებისა და ღირსების შემლახველად, დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად მიაჩნიათ. ისინი უპირისპირდებიან საკუთარ თემს, მათ საზოგადოებას, კარგავენ მის კეთილგანწყობას, რათა შეინარჩუნონ მთავარი ფასეულობები - ადამიანობა და

თავისუფლება. ისინი სიცოცხლის ფასად იცავენ განურჩევლად ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლებას, თვით მტრული ბანაკისასაც. ამის გაცნობიერებისათვის საჭიროა ბლუმის ტაქსონომიის მაღალი სააზროვნო უნარების – შეფასების, ანალიზისა და სინთეზის გამოყენება. ამის შემდეგ მთავარი ევროპული ღირებულებები უნდა დავუკავშიროთ თანამედროვე ყოფას და მოვიხმოთ სათანადო ცხოვრებისეული მაგალითები, თუ დღეს ეს ფასეულობები როგორ არის რეალიზებული ევროპის ქვეყნების მოქალაქეთა ურთიერთობებში, ნორმებსა და კანონებში.

ქართულ ლიტერატურაში ევროპული აზროვნების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ ვაჟა-ფშაველას წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. ვაჟას აზრით, ჭკვიანი კოსმოპოლიტი პატრიოტია, რადგან თუ ადამიანი საკუთარ ერს კეთილსინდისიერად ემსახურება და ცდილობს თავისი სამშობლო აამაღლოს გონებრივად, მატერიალურად და ზნეობრივად, ამით ის „უმზადებს მთელ კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. ვაჟა ბრძნულად შენიშნავდა, რომ როგორც მთლიანად ერის განვითარებისათვის ცალკეულ ადამიანთა აღზრდაა საჭირო, ისე ცალკეული ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფს“. ეს მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა,

რადგან მხოლოდ ასე შეეძლო ყოველ ერს „მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოეჩინა და საკუთარი თანხა შეეტანა კაცობრიობის სალაროში“. ევროპელი განმანათლებლის თვითშეგნებამ ათქმევინა ვაჟას: „მეცნიერები და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით“. იგი ამას უმთავრესად თვლიდა და მოგვიწოდებდა: „განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავისი სოციალური ყოფის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა, და უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები“. ჩვენი მარად თანამედროვე ვაჟა კოსმოპოლიტიზმის დადებით შინაარსს ასე გვიხსნის და გვმოძღვრავს: „გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს“. ვაჟა კიცხავდა მათ, ვინც კოსმოპოლიტიზმით გატაცების გამო, უარყოფდა საკუთარ ეროვნებას. იგი მათ იმ კაცობრიობის მტრად აცხადებდა, ვისაც ვითომდა ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებდნენ; „ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ

თავის ეროვნულობაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისი თავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელი კაცობრიობის განვითარებისა“. კოსმოპოლიტიზმის სწორედ ასეთი გაგება ხდის ილიასა და ვაჟას ვროპელ განმანათლებლებად. ამ წერილის აღსაქმელად ეფექტურია ცნებათა რუკებისა და ვენის დიაგრამის გამოყენება. ცნების რუკები შედგება ცალ-ცალკე კოსმოპოლიტიზმი-სა და პატრიოტიზმისათვის. ვაჟას მრწამსი ეხმიანება ისეთ თანამედროვე ევროპულ ღირებულებებს, როგორცაა: თავისუფლება, კეთილდღეობა და მშვიდობა. სამივე ფასეულობა ქვეყნებისა და ერების მშვიდობიანი თანაარსებობისთვის აუცილებელ პირობად მიაჩნდა მწერალს. ვაჟა გვასწავლის თავისუფლების ფასს, როცა გვეუბნება -ყველა ერი თავისუფლებას ეძებსო, კეთილდღეობის აუცილებლობას - როცა სოციალური ყოფის ავ-კარგს გვახსენებს, მშვიდობის უპირატესობას გვიმტკიცებს, როცა – ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფების მოსპობაზე, ომების საშინელებაზე გვესაუბრება. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ მასზე, როგორც ჭეშმარიტ ევროპელ მწერალზე.წერილში „ნიჭიერი მწერალი“ ვაჟა ამასთანავე

გვარწმუნებს, რომ ეროვნულობა მწერლობაში სრულიად არ უშლის ხელს ნაწარმოებს, ზოგადსაკაცობრიო გახდეს, ანუ ყველა ეროვნების ადამიანისათვის ერთნაირად მოსაწონი, დასამახსოვრებელი იყოს. „გენიოსთა ნაწარმოები ეროვნულ ნიადაგზე და ხშირად ეთნოგრაფიულზეა აღმოცენებული, მაშასადამე, კერძო თვისებაა, ზოგადი, საკაცობრიო ხდება და ერთნაირად საყვარელია ყველა ადამიანისათვის, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი“. აქედან ბუნებრივია, გამოგვაქვს დასკვნა, რომ ეროვნულობა და ტრადიციულობა აუცილებელი ღირებულებაა, რითაც შეიძლება გავხდეთ მონინავე ქვეყანა, ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ დასავლურ სამყაროში.

მოსწავლეები ასევე აუცილებელია კარგად იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის ევროპისაკენ სწრაფვისა და ევროპული ორიენტაციის საკმაოდ ხანგრძლივ და დრამატულ ისტორიას. ამ საკითხის შესწავლა სავსებით შესაძლებელია სასწავლო სახელმძღვანელოების ისტორიული და ლიტერატურული ტექსტებით. მათგან („ნინოს ცხოვრება“ , ა. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“) მოსწავლეები იგებენ, რომ ევროპასთან ურთიერთობა ჩვენში ქრისტიანობითა და ქართულიზანტიური კულტურული კავშირებით დაიწყო. სამწუხაროდ, 1453 წელს თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს; ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. საქართველო დანარჩენი ქრის-

ტიანული სამყაროსაგან დიდი ხნით იზოლირებული აღმოჩნდა. ამან უმძიმესი შედეგები გამოიწვია კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ იზოლაციის გარღვევას ისახავდა მიზნად დიდი მწერლისა და მეიგავის სულხან-საბა ორბელიანის სამწლიანი მოგზაურობა 1713-1716 წლებში იტალიასა და საფრანგეთში. მოსწავლეებს ვასწავლით, რომ საბას დიპლომატიურ მისიას შედეგი არ მოჰყოლია. მწერალმა მას მიუძღვნა ავტობიოგრაფიული თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“, რომლის ნაწყვეტებიც VII კლასის სახელმძღვანელოშია შეტანილი.. მწერალი მაშინდელი საქართველოს საშინელებაზე - ადამიანთა ტყვედ გაყიდვაზე გვესაუბრება, აღნიშნავს, რომ მალტელებთან საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილი ნახა, რაც მისთვის დიდი ტრაგედია იყო. ასევე თურქეთიდან საქართველოში მომავალი გულისტკივილით წერს, როგორ დაიჭირეს მებაჟე ჭანებმა, ფულიც წაართვეს და გაჭირვებაში ჩააგდეს. სულხან-საბას „მოგზაურობა ევროპაში“ მწერლის ავტობიოგრაფიული მონათხრობია. მწერალმა დიდი გულწრფელობით მოგვითხრო თავს გადახდენილი ამბები, რომელსაც იგი ხანდახან გაოცებაშიც კი მოუყვანია.

1801 წლიდან ჩვენს ქვეყანაში როგორც პოლიტიკური, ისე ლიტერატურულ-კულტურული თვალსაზრისით ახალი ხანა დაიწყო. საქართველომ პოლიტიკურად დაკარგა თავისუ-

ფლება და რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. სწორედ ამ დროიდან დაიწყო ქართული კულტურის ევროპეიზაცია. ამ პერიოდში ჩვენ ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურას უშუალოდ კი არ ვუკავშირდებოდით, არამედ რუსული კულტურის საშუალებით. რუსული კულტურა კი ევროპული კაცობრიობის პერიფერიას წარმოადგენდა.

დასავლურ სამყაროსთან პირდაპირი კავშირის დამყარება პირველად შესაძლებელი გახდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. 1918-1921 წლებში რუსეთის იმპერიაში დაწყებული დიდი პოლიტიკური ქაოსის მეშვეობით საქართველომ სამი წლით მოიპოვა დამოუკიდებლობა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამის შემდეგ ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობა საერთოდ შეუძლებელი გახდა.

1921 წლის საქართველოს ანექსიამდე განსაკუთრებით ძლიერი იყო ქართველ მწერალთა ლტოლვა ევროპული ლიტერატურისადმი, ასევე ლიტერატურული მიმართულებებისადმი. ამათგან ათეული წლების მანძილზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის კარგად ცნობილი იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი და ექსპრესიონიზმი. ამ მიმართულებების ფილოსოფიური საფუძვლების გასაგებად ვიყენებთ თვალსაჩინო მასალას

„ევროპული ლიტერატურული მიმართულებები“. „ცისფერი ყანების“ სახელით ცნობილ ლიტერატურულ დაჯგუფებას ევროპული ორიენტაცია ჰქონდა. იგი გამოიხატა იმით, რომ მათ ქართულ პოეზიაში შემოიტანეს თავისუფალი სიტყვა, ახალი პოეტური ფორმები და მხატვრული ხერხები. ამ პოეტებმა მართლაც რომ ახლებურად და განსხვავებულად უმღერეს სამშობლოს სიყვარულს, ქალის მშვენიერებას, მათ მიმართ უნატიფეს გრძნობებს. ვალერიან გაფრინდაშვილის, გალაქტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და ტიცვიან ტაბიძის პოეტურ შედეგები ჭეშმარიტად ევროპული ნაწარმოებებია. „ცისფერყანელთა“ დაჯგუფების მომავალი ლიდერი პაოლო იაშვილი საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში სიღრმისეულად გაეცნო სიმბოლისტ მწერალთა შემოქმედებას. ევროპული სიმბოლიზმი რომ არა, ქართულ პოეზიაში არ გვექნებოდა ისეთი დაუვინყარი ქმნილებების ციკლი და ლექსები, როგორცაა: „დარიანული“, „ქალდეას ქალაქები“, „ლურჯა ცხენები“ და სხვა.

ქართველმა პროზაიკოსმა კ. გამსახურდიამაც ევროპული განათლება მიიღო. იგი სწავლობდა კენინგსბერგის, ლაიფციგის, მიუნხენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ბერლინის უნივერსიტეტმა მას სადიპლომო ნაშრომის დაცვის შემდეგ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა; სწავლის პერიოდში მან

თითქმის მთელი ევროპა მოიარა: იმოგზაურა საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისში, ავსტრიაში, სკანდინავიაში, ესპანეთში, ბალკანეთსა და უნგრეთში. ამ მოგზაურობის დროს იგი საფუძვლიანად გაეცნო ევროპულ კულტურასა და ცივილიზაციას. მწერალმა საკუთარი თვალთ დახეული ევროპა საინტერესოდ დაგვიხატა რომანში „დიონისოს ღიმილი“. ეს რომანი ექსპრესიონისტული ლიტერატურის ნიმუშია. რომანი განიცდის მაშინდელი წამყვანი ფილოსოფიური მიმართულებების გავლენასაც. ამას ადასტურებს ის, რომ, მწერლის სიტყვით, ეს დრო იყო „მითოსს მოკლებული დრო“. მწერალმა ევროპული ლიტერატურული მიმდინარეობის - ექსპრესიონიზმის - ზეგავლენით თავის რომანებსა და ნოველებში ჩააქსოვა მითოლოგიური ელემენტები, სიუჟეტური ქარგა. ამით მან დავინყებას გადაარჩინა უძველესი ქართული მითოსი და მისი გმირები; მან მითოლოგიური პერსონაჟების ბედი თავისი პერსონაჟების ცხოვრებას ოსტატურად და მაღალმხატვრულად დაუკავშირა. კ, გამსახურდია ამბობდა, რომ ექსპრესიონიზმი „არ იყო ლიტერატურული მოდა. ეს იყო ახალი რელიგია ევროპის უმაღლესი თაობისა“. კონსტანტინეს აზრით, ერთადერთი სწორი გეზი სწორედ ევროპულ კულტურას ჰქონდა აღებული.

ასევე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპულ მწერლობასთან გრიგოლ რობაქიძეს. გრიგოლ-

მაც ევროპული განათლება მიიღო. მან ტარტუს უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი ფილოსოფიის დოქტორის ხარისხით. მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა სიმბოლიზმმა, იგი სიმბოლისტთა გამორჩეული ლიდერი იყო. 1931 წლიდან იგი გერმანიაში ცხოვრობდა, გერმანულ ენაზე წერდა და აქვეყნებდა რომანებს, ლექსებს, ლიტერატურულსა და პოლიტიკურ წერილებს, ესეებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანულსა და სხვა ენებზე მრავალჯერ გამოცემული მისი „კავკასიური ნოველები“. „როგორ შესძელით თქვენ, უცხოელმა ამნაირად ჩვენი ძნელი გერმანული ენის გაშლა და ამაღლება,, როგორც ამას ვერ შეძლებდა თვით გერმანელი“, - ასე მიმართა გრიგოლ რობაქიძეს გერმანელმა პოეტმა და მკვლევარმა ტასილიო ფონ შეფერმა. ალბათ, ყველასათვის გასაგებია, თუ რა ძნელი იქნებოდა ევროპელთა გაოცება მხატვრულობით, აზრის სიღრმითა და ორიგინალობით და ჩვენმა თანამემამულემ ეს შეძლო, შეძლო ისე, რომ აღაფრთოვანა ევროპული ლიტერატურული საზოგადოება. რობაქიძე შვეიცარიაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, იგი არჩეული იყო ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად; 1960 წელს გადანიშნული იყო მისი წარდგენა ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში, რასაც მწერლის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

რობაქიძის პროზაზე დიდი გავლენა მოახდინა გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა. მის შემოქმედებას სხვადასხვა დროს უმაღლესი შეფასება მისცეს ცნობილმა ევროპელმა მწერლებმა შტეფან ცვაიგმა და რომენ როლანმა. გრიგოლ რობაქიძე მაგალითია იმისა, ქართველმა კაცმა თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნო საკუთარი იდენტობა და ამასთან ერთად თქვა გამორჩეული სიტყვა დიდ ევროპულ ასპარეზზე.

ქართულ ლიტერატურაში ევროპული ღირებულებები დაამკვიდრეს და ქართულ ევროპული ლიტერატურული ურიერთობების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა და გერონტი ქიქოძემ.

გერონტი ქიქოძე 1903 წელს გაემგზავრა ევროპაში. იგი ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობდა, სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში 1912 წელს. ქიქოძე ცხოვრობდა და მუშაობდა ბელგიაში. იგი ევროპული ლიტერატურის ღრმა მცოდნე იყო. მან ქართულ ენაზე თარგმნა ბალზაკის, სტენდალის, მერიმეს, დოდეს, ფრანსის სახელგანთქმული რომანები და მოთხრობები. მას ეკუთვნის „ტრისტან და იზოლდას“, „ნითელი და შავის“, „იტალიური ქრონიკებისა“ და „შაგრენის ტყავის“ ბრწყინვალე თარგმანები. ამ თარგმანებით ქართველი

მკითხველი ათწლეულების განმავლობაში ეცნობოდა ევროპის ქვეყნების ყოფა-ცხოვრებას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანების ხასიათსა და კულტურულ თავისებურებებს; ეს წიგნები დიდი პოპულარობით სარგებლობდა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში.

მოსწავლეთათვის კარგად ცნობილია ნოველისტმა და მინიატურების ავტორმა ნიკო ლორთქიფანიძემაც ევროპული განათლება მიიღო; ამან დიდი ზეგავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე. მან ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ლიტერატურული მიმდინარეობა - იმპრესიონიზმი. მწერლის იმპრესიონისტული ნაწარმოებები არაჩვეულებრივი და ორიგინალურია, თანაც კავშირშია პატრიოტულ და ეროვნულ იდეალებთან. ამის გამო ისინი განსაკუთრებული ხიბლითა და მიზიდველობით გამოირჩევიან. ასეთებია საპროგრამო ტექსტები „გული“, „საშობაო მინიატურები“, „ლიტერატურული საღამო“.

მოსწავლეებს ამ კუთხით შეიძლება შევასწავლოთ მოთხრობა „დადიანის ასული და მათხოვარი“. ალბათ, ქართულ პროზაში ძნელად მოიძებნება ამგვარი მოთხრობა, რომლის მთავარი სათქმელი არის ადამიანი, როგორც ყველაზე დიდი ფასეულობა. ავტორმა მთავარ პერსონაჟს საოცარი გულწრფელობით აღსავსე სიტყვები ათქმევინა: „ მე მათხოვარი ვარ - მაშ, ჩემი გულისთვის არ გადადებდი თავს... ლექსი არ

დამინერია, ქანდაკება არ შემოქმენია -ხელოვნებისათვის არ შემობრალეხდი...გამჭრიახი წყობით ჯარს ვერ გავამარჯვებინებ მტერზე. ჩემი გონება არაფრად ღირს...მაშ, რა არის ჩემში ფასდაუდებელი?“

ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობის დასასრულს შთამაგონებლად აგვიხსნა, თუ რა არის ქვეყნიერების მთავარი განძი, უპირველესი ღირებულება: „ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს თუ დანელიას მელორეთ გააჩენს უფალი. დადიანის სასახლე ათას ფაცხაში გაიცვლება, ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც შეფასება, არც გამრავლება. იგი უფასოა. იგი ერთია, მუდამ ერთი.“. ეს მოთხრობა გვასწავლის, რომ ადამიანი ყველაზე დიდი ღირებულებაა. დღეს ევროპული საზოგადოების პრინციპიც ესაა: ადამიანია მათთვის უმთავრესი ფასეულობა. ამიტომ ნიკო ლორთქიფანიძე თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ იმ მწერლებს, რომლებიც ევროპულ ღირებულებებს გვაზიარებენ. ამ მიზნით ეფექტურია ვიზუალური მასალის „ადამიანი - ყველაზე დიდი ევროპული ღირებულება“ გამოყენება, სადაც თავმოყრილი იქნება ნაწარმოებში ამ ღირებულების აღიარების დამადასტურებელი ფრაზები და სტრიქონები. სასწავლო პროცესში განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ მისი ბიოგრაფიის შესწავლას, რაც ნათ-



ლად მეტყველებს იმაზე, რომ ნიკო ლორთქიფანიძე პიროვნულადაც და შემოქმედებითაც ნამდვილი ევროპელი იყო.

მიხეილ ჯავახიშვილის მწერლური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ევროპამ მართლაც უდიდესი როლი შეასრულა; ევროპული ლიტერატურისა და ფსიქოლოგიის შესწავლამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის რეალისტ მწერლად ქცევაში. იგი პირველი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ რომანს. თანამედროვე ბრიტანელი ლიტერატურათმცოდნე დონალდ რეიფილდი ჯავახიშვილის თხრობის სტილს, იუმორს, ფარულ ირონიასა და მორალურ შემართებას სტენდალის, მოპასანისა და ზოლას თვისებებს ადარებდა. აქ მოსწავლეებს უნდა გაეახსენოთ მისი მოთხრობა „ეშმაკის ქვა“. იგი, როგორც მათ იციან, მწერალმა ფრანგი სოციოლოგის გუსტავ ლე ბონის წიგნის „ბრბოს“ ზეგავლენით დაწერა. ამ ფსიქოლოგის შეხედულების თანახმად, ადამიანს ბრბოს კოლექტიური ემოციის ზეგავლენით ისეთი რამის ჩადენა შეუძლია, რაც მისი პიროვნებისათვის სრულიად უცხოა. ასეთი საქციელის მსხვერპლი გახდა სწორედ „ეშმაკის ქვის“ საოცრად სათნო და ღვთისმოსავი გმირი- სოფიო. ფრანგი ფსიქოლოგის მოსაზრება მწერალმა შესანიშნავად გამოიყენა, იგი ქართულ ყოფაში გადმოიტანა, ქართულ სინამდვილეს მოარგო და დაუფინყარი სახე შექმნა. მიხეილ ჯავახიშვილმა,

როგორც რალისტმა მწერალმა, სწორად გაიაზრა, რომ ბრბოს ფსიქოლოგია და რეაქციები ყველგან - ყველა ქვეყანაში - ერთნაირია, ერთმანეთის მსგავსია. ასე რომ, ლე ბონის შეხედულების მხატვრულმა ტრანსფორმაციამ ქართულ პროზას მართლაც ბრწყინვალე მოთხრობა შეჰმატა. ამ მოთხრობის სწავლებისას აუცილებელია გამოვყოთ მთავარი თემა ანუ საკითხი - ბრბო და საზოგადოება და შევქმნათ „საკითხის რუკა“; ეს მეთოდი ეფექტურია მოსწავლეებში ამ მოთხრობის მთავარი ღირებულების - ადამიანის სიცოცხლის უფლების - სათანადოდ აღსაქმელად. რუკაზე ცენტრალურ ადგილას განთავსებულია მთავარი საკითხი, ხოლო მასთან ისრებით დაკავშირებულ წრეებში ამ საკითხიდან გამომდინარე ქვესაკითხები; მაგ: აღიარება, კანონის უზენაესობა, პიროვნული და პირადი თავისუფლება, თანასწორობა, ჰუმანიზმი და ა.შ.

მწერლის მოთხრობაში „მინის ყივილი“ მოსწავლეებს თვალნათლივ შეიძლება დავანახოთ ქართველობასა და ევროპელობას, როგორც ორ ფენომენს შორის კავშირი და მიმართება. ქართველი ანდროკაიშაური ცხოვრების ბედუკუღმართობამ ევროპულ ანდრეკაშორად აქცია, რაც საბოლოოდ საკუთარ ფესვებთან დაბრუნებით დამთავრდა. მწერლის, როგორც მთხრობელი პერსონაჟისა და მთავარი გმირის ანდრეკაშორი-კაიშაურის ურთიერთობამ, კაშორის ტრაგიკულმა

თავგადასავალმა დაგვანახა, რომ მშობლიურ გარემოში წარმოსახვით დაბრუნება მას ქართულმა სიტყვამ, შოთას „ვეფხისტყაოსნის“ ფრაზებმა შეაძლებინა. მთელი მოთხრობა ამ სულისკვეთებითაა გაჟღერებული. ყოველივე ქართული, საქართველო, ქართული ენა და მშობლიური მხარე „ვეფხისტყაოსანთანაა“ გაიგივებული და მასთან ასოცირდება. მოთხრობაში შოთას გენიალურ ქმნილება ქართული ეროვნული იდენტობის სიმბოლოდაა წარმოჩენილი.

ნ. შატაიძის მოთხრობაში „კაპიკი გაკაპიკებული ანუ ევროპაში რა მინდოდა“ მოთხრობის ავტორი ხშირად იხსენებს სულხან-საბას დროინდელ ევროპას, თურქეთს და მის თანამედროვეობას ადარებს. ამ შედარებისას გამოჩნდა, რომ სარფის საბაჟო ავტორის დროსაც ისეთივე ძარცვა-გლეჯის ადგილი იყო, როგორც საბას დროს. შატაიძე ხუმრობით მოხსენიებულ სახელგანთქმულ საბაჟოს გადმოვლას ქართული ზღაპრის სიუჟეტს ამსგავსებს; „აქ იწყება იმ ხალხური ზღაპრის სიუჟეტიც, რომლის გმირსაც ბროლის კოშკში უნდა შესვლა, მაგრამ კარებში ისეთი პირდაღებული ლომები აბია, რომ იძულებულია ერთს ერთი ჩექმა მიუგდოს, მეორეს-მეორე და კოშკში ფეხშიშველი შევიდეს... აქ მოსული კაცი მაშინვე ხვდება, რომ მალე რაღაც სხვა, უცნაურ ქვეყანაში მოუწევს ფეხის შედგმა“. მწერალი ირონიით დასძენს: „აქამდე ასეთი რამ არსად, არც ერთ

ქვეყანაში არ უნახავს და უცხო სტუმარი მაშინვე გულის ფანჯრით გაიფიქრებს, ალბათ სწორედ ეს არის ის ალექსანდრე ქვეყანა, სადაც რძისა და თაფლის მდინარეები მოედინებო. ან არა და ბროლის კოშკი მაინც იქნება, თორემ ამდენ პირდაღებულ მტაცებელს აქ რატომ დააბამდნენო“. აქ მწერალი იმ უკანონო, უმართებულო და არასაჭირო გადასახადებზე გვიყვება, რომლებსაც ადამიანებს საბაჟოს მოსამსახურე პერსონალი ყოვლად გაუმართლებლად ახდევინებდა და მათი დანიშნულება ზოგჯერ გაურკვეველიც კი იყო. სამაგიეროდ მწერალი ალაფრთოვანა ავსტრია-იტალიის საზღვარზე ბრენერის უღელტეხილზე ნანახმა ფუნდუკმა, რომელშიაც სხვადასხვა დანიშნულების კვების ავტომატები იდგა, ხოლო მოსამსახურე პერსონალი კი არსად იყო. მწერალი მას ცნობილი ფანტასტის რეი ბრედბერის იდუმალებით მოცულ სამყაროსაც კი ადარებს იმიტომ, რომ აქ იდეალური წესრიგი, სისუფთავეა და არავინ არაფერს აფუჭებს მიუხედავად იმისა, რომ მას არ იცავენ და აკონტროლებენ. „ვიდექით და გაოცებულები ვიყურებოდით აქეთ-იქით, არა ეს ავტომატები არ გაგვკვირვებია, სულ სხვა რამ გვიკვირდა, რატომ არ იყო აქაურობა დამსხვრეული და დაღწეული, რატომ არ ამოეკანრათ მგზავრებს თავისი სახელები და გვარები კედლებზე, რატომ არავის აენაპნა ნათურები და ტუალეტის ქალაღი, რა

ხდებოდა, რა ხალხი ცხოვრობდა ამ უცნაურ ქვეყანაში, რა ხალხი მიმოდოდა ამ გზაზე“. ავტორი ასევე აღფრთოვანებით გვესაუბრება დიუსელდორფის უჩვეულო წესრიგსა და სისუფთავეზე. იქ „ისევე როგორც მთელ გერმანიაში, ვერსად ნახავ უადგილოდ დაგდებულ აგურს, ჟანგიან ჭანჭიკს, ფიცრის ნატეხსა თუ დაშლილ-გამოშინებულ ექსკავატორს. ქვასაც კი ვერ იპოვნი, რომ მიტოვებული მანანნალა ძალღიმი მოიგერიო, თუმცა კაცმა რომ თქვას, არც მანანნალა ძალღია სადმე“. შატაიძეს მოსწონს ავსტრიის სოფელი, მისი ხალხი, მათი საოცარი თავაზიანობა და დახმარების შეთავაზება. „ვდგავართ, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები, ამ უცხო ადამიანების ყურადღებით გახარებულები“. მთხრობელი ასევე აღტაცებულია იმით, რომ სოფელშიც იდეალური სისუფთავეა, ისეა დაწკრილებულ-დამასმასებული, რომ გულში ნათელი ჩაგიდგება“.

მოთხრობის კითხვისას მოსწავლეების ყურადღება უნდა მივაპყროთ ისეთ ეპიზოდებზე, სადაც თვალნათლივ ჩანს ადამიანთა ყოფაში რეალურად დამკვიდრებული კანონმორჩილება, კანონის უზენაესობა, ყველა ადამიანის დაფასება, მონესრიგებული ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემო, შრომით მიღწეული მატერიალური კეთილდღეობა, მშვიდობიანი და მონესრიგებული ქუჩები, მოედნები, გზები. ისინი ტრადიციებსაც სცემდნენ პატივს, თურქეთში, სასტუმროებ-

ში ეთნოგრაფიული კუთხეები ჰქონდათ მოწყობილი, სადაც სამუშაო იარაღები და ძველი ყოფის ამსახველი ნივთები იყო გამოფენილი. მწერალს ძლიერ მოუნდა მსგავსი რამ ჩვენშიაც ყოფილიყო; კარგი იქნებოდა, რომ, ქართველებმა „ამგვარი კუთხე მოაწყოს, სტუმარს ჩვენი ქვეყნის უძველესი კულტურა გააცნოს და მისი წარსულის მიმართ ინტერესი გაუღვივოს“- გვეუბნება ის. „თურქეთს ფართოდ გაეღო კარი ევროპული კულტურისა და შრომის თანამედროვე ტექნოლოგიებისათვის, აყვავების გზაზე დამდგარიყო და თანდათანობით ცივილიზებულ ქვეყანას ემსგავსებოდა“. მწერლის აზრით, ჩვენც ამასვე უნდა ვეცადოთ, სოფლის მეურნეობა ავალორძინოთ, რომ კეთილდღეობას მივალწიოთ, და არა პოლიტიკურ პარტიებში მოღვაწეობით და ვითომდა პოლიტიკური ბრძოლით, რაც, მწერლის თქმით, პოპულარული გახდა. მოთხრობაში მოყოლილი ამბები გასული საუკუნის ბოლო წლებს ეხება, მაგრამ ეს პრობლემები ჩვენში ახლაც არ კარგავს აქტუალობას. აქ აუცილებელია მოსწავლეთა ყურადღება მივაქციოთ ავტორის მიერ ევროპის იმ უპირატესობის აღიარებას, რაც გამოიხატება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსა და თანამედროვე ტექნოლოგიების ცხოვრებაში დანერგვით. სწორედ ეს არის ის ღირებულება, რისთვისაც ჩვენ ვირჩევთ ევროპას, რადგან იგი ყველაზე შედეგიანად აღწევს ადამიანთა კეთილდღეობის ამალღებას.

ევროპული ღირებულებების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების მეორე შესაძლებლობა საქართველოს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაუჩნდა. ეს პროცესი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ამასთან დაკავშირებით მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გავაცნოთ მწერალ აკაკი ბაქრაძის შეხედულება, რომელიც ამ თემის საინტერესო ინტერპრეტაციას წარმოადგენს. იგი გვისაბუთებს, თუ რატომ უნდა გავაკეთოთ არჩევანი დასავლური ფასეულობების სასარგებლოდ. ა. ბაქრაძე წერს, რომ კაცობრიობა ვითარდება იმ პრინციპებითა და წესებით, რომლებიც ევროპამ შექმნა და ჩამოაყალიბა. იგი აზროვნებას ორ სახედ ჰყოფს; ეს არის რელიგიურ-ფილოსოფიური და მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება. მისი აზრით, აზროვნების ეს ორი ფორმა ევროპულმა კულტურამ ჰარმონიულად შეაერთა და ასე შექმნა თანამედროვე ცივილიზაცია. მწერალმა იცის, რომ აზიური კულტურა არაფრით ჩამოუვარდება ევროპულს რელიგიისა და ფილოსოფიის კუთხით. იგი გვახსენებს, რომ ყველა მსოფლიო რელიგია - ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი აზიაში შეიქმნა. დიდი და ღრმაა არაბული, სპარსული, ინდური და ჩინური ფილოსოფიური მოძღვრებები, ასევე ლიტერატურულ-მხატვრული ქმნილებები. აკაკი ბაქრაძე დასძენს, რომ აზიის ხალხების როლი და ადგილი მეცნიერულ-ტექნიკურ აზროვნებაში ძალიან მცირეა.

მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნება ევროპული კულტურის ნაყოფია. აქ ა. ბაქრაძე აკეთებს სამართლიან დასკვნას: კაცობრიობის განვითარება ხდება მეცნიერულ-ტექნიკური და არა რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების საფუძველზე. ევროპულმა ცივილიზაციამ ათასნაირი ხელსაწყო, ტელეფონი, ტელევიზორი, კოსმოსური ხომალდები შექმნა, მალე მზის სისტემის სხვა პლანეტების დასახლებასაც დაიწყებს. ამ გამაოგნებელ წინსვლას ადამიანმა მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების საშუალებით მიაღწია. პუბლიცისტის თქმით, ძლიერ მომაჯადოებელი და მიმზიდველია რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნება, მაგრამ მას კაცობრიობის წინსვლაში არსებითი როლი არ შეუსრულებია. მწერალი განაგრძობს ამ მოსაზრების დასაბუთებას: „ადამიანის ბუნება ვერ შეცვალა რელიგიური მცნებების ქადაგებამ. ადამიანები ერთმანეთს ახლაც კლავენ, ომებისა და რევოლუციების სახით გაუგონარ სასაკლაოებს აწყობენ. არც იმის იმედია, ძარცვა-გლეჯა ოდესმე მოიკლებს. ადამიანის სულიერი არსი არ შეცვლილა. მხოლოდ ერთადერთმა ცივილიზაციამ - ევროპულმა - შეიერთა ჰარმონიულად აზროვნების ორივე სახეობა - რელიგიურ-ფილოსოფიური და მეცნიერულ-ტექნიკური, ამიტომ იგი მსოფლიოს დაეუფლა. ამ ცივილიზაციაში აზროვნების ორივე სახეობა თანაბარი ძალით არსებობს. აზიურში - კი არა. ამ

კუთხით აზია ცდილობს გაუთანაბრდეს ევროპას, მაგრამ უკვე დაგვიანებულია. როგორც უნდა განვითარდეს ინდური, ჩინური, იაპონური ცივილიზაცია, იგი თავს ველარ დააღწევს ცივილიზაციის იმ ფორმას, რომელიც ევროპამ შექმნა“, - ასკვნის იგი. დღეს ჩვენი მოსწავლეები კარგად ხედავენ, რომ ყველანაირი ტექნიკა, კომპიუტერიზაცია და ინტერნეტი დასავლური ცივილიზაციის ნაყოფია. ბაქრადის აზრით, „კაცობრიობა ამ ცივილიზაციაზე უარს ვეღარც იტყვის და აღარც იტყვის. კაცობრიობის უახლოესი მიზანი და ამოცანაა სხვა პლანეტებზე მოგზაურობა და დასახლება. ამას კი ვერ განახორციელებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გარეშე. თუ კაცობრიობა შვიდი-რვა ათასი წლის მანძილზე ზიქურატებიდან და პირამიდებიდან ელექტრონიკამდე და კოსმოსურ ტექნიკამდე მივიდა, წარმოიდგინეთ რა უსაზღვრო თვალსაწიერი იხსნება მის წინ მომავალში. ამ უსაზღვროების გზა ევროპულმა ცივილიზაციამ გახსნა“ - ასკვნის მწერალი. ეს სიტყვები გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაიწერა; მწერლის წინასწარმეტყველება მართლაც ასეა; ევროპულმა ცივილიზაციამ მრავალი მწვერვალი დაიპყრო და კაცობრიობის მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში თავისი ლომის წილი შეიტანა. დღევანდელი მოზარდებისათვის, ალბათ, წარმოუდგენელია ყოველდღიური ყოფა კომპიუტერის, თანამედროვე მრავალფუნქციური

ტელეფონების, ციფრული ტექნიკისა და მაღალსიხშირიანი ინტერნეტის გარეშე. ასე რომ, კაცობრიობის მომავალს დღეს კვლავაც ევროპა წარმართავს, ამიტომ ჩვენს დასავლურ ორიენტაციას, ევროპასთან ინტეგრაციისაკენ სწრაფვას ესეც განაპირობებს.

ქართული ლიტერატურის სწავლება ევროპული ღირებულებების კუთხით დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში მიმდინარე პპლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების გამო. იგი მოსწავლთა ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში მნიშვნელოვანი წარმატების გარანტი გახდება, რადგან ქართულ ენასა და ლიტერატურას გააჩნია მრავალმხრივი შესაძლებლობები იდეების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესწავლის თვალსაზრისით. ამ შესაძლებლობების პრაქტიკულად და მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესში ნამდვილად შეუწყობს ხელს მომავალი თაობის აღზრდას ევროპული მსოფლმხედველობითა და თვითშეგნებით, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი ევროპული საზოგადოების შექმნას.

**თამილა ძნელაძე**  
**ჩონატაური გოგოლესუბნის**  
**საჯარო სკოლის პედაგოგი**

# საბანძური

„დედაენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული რომელშიც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით“-იაკობ გოგებაშვილი.

სარკმელთან ვდგავარ... გაცქერი ბუნებას, ანაზდად სიომ დაუბერა, აშოლტილი ჭადრის ხეებიდან ფოთლებმა ფარფატით ინყეს ძირს ჩამოცვენა. ჭადრის ძირას პატარა ბიჭი დგას, ხელში სათუთად უჭირავს დედაენა და გულში იხუტებს. უცებ მახსენდება ჰერაკლიტე ეფესელისა გამონათქვამი: „ღმერთები უკვდავი ადამიანები არიან, ხოლო ადამიანები მოკვდავი ღმერთები“...

კაცობრიობა, ანუ „მოკვდავ ღმერთთა ერთობლიობა“, ჟამ-ჟამად დროისა და სივრცის გარკვეულ ნაკვეთში, თითქოს „საჭიროების მიხედვით“-თავის წიაღში წარმოშობს „რჩეულს შვილს, ანუ გმირს“, რომლის ცხოვრება, სახელი, სანიშანსვეტო ხდება მთელი ეპოქისათვის: ან კიდევ-„ეს რჩეული მოკვდავი ღმერთი“ თვითონ არიან შემოქმედნი და წარმმართველნი მთელი ეპოქებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესსა და უმძიმეს გზაზე.

სწორედ ასეთ მოკვდავ ღმერთთა „წყებას განეკუთვნება დიდი იაკობი“

ფიქრს თავი დავაღწიე და ნავედი პატარასათან, ის კვლავ იქ იდგა, წიგნი გულში ჰქონდა ჩახუტებული, მოვეფერე და მინდოდა წიგნი გამომერთმია, წიგნი არ მომცა, ხელით მანახა და მითხრა: „ჯერ ვერ ვკითხულობ, რადგან ყველა ასო არ ვიცი, ძალიან მიყვარს ეს წიგნი, იმიტომ რომ დედაენა ჰქვიაო, მე დედა ძალიან მიყვარს და ამ წიგნსაც კარგად ვისწავლი, მიყვარს ია-იას დახატვა, ხშირად ვხატავ და თქვენც გაჩუქებთ“. წიგნი გადაშალა და მითხრა“ ნახე, როგორი კარგი სუნი აქვს ამ იას, „ის ლურჯთვალა და ლამაზია; აქეთ-იქით გაიხედა, თუ სადმე ვნახე ია, აუცილებლად მოგიტან, ეზოში წავიდა, წიგნი კვლავ გულში ჩაიხუტა. მე კვლავ ფიქრის მორევში ჩავიძირე...

ენა თავისი ასაკით ერის ასაკს უახლოვდება, თუ ერი არ ბერდება და არ უძღურდება, ეს იმიტომ, რომ, ერს აქვს უკვდავი სისხლი - ენა, მუდამ ცოცხალი და მუდამ ახალგაზრდა, რომელიც სიცოცხლის წყაროთი ჰკვებავს ერს და უკვდავებას ანიჭებს მას. ენის გარეშე ხალხი დაუძღურებოდა, მოისპობოდა და გაქრებოდა. ენა ის ჯადოსნური ძალაა, რომელიც სულიერად კვებავს ერს, და უადვილებს კიდევ, საარსებო საშუალების მოპოვებას...

მართებულად აღნიშნავდა ჩვენი დიდი მოძღვარი, მასწავლებელთა მასწავლებელი, „იაკობ გოგებაშვილი“, დედაენა გარეგნობით როდია ადამიანის არასებასთან დაკავშირებული, იგი როდი ჰგავს ტანისამოსსა, რომლის გამოცვლა ადვილად და უვნებლად შეიძლება. მას აქვს ღრმად გადგმული ფესვები, ადამიანის ტვინში, ნერვებში, ხმის ორგანოებში, ძვალსა და რბილში, მთელს მის ბუნებაში. იგი არის ძვირფასი იარაღი რომელიც ბუნებას ზედ გამოუჭრია, ადამიანის სულსა და სიცოცხლეზედ =. მის ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ აგებულებაზედ“...

მართლაც დედაენის შემწეობით ბავშვს გადაეცემა ყოველივე ის, რაც წინაპართა უამრავ თაობებს უნახავს, განუცდია, უფიქრია...

დედაენა ხომ ის წიგნია, რომლითაც ბავშვი უნდა ეზიაროს ცოდნას, კითხვას, წერას და ყოველივე მას, რაც შემდგომში საფუძველი იქნება მისი ადამიანად ჩამოყალიბებისა.

კითხულობ იაკობ გოგებაშვილის წიგნს, „საგანძური“, და რწმუნდები, რომ შენს თვალწინ ხდება ყოველივე ის რაც მასში არის აღწერილი. მაგალითად, ვანო და ჩიტი, რამდენჯერ დაგინახავს რომ პატარა ჩიტს გაჰკიდებია დასაჭერად, მეორეს კი არ დაუნებებია მისი დაჭერა, შეცოდებია...

იაკობის მოთხრობების გმირებს, თითქმის ყოველთვის ხვდები, ამ დროს გახსენდება ჩვენი დიდი მოძღვარი და ფიქრობ, სანამ ერი და ენა იარსებებს, დავიწყებას არ მიეცემიან დიდებული ადამიანები...

მინდა ერთი პატარა ამბავი გავიხსენო, ბავშვობაში მეზობლად ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, ანა ბებია, ერთ დღეს იგი ძალიან დადარდიანებული დამხვდა, ვკითხე მიზეზი და აი რა მითხრა: „ზანდუკი დამენვა, არაფერს არ ვდარდობ, მხოლოდ ერთი კარგი წიგნი მქონდა დედაენა და იმას ძალიან ვდარდობო“. მალე სკოლაში წავედი და როდესაც დედაენა მომცეს ხელში, გულდანყვევით მივუტანე, მაგრამ არ გამომართვა, მითხრა, ის წიგნი ძველი იყო, ჩემს ძმას მისმა მასწავლებელმა აჩუქა, რომლისთვისაც ის წიგნი თურმე მის დამწერს გამოუგზავნია, როცა დედაენა შევისწავლე შევისისხლხორცე, შევიტკბე და შევიყვარე, მაშინ კი მივხვდი თუ რა დიდი დანაკლისი იყო მისთვის ამ წიგნის დანვა. მის მერე ხშირად ვფიქრობ ანა ბებიას არ გაუჭირდებოდა დედაენის შეძენა, მაგრამ გული იმაზე სწყდებოდა, რომ ის იაკობისეული იყო, იაკობისა და მისი „დედა ენის“ სიყვარული მუდამ იყო არის და იქნება ქართველი კაცისთვის ძვირფასი საგანძური...

საგანძური, რომელსაც ფასი არ დაედება, კაცი რომელსაც ბადალი არ ეყოლება, იაკობი კვლავ იარსებებს ქართველი კაცის გონებაში, მე კი სიამაყით მევსება გული, იაკობის ხელნაკეთმა წიგნმა ჩვენს შორეულ ლეჩხუმში რომ მოაღწია, და ჩემის სოფლის ორკლასიან

სკოლაში დაიდო ბინა. შემდეგ კი ათეული წლების მანძილზე ჩემს მეზობლად იყო, რომელსაც სათუთად ელოლიავებოდა და რუდუნებით ინახავდა ანა ბებია. იაკობი და მისი „დედაენა“ ჩვენი ერის სიმდიდრე და სიამაყეა...

აზრთა კონა სხივმოსილი,  
გაბნეული ქვეყნად ყველგან,  
ქართული ენის, დედა ენის,  
გაჩენილხარ მის დამცველად,  
შენს ფიქრსა და აზროვნებას  
არ ექნება დასასრული,  
შრომა, თქვენი მონოდების,  
არ იქნება დაკარგული.  
პირიქით ყოველდღიურად  
ღვივდება თქვენი სახელი,  
ერს დედაენა მიეცი,  
მტერს მიუსაჯე სასჯელი“.

იაკობი მაღალ შეფასებას აძლევდა სასულიერო მოღვაწეებს, მათ შორის კი, განსაკუთრებით გაბრიელ ქიქოძეს, იგი ხოტბას ასხამდა იმერეთის ეპარქიის მღვდელთმთავარს, რომლის „გულში ღვიოდა შეურჩეველი სარწმუნოება და გონებაში - საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლება, მეცნიერება და ორივე - სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულად იყვნენ შეთვისებული, შეზრდილნი, შეთანხმებული და შეადგენდნენ ერთს რთულს მომხიბლავს, სასულიერო ძალას, ბრწყინვალე ინტელექტს“.

გული სიამაყით მევსება ამ ფრაზების წაკითხვისას, რადგან ჩემი სოფლის მშენებარე სამლოცველო გაბრიელ ქიქოძის სახელობისაა, რაოდენ საამაყო და ღვთის საჩუქარია, ის, რომ ტაძარში სადაც ახალგაზრდობამ, სულის სიმტკიცე, მოყვასის სიყვარული და პატივისცემა უნდა განიმტკიცოს, იაკობის რჩეულის, წმინდანის სახელობისაა.

ფიქრობ და რწმუნდები რომ მასწავლებელთა მასწავლებელმა, დიდმა იაკობმა, რამდენიმე ოცეული წლის წინ, ნათლად წარმოიდგინა ცოდნის საფუძვლიანად და მტკიცედ დაუფლება, დიდაქტიკური პრინციპების განხორციელება, ამოსავლი წერტილი იქნებოდა დღევანდელი ჩვენი სწავლისა და განათლებისა.

იაკობი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართულ ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორს, მის მრავალ ნაწარმოებში სჩანს, ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გაცოცხლება. იაკობის სიყვარული ქართული ფოლკლორისადმი საოცრად დიდია.



იაკობის კვირეულს მიეძღვნა ჩვენს სკოლაში, ლაშქრობა ლაჯანურის ხეობაში, კერძოდ კლდე-აღმართში, მოხუცებთან საუბრისას გაირკვა, რომ მათ ბევრი ლექსი და მოთხრობა კარგად იცოდნენ გოგებაშვილისა, სოფელ ორბელასა და ლაჯანაში გოგებაშვილები ცხოვრობენ, რომლებიც ამაყობენ მათი, დიდებული მოგვარით.

იაკობი ეს ის პიროვნებაა რომელმაც, თანაგრძნობა თითქმის 150 წლის წინ გამოხატა, განსხვავებული პირობების მქონე ადამიანებისადმი. მაგალითად მოთხრობა „კოჭლი კაცი“, (პატივისცემა და თანაგრძნობა), იაკობი გმობდა სიზარმაცეს უქნარობას...

იაკობ გოგებაშვილის საგანძური და მისი ტომეულები ძვირფასი, საუკეთესო წიგნებია, საიდანაც მოსწავლე ყოველთვის ამოკრებს, სიბრძნის სიკეთის, შრომის, გმირობის, სიყვარულის, კაიკაცობის ამოუნურავ მაგალითებს...

ეპოქის გმირად გამოჩნდი,  
ბორკილების დასამსხვრევად,  
დედაენა ხალხს მიეცი,  
ცოდნის, სწავლის შესაძენად !

**ზისერი ზურჯალიანი**  
ცაგერი, ლაჯანის საჯარო სკოლის პედაგოგი.

„დედა ენას“ ვეფხისტყაოსნის გვერდით აყენებენ, თუ ქართველი კაცი აქამდე მტერსა და დუშმანს „ვეფხისტყაოსნით“ იგერიებდა, ამიერიდან მას ხელში „დედა ენა“ ეჭირა და თავის ნიჭს, კაცურკაცობასა და ქართველობას იმით იცავდა...

**დედა შენგულია**

# ჩემი სატკმლიდან დანახული იაკობი და „დედა ენა“

გოგებაშვილის „დედა ენა“ ქართველისათვის საფიცარი წიგნი, ძვირფასი საუნჯეა, რომელიც უდაბნოში ამოხეთქილი წყალივით სჭირდება მოზარდის სულსა და გულს, ათვითცნობიერებს დიდსა და პატარას, მოხუცსა და ახალგაზრდას.

„დედა ენა“ 140 წელზე მეტია ასაზრდოებს ქართველის გონებას, აწვდის მას იმ საზრდოს, რომელიც ჰაერივით მაცოცხლებელია ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის. ნელა ვაღებ ჩემს სარკმელს და ერთხელ კიდევ მინდა დავინახო და სხვასაც დავანახო „რა განძი გვექონია, რა მხნე და მდიდარი“ (გ.ტაბიძე)

ამ ჯადოსნური წიგნის პირველი ხიბლი და ლაზათი იგრძნო ჩვენმა გოგლამ, საყვარელმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ. მართლაც, საუკუნეზე მეტია „დედა ენა“ მეორე ძუძუ გახდა ქართველი მოზარდისთვის დედის შემდეგ, ჩვენს აკვანს შემომჯდარი მოღუღუნე მტრედია, იავნანის მგალობელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული სურნელია. უფრო ფართოდ ვაღებ ჩემს სარკმელს და გონებაში იხატება სიცივიტით აძაგძაგებული, გათიშული კაცი, რომლის მზეც გორას მიჰფარებოდა და მან..., „დედა ენამ“ მისნი-მოსნია ბაყბაყდევიტით

ეს გორა და მოჩახჩახე მზის სხივებით უხვად გაათბო ყინვით დამზრალი კაცის გული. ეს რა დავინახე-მეთქი და უფრო გამოვალე ჩემი ცოდნის სარკმელი და, უნებლიედ ამოტივტივდა გონებაში გოგლას დაუვინყარი სტრიქონები:

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,  
ოქროსხმიან სიმებად  
გულში ამოხლართული“.

მეც, ქართველი მასწავლებელი, ვგრძნობ ცაში ატყორცნილ ტოროლას ფრთების ტყლაშუნს, დაღლილი ხარის ტირილს, მეხრის სევდიან ოროველს, მთიდან მორაკრაკე ნაკადულის კისკისს. ესეც ჩვენი „დედა ენა“. კადნიერებაში არავინ ჩამომართმევს, მაგრამ, შეიძლება ბევრმა არც კი იცის ამ „ხელიხელსაგოგმანებელი“ წიგნის ავტორის ვინაობა, მისი ცხოვრების რთული გზა.

ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ: „დასაქცევი მებატონე ჩამოივლის ვარიანსა, წიოკობას აუყენებს ქათამსა და ვარიანსა“. ყოველ სოფელს მაშინ გაუვარდება სახელი, თუ იქ ვინმე დიდი კაცი დაიბადება. ასეთ დიდ კაცად მოვევლინა საქართველოს გორის რაიონის

სოფელ ვარიანში 1840 წლის 15 ოქტომბერს ლარიბი მღვდლის ოჯახში დაბადებული იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი. შემდეგში ქართველი პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. სწავლობდა ჯერ გორის, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1861 წელს შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში, პარალელურად უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს საბუნებისმეტყველო დისციპლინებში, მაგრამ ჯანმრთელობის გამო იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ის მუშაობას იწყებს თბილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად. 1868 წელს ინიშნება ინსპექტორად, მაგრამ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმის გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. ამის შემდეგ ის სახელმწიფო სამსახურში არ შესულა, გახდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, დიდია მისი როლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების დაარსებასა და მის ფუნქციონირებაში.

„იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება ქართული კულტურის წიაღში საზღვარგარეთსა და რუსეთის პროგრესული პედაგოგიური მემკვიდრეობის ათვისებისა და შემოქმედებითად გადამუშავების შედეგად აღმოცენდა“, -

ვკითხულობთ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე ტომში, გვ 196.

გოგებაშვილმა გაამდიდრა ქართული საბავშვო მწერლობა. მისი „იავნანამ რა ჰქმნა?“ ხომ სავიზიტო ბარათია, მწერლის „დედა ენა“, (1876), „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „რუსკოე სლოვო“ (1887) და სხვა დაუფასებელი განძია ქართული კულტურისათვის.

გოგებაშვილის სამუდამო განსასვენებელი მთანმინდა და ქართველთა გულია. ვფიქრობ ასეთი ღირიკული გადახვევა პუბლიცისტური წერილისათვის აუცილებელია.

ჩემი სარკმლის გადასახედიდანახლა „დედა ენის“ პერსონაჟებმა შემოანათეს. პირველი გამოჩნდა გამბედავი, უშიშარი, მამულისათვის გულანთებული, კონტასთავის შეთქმულების მონაწილე - ცოტნე დადიანი, რომლის მამაცობამ ნოინიც გააოცა, ლეგენდად იქცა ცოტნე ქართველთათვის. აი, ვინ და რამ გადაარჩინა საქართველო.

თამამად და სიამაყით ვაღებ ჩემს სარკმელს და სასოებით ვუმზერ ბერულ სამოსში გამონყობილ თეთრწვერა მოხუცს-ბერ თევდორეს, მტრის რაზმის მეგზურს, უღრან გაუვალ ტყეში რომ შეეტიყუებინა მტერი გზის ასარევად და დროის მოსაგებად, მეფის დასახსნელად. მიუხვდნენ ეშმაკობას მტრები და ხმლით

აკუნეს. ალბათ, კათალიკოს ამბროსი ხელაიასავით ისიც თუ ფიქრობდა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული - სამშობლოს, ჩემი სხეული კი თქვენთვის დამითმია მტარვალეობ!“ მან თავისი სიცოცხლით მეფე გადაარჩინა... და ჩვენც გადავრჩით! გესმით დღევანდელი ქართველებო, ბერი თევდორეს უკანასკნელი ამოძახილი?

აგერ თითქოს ცის ტატნობზე იკვეთება ლანდი, დინჯი და დარბაისელი იოთამ ზედგინიძისა, მან მეფის და ქვეყნის ძლიერების გადარჩენისთვის თავი განირა. კომენტარიც ზედმეტია. აი, წინაპრების რეალური სახე. მეფის დაცვით იოთამმა სამშობლო დაიცვა... („იოთამ ზედგინიძე“)

უეცრად სარკმელში ელვარე ხმლით ცხენოსანმა შემოანათა. ეს ჩვენი სახელოვანი ერეკლე მეფე არ არის? - ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო სპარსულ ქუდს არ დაიხურავდა, - მომესმა ინგილო ქალის შეძახილი, მან გაბედულად ქლიავი გადმოაყარა მეფეს და განყრომის ნაცვლად მეფის შექება და მზითვეი დაიმსახურა. („ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“). სად არიან დღეს მსგავსნი?

პატრიოტიზმის უიშვიათესი ნიმუშია „სამასი არაგველის“ გმირობა. თითქოს მათი სულებიც ჩვენგან არდავიწყებას ითხოვენ, არა და არა!

„არ იქნება გმირთა სახე  
საუკუნოდ არ გვახსოვდეს.“

ვინც დაეცა სამშობლოსთვის,  
არ მოკვდება არასოდეს“  
(ვ. ფხოველი)

ამ სამასი არაგველიდან 299 კრწანისის ველზე უსამართლო ბრძოლაში დაიღუპა. მესამასემ დროშა და ამბავი აიტანა საარაგვისთაოში. დედა გაუნყრა შვილს, შენს მეგობრებთან ერთად რატომ არ შეაკალი მტერს თავი? მე ერეკლე მეფესთან ვბრუნდებოდი! - იყო პასუხი და მინდა ლადო ასათიანივით შევძახო:

„ჰეი, თქვენ არაგველებო,  
გაუმადლარნო ომითა,  
მე თქვენს საფლავთან  
მოსვლა და  
მუხლის მოდრეკა მომინდა“.

ასეთი ნაწარმოებები მოზარდებს სამშობლოსათვის თავდადებას და სიყვარულს ასწავლიდა.

ჩემი სარკმლიდან დანახული „დედა ენიდან“ შემოანათა პატარა ქეთო ქართველადის ულამაზესმა სახემ. მას გვერდს უმშვენებს მაგდანი და ზურაბი, ქართულ ბუნებასთან შეზავებულმა მაგიურმა იავნანამ ოჯახს ერთადერთი შვილი დაუბრუნა. ჰუმანურობა, მეგობრობა, სიყვარული, ურთიერთდანილობა... აი, რითი გვეკვებავს გოგებაშვილის „დედა ენა“

გონების თვალით დანახულ გოგებაშვილის „დედა ენას“ მაგიური ძალა აქვს, ბევრ

საკითხზე დაგაფიქრებს და კითხვებს გაგიჩენს. ვართ კი წინაპრების დანატოვარის დამფასებელი? ვუფრთხილდებით ენას, მამულს და სარწმუნოებას? შარდენის ტყავივით შემცირებულ საქართველოს მკვიდრნი ტოვებენ. 740 ათასი ქართველი საცხოვრებლად უცხო ქვეყანას ირჩევს. დაგვაინწყდა გენიოსი ბარათაშვილის სიტყვები:

„უწინაც დღე კი დამელევა მე,  
უცხოობაში რაა სიამე?  
სადაცა ვერვის იკარებს სული  
და არს უთვისო დაობლებული“.

გაუცხოვდა ქართველისთვის ენა მდიდარი, ენა მაღალი, რომელიც თავის დროზე გადაარჩინა ილიამ, აკაკიმ და გოგებაშვილის „დედა ენამ“, დღეს კი მშობლიურ ენად ლამის ინგლისური გავიხადოთ. თუ არადა ვიცით, „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,“ დაგვაინწყდა დიდი კონსტანტინეს გაფრთხ-

ილება: ენის მოვლა, პატრონობა, დაცვა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც სამშობლოს დაცვა ხმლით. ამ კუთხით თითქმის ყველა ცოდავს, ირღვევა ქართული ენის ნორმები, გვახსოვდეს, სხვა ენისადმი სიყვარულს შენი ენისადმი სიყვარული უნდა უძლოდეს წინ!

„დედა ენას“ ქართველ ბავშვს ვერაფერი შეუცვლის, ამ წიგნით მისთვის მთელი სამყარო იმზირება, იშლება და მომავალი იძენება.!

ჩემი სარკმლიდან დანახული გოგებაშვილის „დედა ენა“ არის ჩვენი პირველი და ბოლო ამოსუნთქვა, თვალის ჩინი და სიბრმავე თვალთა, გულისცემა და ტკივილი სულის, მინაზე ხორცი - საგზალი სულის, ჩვენი სიყრმე და სიბერე ტკბილი, სიმაგრე-ფუძის და ფარი-ჭერის, „დედა ენა“-არსებობა ერის.

**ნონა ცაავა**

**მარტვილი, სალხინოს  
საჯარო სკოლის პედაგოგი**

იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისათვის გაცილებით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს

**ვასილ ბარნოვი**

# ბელოვიც კი თიქტომს საქართველოზე

...ჩემი თაობა ძალზე დიდხანს იმყოფებოდა სიცრუეში, კომუნისტური რეჟიმის პირობებში წარმოუდგენელი იყო რეალისტურად გადაგვეფასებინა ტყუილ-მართალი და გაგვეგო რა იმელაბედო იდეალური სახელმწიფოს მიღმა!..

...ლენინის ძეგლთან პიონერულ ფიცსა ვდებდით, ყელზე ალისფერი ყელსახვევი გვიფრიალებდა, გვიღებდნენ კომკავშირში, შემდეგ კი პარტიის რიგებში და კომუნიზმის მშენებლობის ფერხულში აქტიურად ჩართულნი, - დიდ სამშობლოდ საბჭოთა კავშირს ვთვლიდით?!, „თავისუფალ ერთა მძლე კავშირში“ ვცხოვრობდით - „ლალად ბედნიერად და ე.წ. „ოკუპაციაზე“ ვინ გაბედავდა სიტყვის თქმას?!

„თებერვალო, საქართველოს გაზაფხული ხარ!“ - ამ ლექსს ამაყად წარმოვთქვამდით საზეიმო შეკრებებზე და რა ვიცოდით, თუ საქართველოს ახალი უბედურება სწორედ თებერვალში დაიწყო და 117 წლის შემდეგ აღდგენილი ნანატრი დამოუკიდებლობა „რუსლმა ჩექმამ“ კიდევ ერთხელ გადათელა და „ქართველებისვე ხელით“ წაგვართვა თავისუფლება და მრავალწლიანი მონობის უღელი დაგვადგა?... მერე წითელმა არმიამ თავისი ჩვეული ოპერატიულობით 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი დილაც გაგვითენდა.

1975 წ. კვლავ მოგვიხდა ქართული ენის დაცვა, მაგრამ მშობლიური დედა ენა ვერ წაგვართვეს და ვერ „გაგვარუსეს!“...

...9 აპრილის ტკივილიანი დღეების შემდეგ ისევ ახალი სცენარი დაიდგა - დავკარგეთ ჩვენი ძირძველი კუთხეები სამაჩაბლო და აფხაზეთი! გადავიტანეთ მძიმე, 2008 წლის ომი, ოცი პროცენტი ტერიტორიებისა კიდევ მიუზღაბრეთ წართმეულს... თუმცა 1991 წლის 9 აპრილს მეორედ, კვლავ მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ჩვენი ქვეყანა თანდათან ისევ დალაგდა; მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ შეძლეს საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების სრული შეკავშირება, ერთ მუშტად შეკვრა და შედუღაბება! მათთვის სამშობლო იგივე იყო, რაც სიმართლე და იმ საშინელ სიბნელეში, როცა სიმართლე ყველას მკვდარი ეგონა, ხოლო სიმართლის თქმა შეუძლებელი, მათ პირველებმა აღიმაღლეს ხმა საყოველთაო ბოროტების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს - თუმცა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებას ზვარკად შეწირეს!

დღეს, როცა თვალს ვავლებთ წარსულის ჰეროიკას, ბევრი რამის გადაფასება გვიხდება და აღარ გვეშინია თავისუფლად ცხოვრების; მრავალი ოცნება და ფიქრი აგვიხდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ევროპის

ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლაა, რასაც აუცილებლად სჭირდება გაფრთხილება და შენარჩუნება?!

...ჩემი ფიქრები და განცდები კვლავ ლევილს უკავშირდება, რომელიც 2016 წლის სექტემბერში მოვინახულე მეუღლესთან ერთად. ნანატრი ოცნება და დიდი ხნის სურვილი რეალობად ჩემმა ქალიშვილმა, სალომემ ამიხდინა, რომელიც სწავლის მიღების შემდეგ უკვე ცხრა წელია იქ ცხოვრობს; მონვევა კი ჩემი მეუღლის ბიძაშვილისგან-ქალბატონ დარეჯან ბერეკაშვილისგან მივიღეთ, რომელიც მოქანდაკეა და ქართული დიასპორის ხელმძღვანელის-ბატონ ოთარ ზურაბიშვილის მეუღლეა. მათი წინაპრებიც ლევილის სასაფლაოზე განისვენებენ და ახლა ფონტენებლოდან, პარიზის წმ. თამარ მეფის სახელობის ეკლესიის მოძღვართან - მამა ანტონთან ერთად ლევილისაკენ გულისფანცქალით მივეშურებით, ბუნებრივია ჩემი მეუღლე უფრო ღელავს, რადგან ბატონ გურამ შარაძის „პარიზული დღიურებიდან“ კარგად იცის, რომ ლევილის სასაფლაოზე ექვსი ბერეკაშვილი განისვენებს, რომლებიც ემიგრაციაში დამოუკიდებლობის დაკარგვისთანავე წავიდნენ და საქართველოში დაბრუნების იმედები თან წაიღეს?!...

...ახლა აქ ვარ, ამ მიწაზე, სასიქდულო მაულიშვილთა საფლავების გარემოცვაში და ნიკოლოზ დადიანის ლექსის ამონარიდს ვიმეორებ გულში „ძვლებიც კი ფიქრობს საქართ-

ველოზე!“ ეს სიტყვები მჭერმეტყველურად გამოხატავს სამშობლოდან მონყვეტილი და ბედის უკუღმართობით უცხოეთის ცისქვეშ მოხვედრილი ქართული, ეროვნული ემიგრაციის ტრაგიკულ ბედს! მათ ხომ უთვალავი აუხდენელი ოცნება გაჰყვათ მარადიულ საუფლოში, როგორც ბედისა და სახელის ჭეშმარიტ მაძიებლებს...! მართალია უცხო მიწაზე სამშობლოდან შორს, მაგრამ მათი ყოველი წამი სამშობლოზე ფიქრი და მამულისათვის უანგარო მოღვაწეობა და თავდადება იყო... იქ, მხოლოდ ქართულ საქმეს აკეთებდნენ და დაუღალავი შრომის მოყვარეობით ცდილობდნენ ევროპისათვის ლამაზად გაეცნოთ თავიანთი საამაყო ქვეყანა, მათ დიდი ღვაწლი, ამაგი მიუძღვით ქართული მეცნიერების, პოლიტიკის, კულტურის სფეროში; რომელთა საქმიანობა ლევილის არქივში-სხვადასხვა ნაშრომებსა და ხელნაწერებშია აღწერილი... მარტო ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი იქნებოდა საკმარისი დიდ ქართველთა გმირობის წარმოსაჩენად!...

ახლა მოკლეთ ლევილზე; - იგი პარიზთან ახლომდებარე დაბაა, რომელიც ფრანგულ საისტორიო წყაროებში ჯერ კიდევ XII ს დამლევადან ლენვილად იხსენიება. XV ს. კი ლევილად იწოდება. მესამე რესპუბლიკის დროს, 1884 წლის 5 აპრილს გამოცემული კანონის ძალით ლევილის გამგებელი გახდა კომუნის მუნიციპალიტეტი. დღესაც მას ადგილობრივი თვითმმართველობა (მერია) განაგებს. ლევილის შატო მიწის

იმ ნაკვეთზეა, ახლა რომ პარკს ეძახიან, საუკუნოვანი ცაცხვის ხეივნებით... შატო საკმაოდ ძველი და დიდი შენობაა (ორი სართული მანსარდით), ლუი მეცამეტის დროინდელი სტილისა. სწორედ ეს გალავნიანი პარკი და შატოა დღეს ლევილის ქართული მამული!

...ლევილის ქართული მამულის ისტორია 1922 წლიდან იწყება. როგორც ცნობილია 1921 წლის მარტში საფრანგეთს გაიხიზნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. ქართული მამულის ასოციაციის თავმჯდომარის მამია ბერიშვილის თქმით, „დაბინავდა რა საფრანგეთში, პარიზში, საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ნოე ჟორდანიას მეთაურობით გადაწყვიტა ეყიდა პატარა მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრებად დარჩებოდა... დღეს ეს ოცნება ახდა და ლევილი საქართველოს გადმოეცა, სადაც დიდი კუთურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაა დაგეგმილი!...

...ლევილის მამულის გასაცნობად დიდ მეგზურობას გვიწევს მამა ანტონ კანდელაკი. სწორედ მისი წყალობით შევხვდით ბატონ ნოე ჟორდანიას უმცროს ქალიშვილს ქალბატონ ნათელა ჟორდანიას, რომელმაც ძალზე თბილად მიგვიღო. (ქალბატონი ნათელა ამჟამად გარდაცვლილია)

...ლევილის შატოში პირველი სართულის დიდი დარ-

ბაზი უჭირავს სალონს, რომლის კედლებს ამშვენებს ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების - ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის, კონსტანტინე კანდელაკის, კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის, აკაკი ჩხენკელის, იოსებ ელიგულაშვილის, სიმონ მდივნის, ვასილ მგელაძისა და სხვათა პორტრეტები... აქვეა წარმოდგენილი 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის დედანი... ამ სალონში ეწყობა ქართველთა სადღესასწაულო შეკრებები, საქმიანი შეხვედრები, სხდომები...

მრავალი სახელოვანი ქართველი ცხოვრობდა ლევილის მამულში, რომელთა ცხოვრების გრძელი და საინტერესო გზა მხოლოდ სამშობლოს სამსახურში გაილია. მათი ნაშრომები, სტატიები, პუბლიკატები, მხატვრული და სამეცნიერო სტატიები, ხელოვნების შედეგები, ქართველ საზოგადოებას ბატონ გურამ შარაძემ გააცნო. მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული ემიგრაციის არქივის მოვლა-პატრონობას და შემდეგ საქართველოში ჩამოტანას, რომელმაც აგრეთვე „ფრანგულ დღიურებში“ ლევილში დაკრძალულ ქართველთა საფლავების ქვების ყველა წარწერა გამოაქვეყნა... (ვაგლახ, ქართველებმა ვერც ბატონ გურამს მოუუარეთ და ჩვენივე ხელით მოვკალით!)

...1921 წლის თებერვალი-მარტის სამხედრო ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც იძულებით გაიხიზნა საზ-



ღვარგარეთ იმ იმედით, რომ იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად, ფუჭი აღმოჩნდა... 1924 წლის აგვისტოს ამბოხების შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა ახალმა სისხლიანმა ამბებმა კვლავ აიძულა დასალუპავად განწირულ ქართველთა ახალი ტალღა სამშობლოდან ცოტა ხნის წინ წასულ პოლიტიკურ ემიგრაციას შეერთებოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომში ტყვედ მოხვედრილმა არაერთმა ქართველმა შიშით უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე, რადგან მათ, ვინც ვერ გაუძღეს უცხოეთში დარჩენას და ნოს-

ტალგით შეპყრობილნი სამშობლოში ჩამოვიდნენ, უმრავლესობას საბჭოურ ციხეებში ტანჯვა-წამება და დახვრეტა ერგო წილად, ხოლო ბევრმა გადასახლებულმა ციმბირსა და შუა აზიის ტრამალებში დალია ტანჯული სული.

ჩამოთვლილ და სხვა მიზეზთა გამო სამშობლოდან იძულებით ლტოლვილმა ქართველებმა უცხოეთის ცისქვეშ ჰპოვეს სამუდამო თავშესაფარი და ბევრმა მათგანმა უკვე სამუდამო განსასვენებელი ადგილიც!

**ნინო გაგოშიძე,**  
**ზესტაფონის მეექვსე საჯარო**  
**სკოლის პედაგოგი**

იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას!

დარჩება სამარადისოდ იაკობ გოგებაშვილის გატკეპნილი გზა და ვინც ამ გზას არ გაივლის, ის არც ქართველად არ იხსენიება

**აკაკი წერეთელი**

## საქართველო და ევროპა ჩვეს გაკეთილგაზ

საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მისი არჩევანი ისტორიულად ყოველთვის დასავლური სამყაროსკენ სწრაფვით იყო განპირობებული.

თანასწორობა და კანონის უზენაესობა, ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა და რაც ყველაზე მთავარია-თავისუფლება - ეს არის ის ძირითადი ფასეულობები, რომელთაც დეკლარირებულად ევროკავშირი ეყრდნობა.

საქართველოს ქრისტიანულმა ღირებულებებმა, კერძოდ, საზოგადოების ყველა წევრის თავისუფლებამ, სამართლიანობისა და ოჯახისადმი პატივისცემამ, ამასთანავე, შემწყნარებლობამა და ტოლერანტობამ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დასავლურ მისწრაფებებს საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი მოუმზადა.

1992 წლიდან დღემდე ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც მიმართულია საქართველოში განათლების გაძლიერებისაკენ. საქართველო-ევროკავშირის მრავალმხრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება განათლებაა.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროგრამა თავისი მასშტაბურობითა და წარმატებით განათლების სფეროში არის რასმუს + (ერასმუს პლუსი).

ევროკავშირის საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა ყოველთვის იყო და არის გამჭვირვალე პროცესი და მასში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ სტუდენტს.

იმისათვის, რომ გამერკვია რამდენად კარგად იცნობენ ევროპის ისტორიას და რამდენად გააზრებული აქვთ ჩვენს ახალგაზრდებს თუ რატომ უნდა წავიდნენ ევროპაში სასწავლებლად, ჩავატარე გამოკითხვა ანკეტების საშუალებით. გამოკითხე ჩემი სკოლის 98 მოსწავლე. აღმოჩნდა, რომ 98 მოსწავლიდან 48 მოსწავლემ იცის რა არის ევროპა, 39-მა არ იცის, ხოლო 11-ს არ აინტერესებს. ასევე ამ 98 მოსწავლიდან ევროპაში სასწავლებლად წასვლა უნდა 14-ს, წასვლა არ უნდა 57-ს და წასვლა გადაწყვეტილი არა აქვს 17 მოსწავლეს.

ამიტომ გადავწყვიტე მონოლოგზე აგებული გაკვეთილები კი არ ჩამეტარებინა, არამედ მოსწავლეებისთვის მიმეცა თავისუფლება და თავისუფლება კიდევ ხომ თავისუფალი აზროვნებაა?! შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა იმ ადამიანებზე, რომლებმაც შეგნებულად, ასე ვთქვათ, პროგრამულად გადმოიტანეს ევროპული სული და ტრადიცია საქართველოში: დოდაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ბარათაშვილი, ილია და სხვა თერგდალეულები, ვაჟა, ცისფერყანწელები, კონსტანტინე გამსახურდია და...

ქართველ მოღვაწეთა ყველაზე პროგრესულმა ნაწილმა ქვეყნის ხსნის იმედად პროფესიონალი მასწავლებელი და კარგად მოწყობილი სკოლა დაინახა. ამის მაგალითად მათ მოწინავე ევროპა მოჰყავდათ.

რას ნიშნავს სიტყვა „ევროპა“ და როდის ჩნდება ის საქართველოში? ამისათვის მოსწავლეებს ვთხოვე მოეძიებინათ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, აგრეთვე გამოეყენებინათ ინტერნეტი. მოსწავლეების მიერ მოძიებული ინფორმაციით: სულხან-საბასთან გვხვდება „ევროპი, ევროპოს. ევროპი“, ხოლო „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ კი წერია: „ევროპელები-ევროპის მკვიდრნი“. „ევროპული-ევროპელების დამახასიათებელი, ევროპიდან მომდინარე. ევროპული ცეკვები-ევროპული ტანსაცმელი||ევროპაში შემავალი. სსრ კავშირის ევროპული ნაწილი“. ვიკიპედია: „ევროპა“ ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარეობს. ასე ერქვა ფინიკიის მეფის ასულს, რომელიც ზღვაში ბანაობისას დაინახა ზევსმა, მოეწონა და კუნძულ კრეტაზე წაიყვანა. სწორედ ამ ასულის სახელი უწოდეს ბერძნებმა კონტინენტს.

თბილისში ჩემმა მოსწავლეებმა ეროვნული ხუთჯვრიანი დროშის გვერდით ევროკავშირის დროშები დაინახეს და მკითხეს: თუ ამ კონკრეტულ სტრუქტურაში არ ვართ, მაშინ მისი დროშა რატომ გვაქვს გამოფენილი?

იმ წუთას ვუთხარი, რომ ეს დროშები გამოხატავს რაღაც ფუნდამენტურს, მსოფლმხედველობრივს...თითქოს ძველ იმედს, რათა „დავდგეთ ერთად სხვა ერთა შორის“(გრიგოლ ორბელიანი), ანუ დავემსგავსოთ იმ ერებს, რომლებიც ილია ჭავჭავაძის თქმით, „ჩვენზე უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილან და ჩვენზე ბედნიერად კი ცხოვრობენ“(„მგზავრის წერილები“). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ორივე შემთხვევაში ევროპული ერები იგულისხმება. ანუ სწორება ევროპაზე არის ძირძველი და შესაძლებელია ვთქვათ- მნიშვნელოვანი საქართველოსთვის, ხანდახან კი საბედისწეროც, მაგრამ არანეგატიური გზით, არანეგატიური გაგებით. ეს კი მრავალი მიზეზით არის განპირობებული და ამიტომაც ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა არ „ავითქვიფოთ“ და ჩვენი იდენტობა არ დავკარგოთ. საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანების მე-20 წლისთავთან დაკავშირებით, გადავწყვიტე მთელი ორი კვირა ამ საკითხისადმი მიძღვნილი გაკვეთილები ჩამეტარებინა. მით უმეტეს, რომ საქართველო ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე მასპინძელი ქვეყანა უნდა იყოს.

გადავწყვიტე მოსწავლეებთან მესაუბრა საქართველოს როლზე ევროპულ ოჯახში და ევროპაში საქართველოს როლზე, ხოლო შემდეგ კი გადავწყვიტე ტესტირება ჩამეტარებინა და გამომეკვლია რამდენად კარგად იცოდნენ საქართველოსა და ევროპის ისტორია. ამასთან-

ნავე, გადავწყვიტე სკოლაში ჩაგვეტარებინა კონფერენცია სათაურით: „ევროპის დღეები-2020“. მოსწავლეები თემატიკაში შეზღუდულები არ იყვნენ. 20 თებერვალს ჩავატარეთ სასკოლო კონფერენცია და ძალიან საინტერესო დისკუსიაც გაიმართა. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული მოსწავლეები დავაჯილდოვეთ წიგნებით, ხოლო დანარჩენი მონაწილეების იგელებით.

ბევრი ვიფიქრე როგორ მიმეწოდებინა ევროპული ფასეულობები ბავშვებისთვის ისე, რომ ეს საკითხები მათთვის მიმზიდველი და საინტერესო ყოფილიყო, რათა ამას მოჰყოლოდა დისკუსია, თავისუფალი გარჩევა... მიწოდდა მოსწავლეებს გაკვეთილებზე ეგრძნოთ, რომ ეს საკითხები მე კი არ მოვახვიე მათ თავს, არამედ ილიას დავესესხე: „არაფერს ევროპულს არ აქვს ღირებულება, თუ იგი ამავე დროს ზოგადკაცობრიული ღირებულებაც არ არის“.

აღბათ საქართველოს ურთიერთობის აღორძინება დასავლეთ ევროპასთან ჯვაროსნულ ომებს უკავშირდება, თუმცა რელიგიურთან ერთად ამ ურთიერთობას პრაქტიკული ინტერესებიც განაპირობებდა. საქართველოზე გადიოდა უმოკლესი სავაჭრო გზა აზიისაკენ. შუა საუკუნეებში ჩვენს ქვეყანაში ხშირად ჩამოდიოდნენ ევროპიდან ვაჭრები, ოსტატები, ხოლო მისიონერების ჩამოსვლა, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თავის მხრივ, საქართველოდანაც იგზავნებოდა დელეგაციები რომში, საფრანგეთში, გერმანი-

ასა თუ ევროპის სხვა ქვეყნებში. გიორგი ლეონიძე წერდა: დასავლური „კულტურულ-პოლიტიკური აზრები თანდათან იჭრებოდა ჩვენში“.

მაჰმადიანური ქვეყნებით გარემოცული და თურქეთ-ირანის მიერ იზოლაციაში მოქცეული საქართველო ცდილობდა დიპლომატიური ფანჯრის გაჭრას დასავლეთ ევროპაში და რა თქმა უნდა, ამ იზოლაციისაგან თავის დაღწევას. სწორედ ამ მცდელობის გამოხატულებაა სულხან-საბა ორბელიანის მოგზაურობა ევროპაში. ეს საკითხი ისტორიის მასწავლებელთან ერთად მიმოვიხილეთ. მოსწავლეებმა დამოუკიდებლად მოიძიეს ინფორმაცია და ინტეგრირებული გაკვეთილი ჩავატარეთ. პერიოდი, როცა სულხან-საბა ევროპაში მიემგზავრება დიპლომატიური მისიით, უმძიმესია საქართველოსთვის. სწორედ ვახტანგ მეექვსე მოელაპარაკა სპარსეთში მყოფ ფრანგ მისიონერ რიშარს ევროპისაგან დახმარების მიღების შესაძლო გზებზე. მოსწავლეები საბოლოოდ შეთანხმდნენ ერთ საკითხზე: სულხან-საბას უპირველესი მიზანი ვახტანგ მეექვსის ფაქტობრივი ტყვეობიდან გამოსხნა და ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება იყო, მაგრამ შემდეგ მოსწავლეებმა უფრო შორი მიზნებიც გამოკვეთეს: აღმოსავლური პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იზოლაციისაგან თავის დაღწევა ევროპასთან ურთიერთობის გზით.

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ მრავალმხრივ საინტერესო მოვ-

ლენაა ქართულ ლიტერატურაში. სულხან-საბამ მთავარი სათქმელი-საქართველოს ხსნა და განვითარება ევროპასთან ურთიერთობით-უაღრესად ორიგინალური მანერით, საგნებისა და მოვლენების დეტალური აღწერითა და ამავდროულად, მოგზაურობა გულწრფელი შთაბეჭდილებებით გადმოგვცა და აქ ცხადად გამოჩნდა ავტორისეული პოზიცია.

მოსწავლეებმა საბოლოოდ დაასკვნეს: სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ გვაფიქრებინებს, რომ მას ევროპული ცხოვრების წესის, კულტურის, ღირებულებების პროპაგანდის დანიშნულება უფრო აქვს.

ყოველთვის ვცდილობ ვესაუბრო მოზარდებს გლობალიზაციის პირობებში როგორ შეინარჩუნონ ეროვნული თვითმყოფადობა და, ამასთან, როგორ შეძლონ თანაარსებობა განსხვავებული რელიგიის, კულტურის ადამიანებთან. როგორ შეძლონ თანაგანცდა, გააცნობიერონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურა როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, დაინახონ ქართული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისა და უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირში.

გაკვეთილის თემად ავირჩიე „პარალელების გავლება ქართულსა და ევროპულ ლიტერატურას, კულტურას ან პუბლიცისტიკას შორის“. კონკრეტულად, ინგლისელისა და ქართველი მწერლის ორი წერილი შევარჩიე და მათ შორის

მსგავსება -განსხვავებასა და სხვადასხვა საკითხზე ვისაუბრეთ. ასე შემოვიდა ევროპა ჩემს ერთ-ერთ გაკვეთილზე...და ამ გაკვეთილს წარმოგიდგინებ დანართის სახით: დანართი №1.

მოსწავლეებმა იმუშავეს შემდეგ თემებზე: „რა არის ჩემთვის ევროპა“... მომდევნო გაკვეთილზე კი კლასში შევიტანე ადაპტირებული ტექსტი: ბოლონიის პროცესი და ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობები. კლასი დავყავი ჯგუფებად და დავურიგე კითხვები: რა იცით ევროპული განათლების შესახებ? შეგიძლიათ თუ არა თქვენ, სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელება ევროპაში? ამასთანავე, ვთხოვე მოეყვანათ 2-3 არგუმენტი საქართველოს ევროპაში ინტეგრაციისგან განათლების კუთხით მიღებული სარგებლის დამადასტურებელი და ემსჯელათ.

მომდევნო გაკვეთილზე კი მოსწავლეებს ვკითხე თუ რა სმენოდათ ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე და ვთხოვე ჩამოეთვალათ ყველა ის კომპონენტი, რომლისგანაც შედგებოდა მათი აზრით, მათი მომავალი. განმარტება მივეცი შემდეგნაირად: ეს არის ხელშეკრულება ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობაზე თანასწორობის საფუძველზე. შემდეგ დავურიგე კითხვები და დაფაზე ჩამოვწერეთ პასუხები. ასევე ვთხოვე მოსწავლეებს ჩამოეთვალათ ყველა ის კომპონენტი, რომლისგანაც, მათი აზრით, შედგებოდა მათი მომავალი: ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მათი კონკრეტული სამომავლო გეგმა, პროფესიის

არჩევა, ან ზოგადად, როგორ ესახებოდათ ცხოვრება მომავალში, როგორი იქნებოდა გარემო ან სად იცხოვრებდნენ...

შემდეგ გაკვეთილზე კი განვიხილეთ „ადამიანის უფლებები და უზენაესობა“. მოსწავლეები დავყავი ჯგუფებად და დავურიგე კითხვები: ადამიანის რომელი უფლებები გახსენდებათ? რა გარანტიებს გაძლევთ კანონის უზენაესობა? გაიხსენეთ „შუშანიკის წამებიდან“ ის ეპიზოდი, როდესაც ვარსკენი შუშანიკს უმონყალოდ სცემს. დღეს რომ ეს მომხდარიყო, რომელი კანონითა და მუხლით გასამართლდებოდა ვარსკენ პიტიასში?

მეორე დღეს მოსწავლეებს გაკვეთილზე მოვასმენინე ევროპის ჰიმნი და ვთხოვე დაესახელებინათ სიმღერის სათაური. ამასთანავე, ვთხოვე დაესახელებინათ ევროპის ქვეყნები და მოესმინათ სიმღერა, რომლის თემა სწორედ ევროპის ქვეყნები და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია იყო. შემდეგ დავუსვი ასეთი კითხვა: ევროპის რომელი ქვეყნის შესახებ არ ყოფილა სიმღერაში ინფორმაცია? გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს ვთხოვე საშინაო დავალები-სთვის დაფაზე ჩამოწერილ ქალაქთაგან ერთ-ერთი აერჩიათ და მოეპოვებინათ ამ ქალაქთან დაკავშირებით რაიმე სახის ინფორმაცია და წარმოედგინათ მომდევნო გაკვეთილზე.

ერთ-ერთ გაკვეთილზე მოსწავლეებს ვაჩვენე ევროპის დროშა და ვთხოვე გამოეცნოთ თუ რომელი ქვეყნის დროშა იყო. შემდეგ დავურიგე ბარათები, რომლებზედაც სხვადასხვა

ქვეყანა ეწერა და ვთხოვე ევროპის ქვეყნები ამოერჩიათ და საშინაო დავალებად ეძლეოდათ ამ ქვეყანასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება.

მსოფლიო ლიტერატურაში უამრავი ზოგადკაცობრიული თემაა მოცემული და რატომღაც ჩავთვალე პარალელები გაგვევლო ჩვენს ეროვნულ ლიტერატურასთან. ამიტომ მოსწავლეებს დავალებად მივეცი წაეკითხათ რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათან ლივინგსტონი“ და შეედარებინათ „ალუდა ქეთელაურისთვის“, ასევე წაეკითხათ „მატეო ფალკონე“, „ტარას ბულბა“ და შეედარებინათ „ხევისბერი გოჩასთვის“. ძალიან სახალისო პროცესი აღმოჩნდა მათი მსგავსებები და განსხვავებები.

მომდევნო გაკვეთილზე კი პარალელი გავავლეთ ილიას „მგზავრის წერილების“ ფრანსიელსა და ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“ პერსონაჟებს შორის.

ევროპაზე საუბრისას არც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გამოგვრჩა: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. მოსწავლეებს მივეცი მხოლოდ მინიშნება ვიკიპედიიდან: პლატონი-ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი იყო და მე-10 კლასელებმა მშვენივრად გაართვეს თავი დავალებას.

საშინაო დავალებად მე-12 კლასელებს „ჯაყოს ხიზნებიდან“ მივეცი ციტატა: „-იქით გაიხედე, ივანე-ხმის კანკალით სთქვა თეიმურაზმა ...და თითი

დასავლეთისკენ გაიშვირა,-  
გაიხედე, რა მ...მშვენივრით არის  
შემოსილი დასავლეთი. - მერმე  
ღრმად ამოიოხრა და თითქოს  
თავისთვის წაიბუტბუტა: - ყ...  
ყოველივე დასავლეთიდან მო-  
დის: სიმდიდრე, გ...განათლება,  
ზნეობა, თ...თავისუფლება და  
მშვიდ...ღობა“.

ვთხოვე ემსჯელათ რამდენად  
მართალი იყო თეიმურაზი ამას  
რომ ამბობდა, რამდენად გულ-  
წრფელი იყო, ეთანხმებოდნენ  
თუ არა მის შეხედულებას და  
როგორ შეაფასებდნენ თეიმურა-  
ზის სიტყვებს: დადებითად  
თუ უარყოფითად და რატომ.

ერთი გაკვეთილი მთლიანად  
სოლომონ დოდაშვილს მივუძ-  
ღვენიტ. „ეროვნული მოძრა-  
ობის პირველი მედროშე და  
ევროპეიზმის ფუძემდებელი  
საქართველოში“-ასე განსაზ-  
ღვრა ილიამ დოდაშვილის ად-  
გილი და როლი. მართლაც, მისი  
„ლოგიკა,“ შეიძლება ითქვას,  
რომ ევროპული დონის თხზულებ-  
ა და ამასთან, „საერთო ნიადა-  
გის“ თეორიის ფილოსოფიური  
დასაბუთებაა.

მთელი ორი კვირა ვიმუშავე  
სხვადასხვა კლასთან ამ საკითხ-  
ებზე და ვთვლი, რომ მოსწავ-  
ლეებისთვის თავისუფლების  
მიცემამ საკმაოდ მრავალფერო-  
ვანი შეხედულებები გააჟღერა,  
რაც აისახა კიდევ სასკოლო  
კონფერენციაში, ხოლო ევრო-  
პის დღეების ორკვირეული ქარ-  
თულის გაკვეთილებზე დავას-  
რულეთ შვედურ-ქართული  
ფილმის- „და ჩვენ ვიცეკვეთ“-  
განხილვითა და მსჯელობით.  
ფილმი მოგვითხრობს ახალგაზ-  
რდა ქართველი მოცეკვავის მერ-  
აბის შესახებ, რომლის ცხოვრე-

ბა მას შემდეგ იცვლება, რაც  
თავისივე მეტოქე შეუყვარდება.

„ფილმის სიუჟეტი ინსპირი-  
რებულია რეალური ადამიანებ-  
ის ცხოვრებითა და საქართველო-  
ში მიმდინარე მოვლენებით. იგი  
გვიჩვენებს საქართველოს რე-  
ალობას და ისტორიას ფართო  
კონტექსტში. ეს არის გულწრ-  
ფელი ფილმი თავისუფლების  
მნიშვნელობაზე“-აცხადებს ამ  
ფილმის რეჟისორი-ლევან აკინი.

რაც შეეხება კონკრეტუ-  
ლად იმას, თუ როგორ ვხედავ  
საქართველოს ყოფნას ევრო-  
პულ ოჯახში და რა პერსპექტი-  
ვა აქვს საქართველოს მომავალ-  
ში, ამისთვის ინტერვიუ ვთხოვე  
ტექნიკური უნივერსიტეტის  
საინჟინრო ეკონომიკის, მედი-  
ატექნოლოგიებისა და სოციალ-  
ურ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
დეკანს, პროფესორს, ბატონ თე-  
იმურ ჯაგოდნიშვილს.

1) კითხვა: ბატონო თე-  
იმურ, საიდან, როდიდან იწყება  
საქართველოს ევროპული ის-  
ტორია?

პასუხი: „ევროპეიზმის ცნება  
საქართველოში მე-19 საუკუნე-  
ნის მეორე ნახევარში გაჩნდა.  
ცნობილია, რომ ეს ტერმინი  
ქართულ მწერლობაში ახალი  
ტენდენციების აღსანიშნად  
პირველად პუბლიცისტმა და  
ლიტერატურის კრიტიკოსმა  
ნიკოლოზ ბერძნიშვილმა გამოი-  
ყენა 1857 წელს წერილში: „ქარ-  
თული ლიტერატურა-ჟურნალ  
„ცისკრის რვა ნიგნაკი“.

2) კითხვა: ბატონო თე-  
იმურ, თქვენი აზრით, რა არის  
მაინც ევროპა? ხსნის გზა თუ  
დაღუპვის?

პასუხი: XIX საუკუნეში ევ-  
როპეიზმის ცნებით გამოიხატა

კავშირი ევროპის ლიტერატურულ ტრადიციებთან, ტენდენციებთან; ფართო გაგებით კი „ევროპეიზმის“ ცნებაში ქართულ სინამდვილეში ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის შემოჭრას გულისხმობდნენ. ამ ეტაპზე საქართველოსთვის ხსნის გზაა.

3) კითხვა: რა როლი აქვს საქართველოს ევროპულ ოჯახში?

პასუხი: ქართული ცივილიზაცია, კულტურა, მისი მეცნიერება, უპირატესად კი ფილოსოფია, ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა დამწერლობამცოდნეობა, მწერლობა ისტორიამდელსა და ისტორიულ ეპოქებში იმდაგვარი ღირებულებების შემცველი იყო, რამაც უკვე ახალ ევროპის ჰეგემონობით აღბეჭდილ ეპოქებში „ევროპეიზმის“ ცნებითი შინაარსი შეადგინა. ქართული ევროპეიზმი ისტორიულ კატაკლიზმათა გამოისობით ხან უმძლავრესად პულსირებდა, ხანაც ისე მიინავლებოდა, შემჩნევაც კი ჭირდა, მაგრამ მენტალურად მაინც ინარჩუნებდა ევროპაცენტრულობას და „ევროპეიზმის“ მკვებავ საინტერესო წყაროდ ჩნდებოდა.

4) კითხვა: რატომ მივისწრაფვით ევროპისკენ?

რა არის ის მთავარი, რაც ღირებულება ევროპისთვის?

პასუხი: ფილოსოფიის სფეროში ქართული მეცნიერული აზრის სიდიადის მაუწყებელი ფაქტია არეოპაგტიკი მოძღვრება, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე. ამ მოძღვრებამ გასდო სწორედ ხიდი ანტიკურ ფილოსოფიასა

და ქრისტიანობას შორის. რაც მთავარია, არეოპაგტიკა-გახდა ისეთი გრანდიოზული მოვლენის საფუძველი, როგორცაა რენესანსი.

ქართველმა მეცნიერმა შალვა ნუცუბიძემ დაადგინა, რომ არეოპაგტიკა ქართული ფილოსოფიური მოვლენაა და მისი ავტორია V საუკუნის დიდი სწავლული პეტრე იბერი(411-491 წ.), რომელიც ფსევდო არეოპაგელის სახელით იყო ცნობილი. შალვა ნუცუბიძის მოსაზრების უტყუარობა ბელგიელმა მეცნიერმა ჰონიგმანმა დაადასტურა საკუთარი კვლევებით. გასათვალისწინებელია, რომ ევროპული რენესანსის მსგავსი მოვლენა საქართველოში უფრო ადრე -XI-XII სს. დაფიქსირდა. შალვა ნუცუბიძემ ცხადყო, რომ ევროპული რენესანსის წანამძღვრები „ვეფხისტყაოსანშია“ აღბეჭდილი.

5) კითხვა: რა წვლილი აქვს საქართველოს შეტანილი ევროპის დიდ ოჯახში? კონკრეტულად, რა მიიღო ევროპამ ჩვენგან და რითი გაგვიცნო ევროპამ?

პასუხი: ამის ერთი ადრეული გამოვლენაა ამირანის თქმულება, რომელმაც მითოპოეტური ენით მოიტანა ჩვენამდე ქართული ცივილიზაციის ორი ათასი წლის წინანდელი ამბავი რკინის ცივი ჭედვიდან ცეცხლში დნობა-წრთობაზე გადასვლის შესახებ. ამასთან ერთად, ახალი ეპოქებისათვის უმნიშვნელოვანესი ღირებულებითი ელემენტის-კაცობრიობის მოამაგეობისათვის დასჯილი გმირის-მეტაფორაც მისცა მსოფლიო კულტურას, რომელსაც ამირანის ბერძნული



მემკვიდრის პრომეთეს „თავგადასავლით“ იცნობს ამჟამინდელი ევროპა. არავინ უკვირდება იმ რეალებს, რომლებიც პრომეთეს მითის ერთი მოტივის-გმირის კლდეზე მიჯაჭვის -კავკასიურ წარმომავლობაზე მეტყველებენ და რაც გაბერძნულების დიდი მონდომების მიუხედავად ვერ დაფარეს. ამას ანტიკური ეპოქის ბერძენი ავტორები არც მალავენ და ბერძნული კულტურის ქართულ წყაროებზე პატიოსნად მიუთითებენ. მეორე, რაც ყურადღებას იქცევს არის ის, რომ ბერძნები თავად აღიარებენ ქართული სახელმწიფოდან ოქროცურვილობის ტექნოლოგიისა და სამედიცინო ცოდნის გატანას. ამ ისტორიული ფაქტების გადმოცემის დამარწმუნებელი და უტყუარი ფაქტები შემოგვინახა ფილოსოფიისა და ფილოლოგიის მეცნიერებებმა, დამწერლობამცოდნეობამ.

ქართული ცივილიზაციის უპირველესი გამოხატულებაა ქართული ანბანი, დამწერლობა, ორიგინალური და თავისთავადი მსოფლიოში არსებულ 14 დამწერლობას შორის. ქართულმა დამწერლობამ ცოდნეობამ მსოფლიო წერა-კითხვის სამყაროს სამი ქართული ეროვნული ანბანი შესძინა: მრგვლოვანი, ნუსხახუცური და მხედრული, თანაც იმდაგვარი, ისტორიულ ქარტეხილებს რომ გამოსტაცა ქართული სიტყვა და XXI საუკუნის მკითხველსაც კი რომ წააკითხვს, მაგალითად, V-VI და შემდგომ საუკუნეთა ხელნაწერებს.

6) კითხვა: ბატონო თემურ, რა მივიღეთ ჩვენ, ქართველებმა“

ევროპისაგან?

პასუხი: რაც შეეხება კითხვას, რა მივიღეთ ევროპისგან, მინდა გავიხსენო და ვთქვა, რომ XIX-XX საუკუნის თბილისის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით ევროპელ არქიტექტორებს: თბილისში მოღვაწე გერმანელებს შორის გამორჩეული ადგილი ზალცმანებს ეკუთვნით. თეოდორ ზალცმანმა თბილისში პირველმა დაიწყო ლუდის წარმოება და რიყეზე თავისივე აშენებულ სახლში სასტუმრო გახსნა. საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებს შორის ალბათ ყველაზე ცნობილი და გამორჩეული დღევანდელი ეროვნული გალერეის შენობაა. ალბერტ ზალცმანის აგებულია აგრეთვე პეტრე პავლეს სახელობის კათოლიკური ეკლესია ჯავახიშვილის ქუჩაზე. რაც შეეხება სახლებს, მისი აგებულია უიშვიათესი უაივნო ტიპის ნიმუში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩის №22 სახლი. ამ პერიოდში ერთმანეთს ერწყმის კლასიციზტური რენესანსული, ისლამური, გუთური ნიშნები. აქვე იყო ცნობილი არქიტექტორების საცხოვრებელი სახლებიც. მათ შორის ბილფელდის, ზალცმანისა და შტერნის. აუცილებლად უნდა გავიხსენოთ შვეიცარიელი ჯუზეპე ბერნარდაჩის მიერ აგებული იაკობ ზუბალაშვილის სახლი, სადაც დღეს ხელოვნების მუზეუმი გათავსებული, ხოლო ჯოვანი სკუნდიერმა პირველი სათეატრო შენობა ააშენა თბილისში. შენობა 1874 წელს ხანძარმა გაანადგურა. სკუნდიერის აგებულია მიხეი-

ლის დიდი და მცირე ხიდები-ახლანდელი მშრალი ხიდი. ლეოპოლდ ბილფელდის მიერ არის აგებული ქაშვეთის ტაძარი, ხოლო არქიტექტორ ალექსანდრე შიმკვევიჩის მიერაა აგებული საქალაქო სასამართლოსა და კონსერვატორიის შენობა. შიმკვევიჩმა არქიტექტორ ტატიშევთან თანამშრომლობით ააგო რუსთაველის თეატრის ბაროკულ-როკოკოული შენობა. ბერლინელი არქიტექტორის კარლ ცაარის აშენებულია დღევანდელი ლიტერატურის მუზეუმის შენობა. არქიტექტორ იოჰან დიცმანის მიერაა აგებული ნმ. მიხეილ ტვერელის ეკლესია. პოლონელი წარმოშობის არქიტექტორმა ნიკოლოც ობოლონსკიმ ააგო მელიქ კაზარიანცის სახლი(რუსთაველის №37)...

7) კითხვა: ბატონო თემურ, როგორ შეაფასებდით საქართველოს ყოფნას ევროპულ ოჯახში?

პასუხი: გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: XII-XIII სს. საქართველომ მცირე ხნით, მაგრამ მაინც შეძლო ევროპის მეწინავე ბიზანტიისათვის ჩამოერთმია კულტურული მისიის მედროშეობა. როგორც ცნობილია, ქართველები ბერძნებთან ერთად ჩაებნენ ბიზანტიური რენესანსის კულტურტრეგერობაში, იმ რენესანსისა, რომელიც აღმოსავლეთის კულტურის დასავლურთან თანამშრომლობით იშვა. ევროპა კი სწორედ აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა მემკვიდრეა. ქართული ცივილიზაციის ევროპასთან სიახლოვის მხრივ, მკვლევრები სრულიად საფუძვლიანად მიუთითებენ ორ

ისტორიულ დროზე: 1) I-II სს. ევროპასთან სიახლოვის მაუწყებელ გრანდიოზულ მოვლენას წარმოადგენს ქართველი მეფის ფარსმან მეორის ქანდაკების რომში აღმართვის ფაქტი 134 წელს რომის იმპერატორ ანტონიუს პიუსის მმართველობის დროს, რაც ბუნებრივია, ქართველთა სახელმწიფოს განსაკუთრებული როლის აღიარება იყო. 2) XII-XIII საუკუნის საქართველო თავისი საერთაშორისო ავტორიტეტით გაუტოლდა ფარსმან მეფის ეპოქას. მწერლობაში ამისი გამოვლენა იყო სარაინდო რომანები „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირანდარეჯანიანი“. ამიტომაც აუცილებელია, საქართველომ აღმოაჩინოს განსხვავებული ქვეყნების ღირებულებები, წესები, ტრადიციები და პარალელები გავავლოთ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა და გარემოსთან. დღევანდელ დღეს, როდესაც დაიდო ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროპა და ევროპის შესახებ საუბარი ნებისმიერი გაკვეთილის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

8) კითხვა: როგორ ხედავთ საქართველოს მომავლის პერსპექტივას ევროპასთან მიმართებით?

პასუხი: ქართული კულტურა ამჟამადაც ევროპეიზმის კულტურული არეალის დიდი შინაარსის გამოვლენას წარმოადგენს. ამჟამად, ევროპასთან დაახლოებისა და ევროპულ კულტურაში ინტეგრირების თვალსაზრისით უპრეცედენტო შესაძლებლობების ეპოქაში ქართულ კულტურულ ცნობიერებას, მისი ღირებულებითი სის-

ტემის ელემენტებს-ფილოლოგიას, ხელოვნებას, მწერლობას, ჰუმანიტარულ აზროვნებას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ევროპული კულტურის ამჟამინდელი კრიზისის დაძლევაში. ზემოთ აღნიშნული, ვფიქრობ, ცხადყოფს, რომ ქართული კულტურა, მწერლობა, ფილოსოფიური და ფილოლოგიური აზროვნება იმდაგვარია, რასაც მოგვიანებით ევროპულის სახელი დაერქვა; იგი ევროპული კულტურის სადავეებთან დგას, მარად ეხმიანება იმით, რომ ევროპეიზმის დიდი შინაარსის განსაზღვრაში მონაწილეობს.

ბატონო თემურ, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის!

საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ ევროპა ერთი დიდი სახლის სრულიად განსხვავებული სახელმწიფოების ერთობლიობაა და ამ განსხვავებულმა სახელმწიფოებმა რომ კარგად იგრძნონ ერთად თავი და ერთმანეთს განვითარებაში დაეხმარონ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ ისინი უნდა ჩამოყალიბდნენ და გაერთიანდნენ საერთო მიზნების გარშემო და ამ გაერთიანებაში საქართველოს თავისი როლი უნდა ჰქონდეს, თავისი ადგილი უნდა მოიპოვოს და დაიკავოს.

ამიტომაც არის ევროპის კავშირის დევიზი „ერთობა განსხვავებულობაშია.“

## დანართი №2

ჩარლი ჩაპლინის წერილი ქალიშვილისადმი:

“ჩემო გოგონა!

ახლა ლამეა. შობა ლამე. ჩემს პატარა ციხესიმაგრეში ყველა უაბჯრო მეცი-ხოვნიმ ძილს მის-

ცა თავი. სძინავს შენს და-ძმას. დედაშენსაც კი ჩაეძინა. შენ ისე შორს ხარ ჩემგან, მაგრამ დაე, თვალისჩინი წამერთვას, თუ ახ-ლაც, ამ წუთს, შენს სურათს არ ვუმზერდე. ის აქ არის, მაგიდაზე, ჩემს გულთან ახლოს. შენ კი სადა ხარ? შორს, ზღაპრულ პარიზში. ელისეს მინდვრების თეატრში. დიდებულ სცენაზე ცეკვავე. ხომ კარგად ვიცი ეს, მაგრამ მაინც, წყნარი ლამის მდუმარებაში თითქოს ცხადად ჩამესმის შენი ნაბიჯების ხმა. ვხედავ შენს თვალებს, ზამთრის ცაზე გაბნეული ვარსკვლავებივით რომ კიაფობენ. ვიცი, ამ ლამაზ სპექტაკლში ხანისგან დატყვევებული სპარსელი მზეთუნახავის როლს ასრულებ. იყავი მზეთუნახავი და იცეკვე. იყავი ვარსკვლავი და იკაშკაშე. მაგრამ თუკი მყურებლის მადლობამ და აღტაცებამ დაგათროს, თუ მორთმეული ყვავილების სურნელებამ თავბრუ დაგასხას, განმარტოვდი სადმე კუთხეში და ჩემი წერილი წაიკითხე, ყური მიუგდე მამაშენის ხმას. მე მამაშენი ვარ ჯერალდინა! მე ჩარლი ჩაპლინი ვარ, ჩარლი ჩაპლინი!

იცი კი, რამდენჯერ დამთენებია შენს სასთუმალთან? სულ პანია ზღაპრებს გიყვებოდი! ხან მძინარი მზეთუნახავისას, ხან ბოროტი გველეშაპი-სას. ხოლო როცა ჩემს ბებერ თვალებს ძილი წამოეპარებოდა, დავცინოდი მას და ასე ვეუბნებოდი: “გამშორდი!” მე ჩემი გოგოს ოცნებები მეზმანები-ან! მე ვხედავდი შენს ოცნებებს, ჯერალდინა. ვხედავდი შენს მომავალს, შენს დღევანდელ დღეს! ვხედავდი სცენაზე მოცეკვავე ასულს,

ცაზე მო-ფარფატიე ფერიას. მეს-  
მოდა, როგორ ლაპარაკობდნენ  
ხალხში: “ხედავთ ამ გოგონას?  
ერთი ბებერი კლოუნის ქალიშ-  
ვილია, არ გახსოვთ, ჩარლის  
რომ ეძახდნენ?”

ჰო, მე ჩარლი ვარ! ბებერი  
მასხარა. დღეს შენი ჯერია.  
იცეკვე! მე ფართხუ-ნა, დაკონკი-  
ლი შარვლით ვცეკვავდი, შენ  
პრინცესას აბრეშუმის სამოსი  
გმოსავს. ეგ ცეკვა და ტაშის  
გრიალი დროდადრო ცაში აგტყ-  
ორცნის. გაფ-რინდი, გაფრინდი  
იქით, მაგრამ ხანდახან მინაზეც  
დაეშვი! შენ უნდა ნახო ხალხის  
ცხოვრება, ცხოვრება იმ ქუჩის  
მოცეკვავეებისა, შიმშილისა-  
გან და-ოსებულნი, სიცივითა და  
სილატაკით ათრთოლებულნი  
რომ როკავენ! მათი ხვედრი მეც  
მინწნევია, ჯერალდინა. იმ ჯა-  
დოსნურ ლამეებში, შენ რომ ჩემს  
ზღაპრებთან იძინებდი, მე არ  
მეძინა. დავყურებდი შენს საყვა-  
რელ სახეს, ვუსმენდი შენი გულ-  
ისფეთქვას და ჩემს თავს ვეკითხ-  
ებოდი: “ჩარლი, ნუთუ ეს ღლაპი  
შენ ოდესმე გაგიცნობს?” შენ  
არ მიცნობ მე ჯერალდინა, იმ  
შორეულ ლამეებში უამრავ ზღა-  
პარს გიყვებოდი, მაგრამ ჩემი  
ზღაპარი არასოდეს მიაშობია.  
ისიც ძალიან საინტერესო ზღა-  
პარია, ჯერალ-დინა. ზღაპარი  
მშიერი მასხარისა, ლონდონის  
ლატაკთა კვარტლებში რომ  
მღეროდა და ცეკვავდა, მერე  
კი მოწყალებას აგროვებდა! აი,  
ჩემი ზღაპარი! მე ვიცი, რა არის  
შიმშილი, ვიცი, რას ნიშნავს  
უსახლკარობა! ეგ კიდევ რაა,  
მე გამოვცადე დამამცირებელი  
ტკივილი მოხეტიალე მასხარისა,  
რომლის მკერდში მობობოქრე  
სიამაყის ოკიანე სამონყალოდ

გადაგდებულ მონე-ტებს უნდა  
დაეშრო. მაგრამ მაინც, მიუხე-  
დავად ყველაფრისა, ცოცხალი  
ვარ, ცოცხლებზე კი მუდამ ცო-  
ტას ლაპარაკობენ.

შენ ჩემი გვარისა ხარ - ჩა-  
პლინი! ლამის ნახევარი საუკუ-  
ნე ეს გვარი მთელს დედამიწას  
აყინებდა, მაგრამ ის სიცილი  
რაა იმასთან, რაც მე მი-ტირია,  
ჯერალდინა. სამყარო სადაც  
შენ ცხოვრობ, მარტო ცეკვის და  
მუსიკის საუფლო როდია!

ჯერალდინა! შუალამისას  
იმ დიდებული დარბაზიდან  
რომ გამოხვალ, და-ივინყე  
შენი მდიდარი თაყვანისმცემ-  
ლები, მაგრამ არ დაგავინყდეს  
ტაქსის მძღოლს ცოლის ამბავი  
გამოჰკითხო. შეიძლება ცოლი  
ფეხმძიმედ ჰყავს და იმის ფუ-  
ლიც არა აქვთ, რომ თავიანთი  
პირმშოსათვის სახვევები იყი-  
დონ. თუ ასეა, ადექი და ჩაუდე  
ფული ჯიბეში. მე ბანკში ნათქ-  
ვამი მაქვს, რომ ეს ხარჯები  
გაგისტუმრონ. სხვას კი მუდამ  
ყველას ზუსტად გადაუხადე!  
დროდადრო მეტროში ჩადი.  
ქალაქი დაათვალიერე, იარე  
ფეხით ან ავტო-ბუსით. ხალხს  
დააკვირდი! ქვრივ-ობლებს  
შეხედე! და თუნდაც დღეში  
ერთხელ მაინც შენს თავს უთხ-  
არი: “მეც ერთ-ერთი ამათგანი  
ვარ!”

დიახ, შენ ერთ-ერთი იმათგანი  
ხარ, ჩემო გოგონა. ხელოვნება,  
სანამ ცაში ასაფრენად ფრთებს  
უბობდეს ადამიანს, ჯერ ფეხ-  
ებში ურტყამს. როცა დადგე-  
ბა წამი და იგრძნობ, როგორ  
მალდები მაყურებელზე, მაშ-  
ინვე გადი სცენიდან. პირველივე  
ტაქსი დაიჭირე და პარიზის  
გარეუბნებს მია-შურე. მე კარ-

გად ვიცნობ ამ უბნებს. იქ იხილავ მოცეკვავე ქალიშვილებს - შენსავე მსგავსთ, შენზე უფრო გრაციოზულებს, შენზე ამაყებს. შენი თეატრის ჩირალდნების თვალისმომჭრელ ელვარებას იქ ვერსად ნახავ! მათი სცენის პროექტორი მთვარეა. დააკვირდი, აბა, კარგად დააკვირდი: შენზე უკეთ ხომ არ ცეკვავენ? გამოტყდი, ჩემო გოგონა. ცოტას როდი შეხვდები ისეთს, ვინც შენზე უკეთ ცეკვავს, ვინც შენზე კარგად თამაშობს და ეს გახსოვდეს: ჩარლის ოჯახში არასოდეს ყოფილა ვინმე ისეთი ხეპრე, რომ მე-ეტლისათვის უკმეხი სიტყვა ეთქვას ან სენის სანაპიროზე მჯდარი მათხოვრისთვის დაეცინოს.

ჩარლი წავა, ჯერალდინა, და შენ იცოცხლებ. არ მინდა, ოდესმე სილატაკე გამოსცადო. ამ წერილთან ერთად გიგზავნი ჩეკის წიგნაკს - ხარჯე, რამდენსაც მოისურვებ, ოღონდ, გახსოვდეს: ორ ფრანკს რომ დახარჯავ, შენს თავს უთხარი, მესამე მონეტა ჩემი არ არის-თქო. იგი ეკუთვნის ვინმე სხვას, უცნობს, ვისაც ის ერთი ფრანკიც სანატრელი აქვს. მისი პოვნა არ გაგიჭირდება. საკმარისია მოინდომო და ამ უცნობ ლატაკებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავ. ფულზე იმიტომ გელაპარაკები, რომ კარგად ვიცი, ამ დე-მონის მაცდური ძალა, ჯერალდინა, დიდხანს გამოვდიოდი ცირკში და მუდამ შიშით შევცქეროდი ბაგირზე ასულ ჯამბაზებს, მაგრამ აი, რა მინდა გითხრა, ჩემო გოგონა, - ადამიანს ძირს, მყარ მიწაზე უფრო ადვილად შეიძლება ფეხი დაუცდეს, ვიდრე ჯამბაზს იმ ვერაგ თოკზე. შეი-

ძლება ამ სა-ლამოს თვალი მოგტაცოს რომელიმე ბრილიანტის ელვარებამ და მაშინ შენი დაცემა გარდაუვალია. შეიძლება დადგეს დღე და უცხო პრინცის მშვენიერმა სახემ დაგატყვევოს. იმ წუთიდან შენ უცადი მუშაითი ხარ, გა-მოუცდელებს კი ბაგირი მუდამ ლალატობს, ნუ გაყიდი შენს გულს ოქროსა და სამკაულისთვის. იცოდე, ყველაზე დიდი ბრილიანტი მზეა, ის კი, ჩვენ-და საბედნიეროდ, ყველას ერთიანად დაგვნათის, ხოლო, როცა ჟამი დაჰკრავს და სიყვარული გენვევა, გულით შეიყვარე შენი რჩეული სამუშაო ძნელი გაქვს. ვიცი სხეულს სიფრიფანა აბრეშუმის ნაჭერი გიფარავს. ხელოვნების სახელით სცენაზე შეიძლება შიშველიც გამოხვიდე, მაგრამ იქიდან კიდევ უფრო უმნიშვნელო და შემოსილი უნდა დაბრუნდე.

ანგელოზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი.

მე ბებერი ვარ და ჩემი სიტყვები შეიძლება სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ მა-ინც, ასე მგონია, შენი შიშველი სხეული იმას უნდა ეკუთვნოდეს, ვინც შენს გაშიშვლებულ სულს შეიყვარებს. რა ვუყოთ მერე, თუ ჩემი შეხედულება ამ საკითხზე მოძველებული გამოჩნდება, თუ ასე ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ფიქრობდნენ. ნუ გეშინია, ეგ ათი წელი ვერ დაგაბერებს ჯერალდინა, მე მინდა, რომ შენ ამ შიშველთა კუნძულის უკანასკნელი ქვე-შევრდომი იყო.

ვიცი, მამებს და შვილებს ნი-ადაგ ბრძოლა აქვთ ერთმანეთში. მეომე ჩემო გოგონა, ჩემს აზრებს ეომე. მე არ მიყვარს

მორჩილი შვილები. და ვიდრე ამ ბარათს ჩემი ცრემლი არ დასდენია, მინდა მჯეროდეს, რომ ეს შობალამე სასწაულების ღამეა. მინდა, მოხდეს სასწაული და შენ მართლა გაიგო ყვე-ლაფერი, - ყველაფერი, რაც შენთვის მინდოდა მეთქვა.

ჩარლი დაბერდა, ჯერალდინა! ადრე თუ გვიან თეთრი სასცენო კაბის მა-გიერ შავებში უნდა გამოეწყო და ჩემს საფლავზე მოხვიდე. ახლა არ მინდა, გული გატკინო, მაგრამ ხანდახან სარკეში ჩაიხედე - იქ მე დამინახავ. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. მინდა, რომ მაშინაც კი, როცა ჩემს ძარ-ღვებში სისხლი დინებას შეწყვეტს, არ დაივიწყო მამაშენი ჩარლი. ანგელო-ზი არ ვყოფილვარ, მაგრამ მუდამ ვცდილობდი, ადამიანი ვყოფილიყავი. ეცადე შენც.

გკოცნი, ჯერალდინა  
შენი ჩარლი”

### დანართი №3

მიხეილ ჯავახიშვილი-ჩვენის დროის 10 მცნება (წერილი ქალ-იშვილს)

1. შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

2. შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი შენი პირადი მეგობარი.

3. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

4. მიეცი მას წრფელის გულით

ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

5. მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

6. განაგე თავი შენი და დაუ-მორჩილე გონებას შენი ყინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

7. გზის გაკვლევა და გამარ-ჯვება შეიძლება მხოლოდ შრო-მით და პატიოსნებით. ზარმა-ცობა, ცუდლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაჰლუპავენ.

8. სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყვე-ლაფერი დაუჯერე, იმათ შენ-ვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ყინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.

9. თავმოყვარეობა შეიძინე და შენი თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ: არ გაამაყდე.

10. ბოლოს და ბოლოს ყოვე-ლივეს სჯობია სამი რამ: შრო-მა, მეორე – შრომა და მესამე – შრომა.

ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე,

შენი მოსიყვარულე მამა  
მიხეილ ჯავახიშვილი  
19.12.1924

### დანართი №4

რეზო ინანიშვილის მოთხრო-ბა „ჩიტების გამომზამთრებე-ლი“

თანამედროვე დაბალჭერი-ანი ბინა. მოკლედ ჩამოშვებუ-ლი, სამფინჯნიანი რძისფერი ჭალი, პრიალა პარკეტი. პრიალა

ავეჯი, წიგნები, ფოტოსურათი - გაღიმებულ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შუაში უზის ორი-სამი წლის კოპებშეკრული ბიჭი. შემოსასვლელ კართან - ჩუსტები, ფლოსტები. აცეტონისა თუ სკიპიდრის სუნი.

ისმის ელექტროზარის ხმა. სამზარეულოდან გამოდის დაბალი, ორმოცი წლის რბილ-ნაკვეთიანი ქალი. გზა-გზა იხსნის წითელ, გამჭირვალე წინსაფარს, თეძოებთან ისწორებს კაბას, მერე კეფაზე ფონფლო გორგლად დახვეულ თმას. კარის საკეტს გადაწვეს. შემოვა შეჭალარავებული ჯმუხი მამაკაცი, გაზეთში გახვეული რაღაც უჭირავს. დაღლილ ნაღვლიან თვალებს თითქოს არიდებენ ერთამანეთს.

ქალი: შენი გასაღები რა უყავი?

მამაკაცი: არ ვიცი, სანვიმრის ჯიბეში თუ ჩამრჩა...

ქალი: სანვიმარე მე დავაუთოვე და იქ არაფერი არ არის.

მამაკაცი: მაშინ დამიკარგავს.

ქალი: რა მშვიდად ამბობს „დამიკარგავს“?!

მამაკაცი: აბა რა ვქნა თმები დავიგლიჯო?

ქალი: შენ რაზე დაიგლეჯ, შენ არაფერზე არ დაიგლეჯ თმებს.

მამაკაცი: სკოლაში იყავი?

ქალს ეს შეკითხვა თითქოს არ გაუგონია.

ქალი: ეგ რა არის?

მამაკაცი: რეიტუზი ვუყიდე.

ქალი: ვის უყიდე ვის! მაგ დებილს, მაგ არანომრალურს? გგონია, რომ ესწრება ფიზკულტურას?

მამაკაცი: აბა სად დადის?

ქალი: მოუსაველეთში, ჭირში. გაქრა მაგის თავი. დივანზე ჯდება, მკლავები მუცელთან მი აქვს, იღუნება, - მე აღარ შემიძლია, ჩადი შენ თვითონ. მამა ხარ, გარკვეული პასუხისმგებლობები შენც ხომ გაკისრია. გააცდინე ეგ შენი სამსახური, დაეთხოვე, დააგვიანე და დაელაპარაკე. გაარკვეე სად დადის, რაზე ფიქრობს ეგ გამოლენჩე-ბული. რას აპირებს. გაიგე ერთი რას ამბობს მასწავლებლები მაგაზე. ყველა რომ ლანძღავს. მე აღარ შემიძლია ბატონო. აი, აგერ ვიკუნტები და ისე გთხოვ და გვედრები, მე აღარ შემიძლია! დამეხმარე.

მამაკაცი: შენ, რომ ნამდვილი გაჭირვება შეგხვდეს, მაშინ რაღას იზამ?

ქალი: რას ეძახი ნამდვილ გაჭირვებას. შიმშილს? სიცივეს? ვაი, რა ბედნიერება, როცა გშია, კანკალებ, მაგრამ არავინ დაგცინის.

მამაკაცი: მაგოდენებს, ხშირად საბანიც, რომ ვერ დაეხურათ თავისთვის, ასტონიანი ტანკების შესაჩერებლად უშვებდნენ, ხშირად მარტო ბენზინით სავსე ბოთლების ანაბარა, იმათ დედებს რაღა უნდა ექნათ?

ქალი ერთხანს აღარაფერს აღარ ამბობდა. ცხვირსახოცს ეძებდა, მერე ცხვირსახოცი ტუჩთან მიიტანა და იმ ცხვირსახოცში ლაპარაკობდა: - იმათ დედებს მოკრძალებით, შიშითაც კი უყურებენ სხვა დედები, რომელთაც ასეთი უბედურება არ დასტყდომიათ თავს.

მამაკაცი: დიდი შელავათია!

ქალი: ნამდვილად დიდი.

მამაკაცი: გადაირიე, ქალო?

ქალი: როგორც გინდა ისე იფიქრე.

მამაკაცი უყურებდა და არაფერს ამბობდა. მერე რეიტუზს იღებს, ხმაშეცვლილი მობრუნდება.

მამაკაცი: ადექი, რამე მაჭამე, ლუკმა არ ჩამიდვია დილას აქეთ.

ქალი დგება ცრემლების წმენდით, ცხვირის ხოცვით მიდის სამზარეულოსკენ.

ქალი: ფეხსაცმელი გაიხადე. ფლოსტები ხომ აწყვია კართან!

მამაკაცი ფეხსაცმელს იხდის. მაგიდაზე გაშლილ რეიტუზს ისევ შეახვევს.

მამაკაცი: ექვსი მანეთი ღირს, განა მეტი. ამირანი შემხვდა, გოგო ისევ საავადმყოფოში წოლიათ. ახლა გვერდში წყალი ჩასდგომია. გაგიჟებული იყო სანყალი.

ქალი: ვანო არ ჩამოსულაო, რა თქვა?

მამაკაცი: წამლები გამოუგზავნია. კარგი იქნება, მოგვეხერხებინდა და გვენახა ბავშვი. აქვე სწოლიათ, ბორჯომის ქუჩაზე.

ქალი ქვაბს სადგარს ამოუდებს ქვეშიდან.

ქალი: ჩემი შვილების ხელში ყველაფერსა ვარ გამორჩეული, ნათესავებსაც და მოკეთებებსაც.

მამაკაცი ზეზეურადვე აიღებს მწვანეფოჩიან ბოლოკს.

მამაკაცი: შენ რა ისადილე?

ქალი: ისე ისადილა განგიას გასაგისმა.

მამაკაცი: შენ რომ შიმშილით მოიკლავ თავს განგიას გაუხეთქავ გულს! მაინც რა გითხრა ასეთი?

ქალი: იმან რომ არ მითხრას, მე არ ვიცი, რა უბედურება ტრიალებს ჩემ თავს?! საკონ-

ტროლოებში ორები, გეომეტრიაში ზედიზედ სამი ორიანი, ქიმიაში ორიანი, ქართული როა, ქართულშიც კი ორიანი აქვს მიღებული.

მამაკაცი: ახლა სად არის?

ქალი: ჯანდაბაში და მოუსვლელში, მამიდამისთან წაეთრა. შემიყვანეს როგორც უკანასკნელი დებილი, დამაჭერინეს კალამი, მომიკიდეს ზედ ხელი და ისე დამანერინეს ხელწერილი: ერთი ორიანი რომ მიიღოს კიდევ, პროფსასწავლებელში უნდა გადავიყვანოთო.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგ?

ქალი: რა ვინ თქვა, დადგენილება ყოფილა.

მამაკაცი: ვინ თქვა ეგ?

ქალი: დირექტორმაც, ყველამ.

მამაკაცი ჩანგალს თეფშზე დადებს, ხელებს შარვლის ჯიბეში ჩაიყოფს და სკამის საზურგულს მიაწვება.

მამაკაცი: სადამდე მიდის ჩვენი უგუნურება! თან პროპაგანდას ვუნწევთ, თან ჩვენ თვითონ ვაცხადებთ პროფსასწავლებელს სასჯელის მოსახდელად, ჩვენ თვითონვე ვეუბნებით ბავშვებს, საშინელ დღეში ჩავარდებიან, თუ პროფსასწავლებელში მოხვდნენ.

ქალი: თორემ არ არის ასე!

მამაკაცი: არ არის, არა! ნუთუ ვერა ხედავთ ეროვნულ უბედურებად იქცა კაბინეტებისკენ სწრაფვა. ყველას უნდა, რომ მას ემსახურობდნენ, ყველას უნდა, რომ თეთრი, ფაფუკი ხელები ჰქონდეს, მამაკაცებს, დღეში რომ სამ კილო ხორცს და ათ ბოთლ ღვინოს ნთქავენ, თეთრი ხელები უნდათ, თეთრი ხელები და თეთრი ტელეფონი... ნუთუ



ვერ ხედავთ, რომ მუცლები მოგ-  
ვექცა თავზე.

ქალი: მე ვერაფერს ვხედავ,  
ჩემი ოჯახის მეტს. სანამ აქ  
მექნება მოსაგვარებელი რამე,  
არავითარი საქმე არ მაქვს გა-  
რეთ.

მამაკაცი: ეს არის ყოველგ-  
ვარი უკუღმართობის სათავე  
- ჩემი ოჯახი, ჩემი გეჯა, ჩემი  
სალაფავი და შიგ ყურებამდე  
ჩარგული თავი, რომ სხვამ არ  
ჩაგვიკრას დინგი.

ქალი ზურგს შეუბრუნებს  
და მხრის ზემოდან დაუგდებს  
სათქმელს:

- შეჭამე ეგ კერძი, გაიყინა და  
გალელეჩდა.

მამაკაცი ჩანგალს აიღებს,  
თან ნერვიულად ელიმება.

მამაკაცი: ესეც უბედურებაა  
- გაცივებული კერძი, უჰ, დიდი  
უბედურება.

ქალი: შენთვის ყველაფერი  
ეგეთია, კერძიც, სახლიც და ყვე-  
ლაფერი.

მამაკაცი: დავჯდე და თქვენ  
გიყუროთ მარტო, არა, თვალე-  
ში? პირი დაიბანეთ, კბილები  
გაიხეხეთ, ფეხსაცმელი დაინმინ-  
დეთ, იატაკი არ დანაგვიანოთ,  
გაკვეთილები ჩამაბარეთ! სული-  
ნმინდა დაგვარჩენს?

ქალი: ვინ გთხოვს მაგას?

მამაკაცი: აბა რა ვქნა, რო-  
გორ მოვიქცე, რა გავაკეთო,  
რით დავინყო.

ქალი: შიში ჩაუნერგე ბავშ-  
ვებს, ჩაუნერგე, რომ რაც გასა-  
კეთებელი აქვთ უნდა გააკეთონ.  
თუ არ გააკეთებენ....

მამაკაცი: ყელები დავჭრა,  
არა?

ქალი: არ შეიძლება შენთან  
ნორმალური საუბარი.

მამაკაცი: რა არის ამაში არა-

ნორმალური? შენ მეუბნები, რომ  
ბავშვებს ჩაუნერგო შიში, ჩა-  
უნერგო, რომ რაც გასაკეთებე-  
ლი აქვთ, უნდა გააკეთონ, თუ არ  
გაკეთებენ.. მე გეკითხები, რა  
ვქნა-მეთქი, თუ არ გააკეთებენ,  
ყელები დავჭრა ამ უძლურებს,  
უკან-უკან რომ იწვევენ ყოველ-  
ნამს და ჩვენ ანტიბიოტიკებით  
ვექაჩებით ჩვენსკენ? რა არის ამ  
კითხვაში არანორმალური?

ქალი: დამანებე თავი..

მამაკაცი: ვცემო? გარეთ  
გავყარო? ვუთხრა, რომ მათ  
მამობაზე ხელს ავიღებ? ბოლ-  
მამ არ დაახრჩოს! ამ წიგნების,  
ტელევიზიის მეშვეობით იმ-  
დენი სანიმუშო მამა დაეხეტება  
ჩვენს ბინაში, იქნებ ესიამოვნოთ  
კიდევ, რომ ჩამოვცილდე ეს და-  
კუთხული, დიდცხვირა, დიდყუ-  
რება კაცი.

ქალი აღარაფერს ამბობს, მა-  
გიდისკენ დახრილი ჭამს.

გაილება კარი. შემოდის გა-  
ლიმებული თხუთმეტი წლის  
ბიჭი. მალალია, წვრილი, მხრებ-  
ში მოხრილი. გრძლად დაშვე-  
ბული სქელი თმა კიდევ უფრო  
უპატარავებს ისედაც პატარა,  
სიგამხდრისაგან ჩამუქებულ,  
ჩატეტკილ სახეს. გაბერილი  
ქალაღდის პარკი უკავია მკერდ-  
თან. მთელი სხეულით მოაქვს  
გასახარი ამბავი. დიდხანს  
ინმენდს ფეხებს.

ბიჭი: ფანჯრები დაკეტილია?

ქალი და მამაკაცი შემკრთა-  
ლი თვალეებით შეჰყურებენ ერთ-  
მანეთს.

ქალი: ფანჯრები რად გინდა?

ბიჭი: ჩიტბატონები ვიყიდე,  
მთლად იაფად. გამოვაზამთრებ  
და გაზაფხულზე გავუშვებ.

პარკს პირს მოხსნის და ჩიტ-  
ბატონებს ამოაფრენს. ისინი

ფრთხილით, რიკრიკით წითელ-  
ყვითელი ფერებით თახთახით  
დაფრინავენ ოთახში. ბიჭი  
ქვემოდან შესცქერის და ბედ-  
ნიერებით უბრწყინავს სახე.

ქალი წამოვარდება საკუ-  
ჭნაოდან იატაკის სანმენდს  
გამოიტანს და ჩიტებს გამოე-  
დევნება.

ბიჭი: არ დაარტყა! არ დაარ-  
ტყაა!

ქალი: გამეცალე, თორემ შენ  
გაგიხეთქავ თავს.

ბიჭი: მამა, არ დაარტყას,  
მამა!

მამაკაცი ჭამს, თეფშს დაჰყუ-  
რებს.

ქალი ერთ ჩიტს მისწვდება და  
კედელზე მიაჩეჩქვავს.

ბიჭი: დედა! მამა! დედა!

ქალი: გამეცალე!

ქალი იმ მეორე ჩიტსაც მი-  
წვდება, აჭყვივლებული მისრისა  
კუთხეში.

ბიჭი: კარგი, დედა!

დიდი საბრალო თვალები  
ცრემლებით აქვს სავსე. მიდის,  
ჯერ ერთ ჩიტს აიღებს უმწეო  
ფრთით, მერე მეორეს. დგას  
ჩიტებით ხელში, თითქოსდა ფე-  
ხებდაუძღურებული. მერე უც-  
ნაური ლაყუნით მიდის, სანაგვე  
ყუთში ყრის.

ბიჭი: კარგით! კარგით!

ფერდაკარგული ქალი იატა-  
კის სანმენდ ჯოხს საკუჭნაოში  
შეიტანს და კარს ღონივრად  
გამოხურავს.

მამაკაცი ხმას არ იღებს.

ბიჭი: კარგით! კარგით!

მამაკაცი: თუ არავინ  
გავალებს, არც ჩიტების გამო-  
ზამთრებაა საჭირო, თუ არავინ  
გავალებს..

ბიჭი: კარგით! კარგით!

დანართი №5

თომას ედისონის „ნარმატე-  
ბის საიდუმლო“

ერთხელ, როდესაც პატარა  
ედისონი, სკოლიდან შინ დაბ-  
რუნდა, დედას მასწავლებლის  
წერილი გადასცა. დედამ წერი-  
ლი გახსნა და უეცრად ტირილი  
დაიწყო. შემდეგ კი წერილი  
ხმამაღლა წაიკითხა: “თქვენი  
შვილი - გენიოსია. ჩვენს სკო-  
ლას არ აქვს შესაბამისი  
პროგრამა და არც შესაბამისად  
კვალიფიციური მასწავლებლე-  
ბი ჰყავს, თქვენს შვილს რაიმე  
განსაკუთრებული, რომ ვასწავ-  
ლოთ, ამიტომ შეგიძლიათ სახლ-  
ში ამეცადინოთ.”

დედის გარდაცვალებიდან  
რამდენიმე წლის შემდეგ ედისო-  
ნი (იმ დროისთვის უკვე აღიარე-  
ბული იყო, როგორც საუკუნის  
გამომგონებელი) მის ნივთებს  
ათვალიერებდა და დღიურში  
წერილი იპოვა, რომელშიც  
ენერა: “თქვენი შვილი გონ-  
ებრივად ჩამორჩენილია. ჩვენ  
არ შეგვიძლია ვასწავლოთ მას  
სხვებთან ერთად სკოლაში. ამი-  
ტომ გაძლევთ რეკომენდაციას  
სახლში თავად ამეცადინოთ.”

ედისონი დიდხანს ტიროდა,  
შემდეგ კი საკუთარ დღიურში  
ჩანერა: “თომას ალვა ედისონი  
იყო გონებრივად ჩამორჩენილი  
ბავშვი. მაგრამ გმირი დედის  
წყალობით გახდა თავისი საუკუ-  
ნის უდიდესი გენია”.

**მანია კონიაშვილი**

**ქ. მცხეთა, ნიჩბისის საჯარო  
სკოლის პედაგოგი**



**ავტორთა საყურადღებოდ!**

**ჭურნალ „სკოლა და ცხოვრებისათვის“ განკუთვნილი მასალები არ უნდა აღემატებოდეს ჩვეულებრივი ფორმატის ქაღალდის 12-15 გვერდს. მასალები აკრეფილი უნდა იყოს „Microsoft Word“-ში და გადმოგზავნილი ელ. ფოსტაზე: [chafidzegari@yahoo.com](mailto:chafidzegari@yahoo.com) მინიშნებით „სკოლა და ცხოვრება“.**

**წერილებს უნდა ახლდეს ცნობები ავტორების შესახებ: გვარი, სახელი (სრულად), მისი უროფანია – საქმიანობა, წოდება, მისამართი, ტელეფონის ნომერი, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილი არ განიხილება.**



9772587455009